ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 096 (12 471) 24 აპრილი ხუთშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა





ჰიტცფელდი: 1:0? მოსულა! ფიორენტინას რეინჯერსი კარგად ახსოვს

უეფას თასის წინათქმა »»» 6

ბერლუსკონი მილანს ტოვებს

რას ნიშნავს ახალი იტალიური ლიგა? »»» 9

# მე ნაკრებში?

## ეროვნული გუნდი შეიძლება სეგრტმა ჩაიბაროს »»» 2






## ოლსენის ნამოტივტივდა

ივანკოვიჩი დღეს იტყვის »»» 2



## ინგლისური ფინალი რეალურია

ჩემპიონთა ლიგა »»» 6

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პეტარ სეგრტი, დროებით ეროვნულის მთავარი მწვრთნელი?



პეტარ სეგრტი — ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრებისთვის მთავარ მწვრთნელს კვლავ ეძებს. საფეხბურთო ოპოზიცია თვლის, რომ ყურადღების მეორეხარისხოვან თემაზე ხელოვნურად გადატანა ხდება.

ჩვენი ვალია გავიგოთ, ვინ იქნება საქართველოს მთავარი საფეხბურთო გუნდის მწვრთნელი.

ისევ და ისევ გვიმტკიცებენ, რომ ყველაზე რეალური კანდიდატურა ხორვატი **ბრანკო ივანკოვიჩია**. ფედერაციისთვის ის მისალები კანდიდატურა უნდა იყოს, რადგან თავად ივანკოვიჩმა ალიარა, თქვენი ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პეტარ სეგრტი** დამიკავშირდაო.

პეტარ სეგრტი უკვე ნახევრად ქართველია, აქაურ საზოგადოებას, ადათებსა და წესებს იოლად შეეგუა, ისევე როგორც თავის დროზე თბილისის "დინამოს" თავკაცი **ივო შუშაკი**.

მართალია, ხორვატია დასავლური სამყაროს ნაწილია, მაგრამ სოციალისტური ეპოქის გავლენის შედეგად, ისინი ჩვენებურ ქიცი-ქიცმაცურს შინაგანად გრძნობენ.

ფეხბურთის ფედერაციას **ტოპმიოლერის** მწარე გამოცდილებამ ისიც ასწავლა, რომ მარტო კარგი მწვრთნელობა ეროვნული გუნდში საკმარისი არაა. ერთია, საკუთარ ქვეყანას ხუთი თითივით რომ იცნობ და მეორე - როდესაც უცხო სპეციფიკას ერგები. ეს კი ყველას არ შეუძლია.

ამიტომაც ფედერაცია კვალიფიკაციის გარდა, მწვრთნელის ხასიათებითაც ინტერესდება. აქედან გამომდინარე, უფრო მისალებად ბრანკო ივანკოვიჩს თვლიან. გუშინ კიდევ ერთხელ გვითხრეს, რომ მასზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე სხვა ვინმეზე. სხვათა შორის, ბრანკო ივანკოვიჩთან გასაუბრების შემდეგ, "ლელოს" ჟურნალისტ **გოტფრიდ ლენცს** დარჩა შთაბეჭდილება, რომ ხორვატი თავადაა საქართველოში მუშაობით დაინტერესებული - ინტონაცია ადამიანს გასცემს.

ასეთ შემთხვევაში, გვაქვს ეჭვი, რომ მის თანაშემწედ ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი პეტარ სეგრტი დაინიშნება.

და სანამ ბრანკო თბილისში ჩამოსულა და საკითხი საბოლოოდ – მანამდე მრავალი ნიუანსია გასარკვევი – არავინ იცის, რა დრო გავა.

27 და 31 მაისს კი საქართველოს ნაკრებს ესტონეთსა და პორტუგალიაში საერთაშორისო ამხანაგური მატჩები აქვს დაგეგმილი. თუკი მანამდე მთავარი მწვრთნელის ვინაობა ვერ დადგინდა, გუნდი მოედანზე ვილაცამ უნდა გაიყვანოს. არის აზრი, რომ ეს ვილაც ისევ და ისევ პეტარ სეგრტი იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

# თბილისში ოდიკაძე, პრაღაში უჰრინიადა

**დინამო-მესხეთი**

**5:1**

23.04. თბილისი. ეროვნული
800 მაყურებელი

1:0 სპასოევიჩი (29. ოდიკაძის პასით), 2:0 აკირემი (34. ოდიკაძის პასით), 2:1 მუშკუდიანი (40. თაყაძის პასით), 3:1 აკირემი (49. დილმელაშვილის პასით), 4:1 აკირემი (56. სპასოევიჩის პასით), 5:1 ვანაძე (86. ოდიკაძის პასით)

დინამო: ოვონო - თომაშვილი, ზელიჩი, ნერგაძე, გველესიანი (88. დობეში) - ოდიკაძე, ხმალაძე (83. ფირცხალავა), დილმელაშვილი, ხუციშვილი, სპასოევიჩი (68. ვანაძე) - აკირემი

*სათადარიგოები: ლორია, ნ. ჯიშკარიანი, გეთიაშვილი, ქანთარია*

მესხეთი: სომხიშვილი - თ. ღონღაძე, ქობესაშვილი, ლ. მერაბაშვილი, რაქვიაშვილი (46. ინასარიძე) - მ. თაყაძე, ლეკიშვილი, კ. ხანიშვილი, კოშკაძე (81. კიკნაძე), გვირჯიშვილი - მუშკუდიანი (73. სამადაშვილი)

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, თელიაშვილი, სუდაძე, ი. თაყაძე*

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**8.** ოდიკაძის საშუალო მანძილიდან დარტყმული ბურთი სომხიშვილმა მოიგერია.

**9.** თაყაძე მახვილი კუთხიდან უტევს - ოვონომ საიმედოდ ითამაშა.

**12.** სპასოევიჩმა ხუთი მეტრიდან ააცილა ბურთი სტუმართა კარს.

**16.** ხუციშვილის თავური დარტყმა მიზანს ასცდა.

**24.** ოდიკაძის საჯარიმო დარტყმა სახიფათო გამოდგა.

**29.** 1:0 - ოდიკაძის ფლანგური პასის მერე სპასოევიჩმა მახვილი კუთხიდან გაიტანა.

**34.** 2:0 - ოდიკაძის მორიგი ფლანგური გადაცემა აკირემის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

**40.** 2:1 - თაყაძემ მუშკუდიანი მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და "მესხეთის" ფორვარდმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

**44.** მუშკუდიანმა უალრესად ხელსაყრელი სიტუაციიდან ბურთი მიზანს ააცილა.

**48.** ოდიკაძემ ჯარიმა ჩინებულად შეასრულა, მაგრამ სომხიშვილმა ივარგა.

**49.** 3:1 - დილმელაშვილის დიდოსტატური პასის მერე აკირემს სტუმართა მეკარის დაჯაბვნა არ გასჭირვებია.

**56.** 4:1 - სპასოევიჩის სოლო-რეიდი ზუსტი პასით დასრულდა და აკირემმა ჰეთ-თრიქი შეასრულა.

**61.** ხუციშვილი-ოდიკაძის ეფექტური კომბინაცია უგოლოდ დასრულდა.

**69.** თომაშვილმა ახლო მანძილიდან ააცილა.

**72.** ვანაძე სომხიშვილთან პირისპირ დარჩა, მაგრამ - უშედეგოდ.

**81.** ნერგაძის თავური დარტყმა მიზანს ასცდა.

**86.** 5:1 - ფირცხალავა-ოდიკაძე-ვანაძის კომბინაცია "დინამოს" ახალგაზრდა ფორვარდის გოლით დასრულდა.



ოდიკაძე დინამოელთაგან საუკეთესო იყო — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ვერაფერს ვიტყვით, მართლაც უცნაური და უჩვეულო "დინამო" ვიხილეთ გუშინ. უცნაურზე და უჩვეულოზე მეტი ეთქმოდა ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის შემადგენლობას - დისკვალიფიკაციისა და ტრავმის გამო **დუშან უჰრინის** გუნდს **გიორგი მერებაშვილი, მილოშ კრშკო** და ძმები **კაშიები** აკლდნენ. აქედან გამომდინარეც იყო დინამოელთა შემადგენლობაში ტაქტიკური გადაადგილებები: მარჯვენა მცველად ახალგაზრდა **გულვერდ თომაშვილი** ვიხილეთ, დაცვის ცენტრში **ნედ ზელიჩს გიორგი ნერგაძე** შეუწყვილდა, მარცხენა ინსაიდად კი **ილია სპასოევიჩი** იდგა.

ასეთი ექსპერიმენტების მიუხედავად გუშინ "დინამომ" სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ყოველ შემთხვევაში, მეორე წრეში ასეთი მოტივირებული და ენერგიული "დინამო" არ გვინახავს. განსაკუთრებით მეორე ტაიმში გაილაღეს მასპინძლებმა, როცა "მესხეთის" კართან მომენტს მომენტზე ქმნიდნენ და ის ფაქტი, რომ სტუმრები ასტრონიული ანგარიშით არ დამარცხდნენ, თავიანთ მეკარე **გიორგი სომხიშვილსა** და "დინამოს" ფორვარდების უზუსტობას უნდა უმადლოდნენ. არა მარტო მეორე ტაიმში - მთელი მატჩის განმავლობაში "მესხეთის" მეკარეს სამუშაო არ გამოლევია და როგორც უკვე ალვნიშნეთ, რამდენჯერმე რთული ბურთიც მოიგერია. სამაგიეროდ, დაცვაში სტუმრები ელემენტარულ შეცდომებს უშვებდნენ და "დინამომაც" ყველა ის საჩუქარი კარგად შეირგო. ჩინებული მატჩი ჩაატარა **ჯორჯ აკირემიმ** - გაბონელმა ცენტრფორვარდმა მეორე წრეში თავის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და მეტოქის კარში სამი გოლი გაიტანა.

როგორც ყოველთვის, მონდომებული იყო "დინამოს" კიდევ ერთი ლეგიონერი ილია სპასოევიჩი - ამ შეხვედრაში ასე საჭირო პირველი გოლი რომ გაიტანა და მეორე ტაიმში ლამაზი სოლო-რეიდით რომ დაგვამახსოვრა თავი. თუმცა ორივე გუნდის შემადგენლობაში გუშინ საუკეთესო **დავით ოდიკაძე** იყო. საქმე მხოლოდ სამ საგოლე პასში არ არის - ოდიკაძე 90 წუთის განმავლობაში გაუთავებელი მანევრებითა და სოლო-გარღვევებით "ატერორებდა" სტუმართა მცველებს. მის მიერ შესრულებულ ყველა სტანდარტს ხომ ხიფათი მოჰყვებოდა და საერთოდაც, გუშინ ის შემთხვევა იყო, კონკრეტული ფეხბურთელის თამაში ერთადერთი სიტყვით რომ უნდა შეგვეფასებინა - შთამბეჭდავი!

ისე, სტუმრებზეც უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა, მით უმეტეს, რომ პირველ ტაიმში არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვეს. ეგ კი არა, ტაიმის მიწურულს **ზურაბ მუშკუდიანს** უალრესად ხელსაყრელი მომენტი შეექმნა, მაგრამ ახლო მანძილიდან ააცილა. იმ დროისათვის "დინამოს" მხოლოდ ერთბურთიანი უპირატესობა ჰქონდა. ერთ ფაქტორზეც გვინდა ყურადღების გამახვილება - პირველ ტაიმში სტუმრები, ასე თუ ისე, ცდილობდნენ ტემპში აჰყოლოდნენ მასპინძლებს. "დინამომ" მეორე ტაიმშიც სწრაფი ფეხბურთი მოახვია მეტოქეს, ფლანგებიდან და ცენტრიდან ერთი-მეორეზე სახიფათო მომენტები შექმნა და "მესხეთიც" უძლური იყო რაიმე დაეპირისპირებინა.

"დინამომ" ამ გამარჯვებით მშვენიერი განწყობა შეიქმნა იმერული ვოიაჟის წინ. თანაც, დარწმუნებული ვართ, შეგირდების თამაშით კმაყოფილი იქნებოდა დუშან უჰრინიც. "დინამოს" გამოცდილ მწვრთნელს გუშინ ორმაგად სასიხარულო დღე ჰქონდა: თბილისში მისმა გუნდმა ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი მძლავრი ნაბიჯი გადადგა, სამშობლოში კი დიდი ალიარება ელოდა - გუშინ პრაღაში უეფას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, დოქტორ **ვაცლავ იარას** სახელობის პრემია მიენიჭა. გრანდიოზულ დაჯილდოებაზე დუშან უჰრინი იმის გამო არ გაემგზავრა, რომ "დინამოს" კალენდარული მატჩი ჰქონდა. არ ეცალა მის შვილსაც - დუშან უჰრინ-უმცროსსაც, რომელიც ამჟამად რუმინეთის "პოლიტეხნიკას" მთავარი მწვრთნელია. ასე რომ, საპატიო პრიზის ხელში ალმართვის პატივი დუშან უჰრინის შვილიშვილს ერგო...

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 23 | 20 | 1 | 2 | 58-13 | 61 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 22 | 17 | 3 | 2 | 40-10 | 54 |
| 3. ზესტაფონი | 22 | 17 | 3 | 2 | 51-12 | 54 |
| 4. ამერი | 22 | 13 | 2 | 7 | 41-24 | 41 |
| 5. ოლიმპი | 22 | 12 | 4 | 6 | 21-15 | 40 |
| 6. მესხეთი | 23 | 9 | 5 | 9 | 24-28 | 32 |
| 7. ბორჯომი | 22 | 8 | 4 | 10 | 25-27 | 28 |
| 8. მგლები | 22 | 8 | 3 | 11 | 21-24 | 27 |
| 9. სიონი | 22 | 7 | 5 | 10 | 23-30 | 26 |
| 10. ლოკომოტივი | 22 | 5 | 5 | 12 | 15-26 | 20 |
| 11. სპარტაკი | 22 | 4 | 6 | 12 | 8-23 | 18 |
| 12. მერანი | 22 | 5 | 1 | 16 | 12-45 | 16 |
| 13. ბათუმი | 22 | 4 | 3 | 15 | 13-41 | 15 |
| 14. დილა | 22 | 1 | 5 | 16 | 8-43 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| **ხუციშვილი (დინამო)** | 14 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| **ვიეირა (ზესტაფონი)** | 11 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 10 |
| **იონანიძე (ზესტაფონი)** | 9 |
| **სპასოევიჩი (დინამო)** | 9 |
| **აკირემი (დინამო)** | 9 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტ./ბათუმი) | 8 |
| გელაშვილი (ვიტ./ზესტაფონი) | 8 |
| ინასარიძე (მესხეთი) | 8 |
| რ. გოცირიძე (ამერი) | 8 |

**დარჩენილი მატჩები**

| | |
|---|---|
| **25 აპრილი, პარასკევი** | |
| 16:00 | ბათუმი-ვიტ ჯორჯია |
| 16:00 | სიონი-ოლიმპი |
| 16:00 | ამერი-მგლები |
| **26 აპრილი, შაბათი** | |
| 16:00 | ბორჯომი-დილა |
| 16:00 | მერანი-ლოკომოტივი |
| 16:00 | სპარტაკი-ზესტაფონი |

# ივანკოვიჩი პასუხს დღეს იტყვის

საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი, ხორვატი **ბრანკო ივანკოვიჩი** თბილისში 2 ან 3 მაისს ჩამოვა. ასეთია წინასწარი შეთანხმება, ხოლო ზუსტ პასუხს ხორვატისგან საქართველოს ფეხბუთის ფედერაცია დღეს ელის.

რაც შეეხება კიდევ ერთ კანდიდატს, საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ჟაკ სანტინი** შემოთავაზებაზე პასუხს ჯერაც აყოვნებს, მის სიტყვას ფეხბურთის ფედერაცია კვირის ბოლომდე ელოდება.

შევიტყვეთ, რომ ისევ გაცოცხლდა **მორტენ ოლსენის** ვარიანტი დანიელის საქართველოს ნაკრებში მოსვლა ამ ცოტა ხნის წინათ კი გამოირიცხა, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა...

**დავით თავართქილაძე**



ბრანკო ივანკოვიჩი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

1001 სევდა

## ბუბა ხოტივარი:

# ანდრო ჟორდანია ვერ გაიგებდა, რომ შეიძლება ფეხბურთში ფული აკეთო

## ფედერაციაში ჩივაძეს არ უშვებენ და ესენი უნდა პარპაშობდნენ?

კინორეჟისორი ბუბა ხოტივარი ცნობილი ქართველი მწვრთნელის, ანდრო ჟორდანიას ნათლული და უახლოესი მეგობრის ვაჟია. იცის ის ტკივილები და სიმწარეები, რაც დღეს ხდება და სხვათა შორის, სულ ხდებოდა ქართული ფეხბურთში.

ბუბა ხოტივარი არის რეჟისორი ფილმებისა - "ლაზარე", "დიმიტრი მეორე", "ჩირიკი და ჩიკოტელა" და ასე შემდეგ. თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას გაიცნო და დაუმეგობრდა ვაჟა ჩხაიძეს.

მისი მამა, ლევან ხოტივარიც კინორეჟისორი (გადაღებული აქვს "უდიპლომო სასიძო", "მხიარული რომანი", "განაჩენი") და საქართველოში ერთ-ერთი პირველი ფეხბურთელი და თბილისის 'დინამოს" დამაარსებელი გახლდათ.

ერთი სიტყვით, საფეხბურთო კაცია, უყვარს, სტკივა და განიცდის. დანარჩენზე კი პირადად მისი საუბრიდან შეიტყობთ.


ბუბა ხოტივარი

**- გამიგია, რომ ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ბრძანდებით. ალბათ, ანდრო ჟორდანიას ნათლული სხვაგვარი ვერც იქნებოდით.**

- დიახ, ასეა. ფეხბურთი ჩემი ცხოვრების განუყოფელი და, შესაძლოა, მთავარი ნაწილიცაა. მამაჩემმა ანდრო ჟორდანიასთან და კინორეჟისორ ნიკოლოზ სანიშვილთან ერთად, ჯერ ქუთაისის გუნდი ჩამოაყალიბა, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის და ბოლოს, თბილისის "დინამო".

**- ჩვენი რუბრიკაა "1001 სევდა". თქვენ რა გტკივათ და გაწუხებთ ქართულ ფეხბურთში და რას ფიქრობთ მის დღევანდელ მდგომარეობაზე?**

- რა გითხრათ. სატკივარის დამალვა არ შეიძლება და ვისაუბროთ. აღშფოთებული ვარ იმ მდგომარეობით, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი ქართულ ფეხბურთში. ასე მგონია, ფეხბურთის ფედერაცის ხელმძღვანელობა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და არა ფეხბურთზე.

არაპროფესიონალები არიან და საერთოდაც, დღეს ქვეყანაში არაპროფესიონალიზმის ბუმია. ეს ქვეყნის ყველაზე დიდი უბედურებაა. ასეთმა ადამიანებმა არაფერი იციან, ფულის კეთების გარდა. შეიძლება, ფულის კეთებაც არ იცოდნენ. ეს იმიტომ, რომ თავად უკეთ იციან, თანამდებობა დროებითია. ისინი ხვდებიან, რომ მათი დრო მიდის და რაც შეიძლება სწრაფად ცდილობენ ფულის მოხვეჭას.

და რაც მთავარია, მათ ისწავლეს სიტყვიერი ეკვილიბრისტიკა. მაგათთან საუბარს არანაირი აზრი არ აქვს, საუბრის თემას შეგიტრიალებენ, შემოგიტრიალებენ, დროს გაჭიმავენ, მოგატყუებენ, ნებისმიერ სიბინძურეს იკადრებენ, ოღონდ თანამდებობები შეინარჩუნონ და ქართული ფეხბურთის ნგრევა განაგრძონ.

ამის ატანა აღარ შეიძლება! საზოგადოებრივ აზრს ვერანაირი ზღუდე ვერ შეაჩერებს. მთავრობა უნდა მიხვდეს, რომ ხალხს თვალები აეხილა. ხალხის განწყობას რაც უფრო დიდხანს ვერ მიხვდებიან, მით უფრო მტკივნეული იქნება დაცემა.

ჩემი ნათლია ანდრო ჟორდანია თავგანწირული კაცი იყო არა მარტო ფეხბურთისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც. ანდრო ჟორდანია ნოე ჟორდანიას ძმისშვილი იყო და მთელი ცხოვრება სდევნიდნენ. ფეხბურთი მასების სპორტია, მას ყველას გაერთიანება შეუძლია. "დინამოს" წარმატებები ეროვნულ სულს აღვიძებდა. ასე უნდა იყოს ახლაც და საწყენი სწორედ ესაა - რითაც უნდა ვიამაყოთ, მთელს ქვეყანაზე თავს ზუსტად ის გვჭრის.

თავის ხელფასს მიშა მესხს ისე აძლევდა, ცხონებულმა მიშამ ეს არც იცოდა. ეგონა, გუნდი უხდიდა. ამას ჟორდანია მესხის შესანარჩუნებლად აკეთებდა!

უდიდესი მწვრთნელი, ქართული ფეხბურთის ილია ჭავჭავაძე იყო და ამხელა პიროვნებას მთელი ცხოვრება ერთოთახიანი ბინა არ ღირსებია! ყველაფერს გუნდს ახარჯავდა. ანდრო ჟორდანია საერთოდ ვერ გაიგებდა, რა ხდება დღევანდელ ფეხბურთში, რომ შეიძლება ფული აკეთო, მოატყუო ხალხი და აფუჭო საქმე!

**- ეპოქა შეიცვალა და ანგარება წესად იქცა. ოლივერ კანის სიტყვებია, ფეხბურთმა სული გაყიდაო. ფეხბურთში ფულის კეთება ხომ მხოლოდ საქართველოში არ ხდება? მთელს მსოფლიოში უდიდესი ბიზნესი და ფულის წყარო გახდა. დიდი ფული და გავლენები ადამიანს ბევრ რამეს ავიწყებს.**

- მერე თქვენ ეს მოგწონთ?

**- არ მომწონს, მაგრამ ეპოქა შეიცვალა.**

- რა თქმა უნდა, ეპოქა შეიცვალა, მაგრამ ეს ჩვენ გავხდით მომხვეჭელნი, ბოროტები. სირცხვილია, ამდენი ხალხი მოატყუო. როდემდე შეიძლება ამას შევეგუოთ? არ შეიძლება! საქმეში პროფესიონალები უნდა დავაბრუნოთ.

სხვათა შორის, ქართულ კინოშიც ასე ხდება. ფეხბურთსაც და კინოსაც არაპროფესიონალები რომ მართავენ, ორივე დარგი იმიტომაა დანგრეული.

**- საქართველოს ნაკრებში საკმაოდ ბევრი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ შეკრული, ბრძოლისუნარიანი და იმედისმომცემი გუნდი ვერა და ვერ ვიხილეთ. თქვენი აზრით, რა რის ამის მიზეზი?**

- გუნდში არაა ის სულისკვეთება, რომელიც ეროვნულ ნაკრებში უნდა არსებობდეს! ესაა მთავარი მიზეზი. როდესაც შენი ქვეყნის დროშაზე სისხლი არ გიდუღს, მისი ღირსების დაცვა არ გაგითავისებია, ხალხის გახარებაზე არ ფიქრობ და ქართული სიმი ჩამწყდარი გაქვს, შეუძლებელია, წარმატებას მიაღწიო.

თუმცა ეს განწყობა გუნდს შეუქმნეს და საუბარი აქედან დავიწყოთ. ვინც ქართულ ფეხბურთს მართავს, არასაზოგადოებრივი, არაეროვნულია.

ეს პერიოდი დროულად უნდა გავიაროთ. ჩვენ საქართველოსთვის ვარსებობთ. რაც უფრო ძლიერია თითოეული ოჯახი, მით უფრო ძლიერია ქვეყანა. მისი სიძლიერე კი სიმართლეშია. აქ არ შეიძლება დათმობა, წვრილმანებშიც კი. ეს უნდა გავიგოთ. რა მოხდა - შეცდა, რა მოხდა - წააგო, რა მოხდა - ვერ ითამაშა – ასეთი რამ უნდა დავივიწყოთ.

**- ზედმეტად რადიკალური ხომ არ ბრძანდებით?**

- არა, არანაირი რადიკალიზმი ამაში არაა. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეთი პრინციპებით ცხოვრობენ და იმიტომაც მოაწყვეს ნორმალური ქვეყნები. სიმართლის თქმას არაფერი სჯობს.

საზოგადოებამ ხაზინის ვირთხების, ქურდების და არაპროფესიონალების მიმართ მკაფიო დამოკიდებულება უნდა გამოხატოს. ეს არაა რადიკალიზმი. არ შეიძლება, ფედერაცია და ფეხბურთი არალეგიტიმურ ვიგინდარებს ჩააბარო და საშა ჩივაძე ახლოსაც არ გააკარო.

საერთოდ, ყველაფერი კანონზომიერია, ღმერთს არაფერი ეშლება. ყველაფერი ისე ხდება, როგორც გვინდა და გვყავს კიდეც არაპროფესიონალი ფედერაცია. ჩვენ ხმა არ აგვიმაღლებია 13 მაისის შეფურთხებაზე და ამიტომაც მივიღეთ არალეგიტიმური ფედერაცია.

**- უიმედოდ ხომ არ ხართ?**

- არავითარ შემთხვევაში. 21 აპრილს ჭადრაკის სასახლეში გამართული ფორუმი შემოტრიალების დღე უნდა გახდეს. მე პირადად ამის იმედი დამიბრუნდა, იმიტომ, რომ ამის იქით დაცემა შეუძლებელია.

**- ვითომ, ხელისუფლება ფედერაციის ხელმძღვანელობის შეცვლას დათანხმდება?**

- ახლა მსოფლიო კომუნიზმი დამყარდა, მაგრამ დღევანდელი ზეწოლა გაცილებით რბილია. ჟორდანიას დროს ხალხს ხვრეტდნენ, ნიჭიერებს ანადგურებდნენ და ასე დაგვტოვეს ნიჭიერი და გამრჯე ხალხის გარეშე. გადახედეთ გლეხობას, ინტელიგენციას, საინჟინრო წრეს. მიზანი რა იყო? ნიჭიერი მონად ვერ გამოდგებოდა.

ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყანას შიგნიდან შეცვლის. ჩვენ ორასი წელი ტვინს გვირეცხავდნენ, მაგრამ თავისუფლებისაკენ ლტოლვა მაინც ვერ ჩაკლეს. ნატო სხვა რეჟიმს და ვითარებას მოიტანს და თუ შენ გინდა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება, მისი თამაშის წესებიც უნდა გაიზიარო.

ბუნებრივია, პროცესები ყველა სფეროს შეეხება და მათ შორის, ფეხბურთსაც. უნდა დავამტკიცოთ, რომ ქვეყანა ვართ და ჩვენი გამასხარავება არ შეიძლება. ეს ყოველივე რუსულ სისტემას ფეხბურთიდანაც განდევნის. ფეხბურთში ჯანსაღი ორგანიზმის არსებობა ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან საქართველოში ფეხბურთი მხოლოდ სპორტის რიგითი სახეობა არასდროს ყოფილა და ვერც გახდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ აკაკი დევაძესთან

# საქართველოს ძლიერი მეკარეები უნდა გავუზარდოთ

## 13 მაისისთვის ბევრი რამ გაირკვევა

**აკაკი დევაძემ კარიერის ბოლო მატჩი ზუგდიდის "მგლების" შემადგენლობაში, მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ტურში, ახალციხეში, "მესხეთთან" ჩაატარა. იმ შეხვედრაში ვეტერანმა გოლკიპერმა ხელი მოიტეხა და რამდენიმე თვეში ტრავმებით გაწამებულმა ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება გადაწყვიტა. დამოუკიდებელი საქართველოს საუკეთესო მეკარე ფეხბურთში მაინც დარჩა. დევაძე საკუთარ საქმიანობაზეც გვესაუბრა და ქართულ ფეხბურთში მიმდინარე ამბებზეც გამოთქვა აზრი.**

- უკვე ასაკში ვარ, ტრავმაც ცუდ დროს მივიღე და მივხვდი, რომ აღარ უნდა მეთამაშა. ხელი ძალიან მაწუხებდა, ამის მიუხედავად, შემეძლო თამაშის გაგრძელება, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, ფეხბურთელის კარიერა დამესრულებინა. თუმცა ტრავმის მიღებამდე ურიგო ფორმაში ნამდვილად არ ვიყავი. წინა სეზონი სტაბილურად ჩავატარე. "მგლებმა" პირველ ლიგაში მაღალ დონეზე იასპარეზა და უმაღლესის საგზური მოიპოვა. იმ სეზონში თითქმის ყველა შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა.


აკაკი დევაძეს ამ ტრავმის შემდეგ აღარ უთამაშია
ნუგზარ სუარიძის ფოტო

**- ამჟამად რითი ხართ დაკავებული?**

- დილმის მასივში, "დინამოს" ბაზის გვერდით, ოლიმპიური მომზადების ცენტრის ტერიტორიაზე მე და ჩემმა მეგობარმა, ძველმა მეკარემ, სოსო ყარყარაშვილმა მეკარეების სკოლა გავხსენით. მთელ დროს ამ საქმეს ვუთმობ და ასე იქნება კიდევ დიდხანს. ძალიან მონდომებული ვარ, მინდა, რომ საქართველოს ერთი მაღალი დონის მეკარე მაინც გავუზარდო, მე რომ ვიყავი, იმაზე უკეთესი, ან უარეს შემთხვევაში, იმ დონის მაინც. ყველა ასაკის ბიჭებს ვავარჯიშებ, ერთი მათგანი უმაღლეს ლიგაში თამაშობს – კოკა სეფიაშვილი ამჟამად "ბორჯომის" კარს იცავს. სხვა პერსპექტიული ახალგაზრდებიც არიან და თუ ბევრს იშრომებენ, აუცილებლად დაუფასდებათ.

**- რატომ აქვს საქართველოს გამუდმებით სამეკარეო პრობლემა?**

- ჩემს აზრს გეტყვით და არა მგონია, ვცდებოდე: საფეხბურთო სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობაში მეკარეების მომზადებას ყურადღება მინიმალურად ეთმობა. მეკარეს განსაკუთრებული ვარჯიში და მეთვალყურეობა სჭირდება, სხვანაირად იგი ვერ გაიზრდება. თუ ამ საკითხისადმი მიდგომა არ შეიცვალა, ძლიერი მეკარეები ვერც მომავალში გვეყოლება. იმედია, სულ მალე ქართულ ფეხბურთში რეალური ძვრები დაიწყება.

**- როგორც შევიტყვეთ, "საფეხბურთო ოპოზიციას" აქტიურად უჭერთ მხარს.**

- რა თქმა უნდა. ყაველაშვილი, ნემსაძე, ჯამარაული ჩემი მეგობრები არიან, ერთი თაობის ფეხბურთელები ვართ. თუმცა მათ გუნდს მხოლოდ ამის გამო არ ვუჭერ მხარს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ხალხსა და მათ თანამოაზრეებს რეალურად შეუძლიათ ქართული ფეხბურთის ჭაობიდან ამოყვანა. აქვთ სწორი ხედვა და იციან, როგორ უნდა გააკეთონ ეს რთული საქმე. მე კი შემთხვევით ვისარგებლებ და აქვე ვიტყვი, რომ არანაირი თანამდებობისკენ არ მივილტვი, ჩემს საქმეს გავაგრძელებ და ქართული ფეხბურთის განვითარებაში პატარა წვლილს შევიტან. 13 მაისისთვის კი დარწმუნებული ვარ, ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ ბევრი რამ გაირკვევა.

**- ეროვნულ ნაკრებში რომელი მწვრთნელის დანიშვნა მიგაჩნიათ მიზანშეწონილად?**

- კონკრეტული კანდიდატის დასახელება მიჭირს. წინასწარ ძალიან ძნელია იმის განსაზღვრა, რომელი მწვრთნელი უფრო გაამართლებს. ფაქტი ისაა, რომ ერთ წელიწადში ნაკრებს თვალსაჩინო პროგრესი ვერ ექნება, უფრო ძირეული სამუშაოების ჩატარებაა საჭირო და ნაკრებს პროგრესი ამის შემდეგ შეეტყობა.

**- "მგლებიდან" წამოსვლის შემდეგ, ეროვნულ ჩემპიონატს თუ ადევნებთ თვალს?**

- რომ არ დაგიმალოთ, ჩემპიონატის მატჩებზე იშვიათად დავდივარ. ჩვენს უმაღლეს ლიგაში ძალიან დაბალი დონეა, შარშანდელზე უფრო დაბალიც კი.

**- მეკარეების გარდა, სამომავლოდ, გუნდის გაწვრთნასაც ხომ არ გეგმავთ?**

- არა, ეს გამორიცხულია. მთელ ჩემს ენერგიას მხოლოდ მეკარეების მომზადებაში დავხარჯავ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

# 8 მაისიდან WORLD SOCCER ქართულად

დიახ, ეს უკვე რეალობაა. პოპულარული WORLD SOCCER-ს ამიერიდან საქართველოშიც გამოსცემენ. სწორედ ამ თემას მიეძღვნა გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხში" ჩატარებული პრესკონფერენცია. მასმედიის წინაშე "ამარტა მედია ჯგუფის" ხელმძღვანელი **ირინა ყაჭეიშვილი**, WORLD SOCCER-ის რედაქტორი **ბიძინა მაყაშვილი**, მოადგილე **სოსო კოტორეიშვილი**. ასევე **თიკო დიდავა** და **მარი ჯავახიშვილი** წარდგნენ.

*"ამარტა მედია ჯგუფმა" დღემდე უკვე ორი ჟურნალი გამოსცა - "ამარტა" და "ამარტა ფოტო". WORLD SOCCER კი ჩვენი მესამე პროექტია და გვჯერა, ესეც წარმატებული იქნება. WORLD SOCCER-ის მეპატრონე კომპანიასთან, ლონდონში, თითქმის წელიწადის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რომელიც წარმატებით დასრულდა. ჩვენ ამ ჟურნალის საქართველოში, ქართულ ენაზე გამოცემის 10-წლიანი ექსკლუზიური უფლება გვაქვს. ეს ჟურნალი საჩუქარია ფეხბურთის მოყვარულთათვის.*

*WORLD SOCCER-ის პირველი ნომერი 8 მაისს გამოვა. 12 ან 13 მაისს კი პრეზენტაციას მოვაწყობთ. მოგეხსენებათ, ამ ჟურნალში მრავლადაა ექსკლუზიური მასალები და ძვირიც იმიტომ ღირს. ინგლისურ მხარის მოთხოვნა იყო, საქართველოში ჩვენ მიერ გამოცემული ჟურნალის ფასი 10 ლარი ყოფილიყო, მაგრამ დიდი ბრძოლის შედეგად ინგლისელები დაგვითანხმეთ და 6 ლარი ეღირება. მასში მასალების 80% ინგლისიდან მოგვივა. დარჩენილი 20% ქართულ ფეხბურთს დაეთმობა. ჟურნალი ფერადი, ილუსტრირებული, 150-120 გვერდიანი იქნება. თავდაპირველად, ტირაჟი 8 ათასი ივარაუდება, მაგრამ ჩვენი გათვლებით, ტირაჟი საბოლოოდ 30 ათასამდე გაიზრდება. WORLD SOCCER-ზე სექტემბრიდან ხელმოწერები დაიწყება და ამ ჟურნალის გამოწერა უკვე 5 ლარად შეგეძლებათ. ეს გამოცემა ყოველთვიურია და როგორც ინგლისური WORLD SOCCER-ია, ჩვენც დამატებით ერთ ნომერს გამოვცემთ, ანუ წელიწადში 13 ნომერი გამოვა",* - აღნიშნა "ამარტა მედია ჯგუფის" ხელმძღვანელმა **ირინა ყაჭეიშვილმა**.

რედაქტორმა **ბიძინა მაყაშვილმა** ჟურნალის შინაარსზე ისაუბრა:

*" გამოქვეყნებული მასალების 20% ქართულ ფეხბურთზე გადაითარგმნება და ინგლისში გაეგზავნება WORLD SOCCER-ის მეპატრონეს. თუ ისინი ჩათვლიან, რომ მასალები ტენდენციურია და ამას დაამტკიცებენ, მაშინ შესაძლოა ლიცენზიაც კი შეგვიჩერონ. ჩვენ მიერ გამოცემული ჟურნალის 100 ეგზემპლარი ინგლისში გაიგზავნება. 50 ლონდონში დარჩება, 50-ს კი ფიფას, უეფასა და სხვა საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებს გაუგზავნიან".*

*"ჟურნალში შევეხებით ქართულ ფეხბურთში არსებულ პრობლემებს, ეროვნულ ჩემპიონატს, სანაკრებო თემებს და სხვა საინტერესო საკითხებს. გამოცემა თურქეთში იბეჭდება და მაღალი პოლიგრაფიული დონისა იქნება",* - განაცხადა სოსო კოტორეიშვილმა.

**დავით ცაბაძე**




გუშინდელ პრეზენტაციაზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

იუბილე და ამხანაგური მატჩი

# ქართულ დინამოს რუსული უმასპინძლებს

გუშინ, რუსულ პრესაში ჩვენთვის საგულისხმო ცნობა მოვიძიეთ. მოსკოვში, სპორტსაზოგადოება "დინამო" 85, ხოლო საფეხბურთო კლუბი მოსკოვის "დინამო" 80 წლის იუბილეს აღნიშნავენ. ამ თარიღების ფარგლებში მოსკოველები, თბილისურ, კიევურ და მინსკურ სეხნია კლუბებთან, ივნისის მიწურულს, თითო ამხანაგურ მატჩს გამართავენ. როგორც ირკვევა, მოსკოველები კიევის "დინამოს" 22, მინსკისას 25, ხოლო 28 ივნისს თბილისის "დინამოს" გაეჯიბრებიან. შეხვედრებს რუსეთის დედაქალაქში "დინამოს" სტადიონი უმასპინძლებს. ამ დროისათვის ქართული კლუბები და მათ შორის "დინამოც" ევროტურნირებისთვის ემზადებიან ხოლმე და დავინტერესდით, ეს რამე ცვლილებას ხომ არ გამოიწვევდა. ამ მიზნით თბილისის "დინამოს" მმართველ დირექტორ ბუბა ტყავაძეს დავუკავშირდით:

*"ჩვენ უკვე მივიღეთ მიწვევა მოსკოვიდან. სასიხარულოა იუბილეზე რომ მიგვიპატიჟეს. მოსკოვის "დინამოსთან" ამხანაგური შეხვედრა ჩვენი გუნდის ფეხბურთელებსაც წაადგებათ, გამოცდილებას გაიმდიდრებენ, მით უმეტეს, ევროტურნირების წინ.*

*ახლა დეტალებზე მიდის მოლაპარაკება. ივნისის ბოლოს მოსამზადებელი ეტაპი გვაქვს დაგეგმილი და ვნახოთ...*

*ყველანაირად ვცდილობთ თარილი არ შეიცვალოს და ამას შევძლებთ კიდეც. 28 ივნისი ყველაზე უფრო გვაძლევს ხელს, ვიდრე სხვა თარილი... არაფერი შეიცვლება, მოსკოვში "დინამოს" 28 ივნისს ვეთამაშებით".*

**დავით ცაბაძე**

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# ჭიათურელთა სათუო იმედი



ბადრი ბრეგვაძე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**ჭიათურის "მაღაროელმა" კარგა ხნის წინათ გაიფორმა ფლეი ოფის საგზური. პირველ ლიგაში დარჩენილი ოთხი ტური იმერელთათვის ფორმალობაა, თუმცა ბუნებრივია, ამ მატჩებს "მაღაროელის" წევრები აღმოსავლეთის გამარჯვებულთან შეხვედრისთვის მოსამზადებლად გამოიყენებენ. გუნდი სეზონს წარმატებით კი ატარებს, მაგრამ პრობლემები მაინც აქვს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ პრობლემები ფინანსურ მხარეს ეხება. "ლელო" "მაღაროელის" მთავარ მწვრთნელ ბადრი ბრეგვაძეს დაუკავშირდა.**

- ბოლო პერიოდში სიტუაცია შედარებით გამოსწორდა, არცთუ დიდი ხნის წინათ კი გაცილებით მძიმე მდგომარეობაში ვიყავით – ეკონომიკურად ძალიან გაგვიჭირდა, ფეხბურთელთა და მწვრთნელთა დავალიანება გასასტუმრებელი იყო. ამას ეშველა, მაგრამ ამის მიუხედავად, ჯერ მაინც გაურკვეველია, რა და როგორ იქნება მომავალ სეზონში.

**- ანუ შესაძლოა, უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვოთ, მაგრამ უძლიერესთა შორის ასპარეზობა მაინც ვერ შეძლოთ?**

- ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ საქმე აქამდე არ მივიდეს. უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად არაფერს დავიშურებთ. ასევე შევეცდებით, გამკაცრებული სალიცენზიო მოთხოვნების დაკმაყოფილებაც შევძლოთ. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება და მომავალ სეზონში "მაღაროელი" იქ იასპარეზებს, სადაც მიღწეული შედეგით მოხვდება.

**- ვინ აფინანსებს კლუბს?**

- "მაღაროელი" რეგიონული ბიუჯეტიდან ფინანსდება, გვეხმარება "ჭიათურმანგანუმიც".

**- გაქვთ იმის პერსპექტივა, რომ უმაღლეს ლიგაში გადასვლის შემთხვევაში, შემადგენლობა გააძლიეროთ?**

- ამ ეტაპზე ეს ნამდვილად შეუძლებელია, შემდგომში ვნახოთ, რისი საშუალება გვექნება. სეზონის მსვლელობისას რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოგვაკლდა. სხვადასხვა მიზეზის გამო, გუნდი დატოვეს ტყემალაძემ, ქირიამ, მუშკუდიანმა, ჩოგოვაძემ... პრობლემების მიუხედავად, სეზონს მაღალ დონეზე ვატარებთ და იმედია, შრომა დაგვიფასდება. ჩემპიონატის მსგავსად, თასზეც წარმატებით ვითამაშეთ და მეოთხედფინალში გავაღწიეთ. იქაც შეგვეძლო "ამერის" დამარცხება, მაგრამ ლევან ფანიაშვილის არაობიექტურმა მსაჯობამ ნახევარფინალში გასვლის შანსი პირველივე მატჩში დაგვიკარგა.

**- პირველ ლიგაში მდევრებს უდიდესი უპირატესობით უსწრებთ. თქვენი მეტოქეები ასეთი სუსტები არიან?**

- ნამდვილად არ არიან ხელწამოსაკრავი გუნდები. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ სეზონის დასაწყისიდანვე დიდი უპირატესობით გავიჭერით წინ და მას შემდეგ მეტოქეთათვის სხვაობის შემცირების საშუალება არ მიგვიცია.

**- "მაღაროელის" მთავარი მწვრთნელად უმაღლეს ლიგაში გადასვლის შემთხვევაშიც დარჩებით?**

- ბუნებრივია, ამის დიდი სურვილი მაქვს. ჭიათურელი ვარ, "მაღაროელში" არაერთი წელიწადი გამიტარებია და მინდა, ეს საქმე ისევ მე განვაგრძო. თუმცა, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი კლუბის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია. კარგი იქნება, თუ ნდობას სამომავლოდაც გამომიცხადებენ, თუ არადა "მაღაროელში" სხვა სტატუსით ვიმუშავებ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მეშაქრე. ინტერვიუ გოჩა ტყებუჩავასთან

# სხვა პრინციპი არ გამაჩნია

**აგარის "მეშაქრე" და ჭაითურის "მაღაროელი" - ისინი პირველი ლიგის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონას ლიდერობენ. უმაღლესი ლიგის საგზურს სწორედ აღმოსავლეთ-დასავლეთ ზონაში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ ერთმანეთში. "მაღაროელს" უკვე განაღდებული აქვს თავის ზონაში პირველი ადგილი, აღმოსავლეთში კი "მეშაქრეს" კონკურენტები "გაგრა" და "ჩიხურა" არიან.**

**რა ხდება პირველი ლიგის აღმოსავლეთი ზონის ლიდერ გუნდში? ამ თემაზე სასაუბროდ "მეშაქრის" თავკაცს გოჩა ტყებუჩავას მივმართეთ.**

- ამ დროისთვის "მეშაქრეს" ფინანსური პრობლემები აქვს, თუმცა სიტუაციის გამოსწორებას გვპირდებიან. მანამდე კი ფეხბურთელების, ჩემი და კლუბის ხელმძღვანელობის ინიციატივით ბოლომდე ვიბრძვით აღმოსავლეთ ზონაში პირველი ადგილის დასაკავებლად. ვვარჯიშობთ 35-ე სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე და ვსარგებლობთ ამავე სკოლის საშხაპითაც - სკოლის დირექტორის, არჩილ არველაძისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

**- კლუბის მეპატრონე ვინ არის?**

- შაქრის მწარმოებელი ქარხანა "აგარა".

**- აღმოსავლეთ ზონას დასავლეთთან როგორ შეადარებდით?**

- დასავლეთის ზონის თამაშებს ვერ ვესწრებით, აღმოსავლეთის ზონა კი იმით გამოირჩევა, რომ ჩაწყობილი თამაშები არ არის და მსაჯობაც ნორმალურია.

**- "მეშაქრის" მთავარი კონკურენტი "გაგრაა"..**

- კი, მაგრამ "გაგრასთან" უკვე მოვილიეთ თამაშები - 7:1, 1:1 და 2:1. რაც შეეხება კალენდარს, ფაქტობრივად ერთნაირი გვაქვს - ჩვენც და "გაგრასაც" სათამაშო დაგვრჩა "დინამო 2-თან", "საჩხერესთან" და "კახეთთან".

**- აღმოსავლეთის ზონაში ყველაზე მეტად რომელი გუნდი გესიმპათიურებათ?**

- ბევრი კარგი გუნდია, თუნდაც "გაგრა", რომელსაც საინტერესო მწვრთნელი ჰყავს - გიორგი ჭიაბრიშვილი. მიუხედავად ფინანსური გაჭირვებისა, კარგი გუნდია "კახეთი", რომლის მწვრთნელი გიგლა იმნაძეა. "საჩხერე", "დინამო 2", "ოლიმპი 2", "ვიტ ჯორჯია 2" - კარგი გუნდი მართლაც ბევრია.



გოჩა ტყებუჩავა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**- გარდა ფინანსებისა, "მეშაქრე" კიდევ რა პრობლემებს უჩივის?**

- გუნდის პირველი მეკარე პაკო ოთარაშვილი ტრავმის გამო გამოგვაკლდა და მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდით - მეორე მეკარეც რომ დაგვიშავდეს, შემცვლელი არ გვყავს.

**- "მეშაქრეს" საშინაო მატჩებს საშუალოდ რამდენი მაყურებელი ესწრება?**

- 300-400 გულშემატკივარი სისტემატურად დადის. სტადიონის ტრიბუნა მეტს ვერც იტევს. ჩვენი ქომაგები გასვლით მატჩებზეც დაგვყვებიან.

**- "მეშაქრეში" აგარელები თუ თამაშობენ?**

- გუნდში გვყავს ახალგაზრდა ადგილობრივი ფეხბურთელებიც, რომლებიც ჯერ ძირითადში ვერ ხვდებიან.

**- თუ "მეშაქრე" უმაღლეს ლიგაში გადავა, ალბათ, ახალი გუნდის შექმნა მოგიწევთ...**

- თუ ასეთ წარმატებას მივაღწევთ, ფეხბურთელების უმეტესობა გუნდში დარჩება - მათი შრომის არდაფასება არაფრით შეიძლება. რომ არა ფინანსური პრობლემები, ამ დროისთვის ჩვენს ზონაში პირველობა თითქმის განაღდებული გვექნებოდა.

**- როგორ ფიქრობთ, "მეშაქრეში" არიან ისეთი ახალგაზრდები, ასაკობრივ ნაკრებებში მოხვედრის შესაძლებლობები რომ გააჩნიათ?**

- ასეთი 1990 წელს დაბადებული სამი ფეხბურთელი გვყავს - გიორგი თარგამაძე, ლევან ტყებუჩავა და დავით ფაილოძე.

**- მანამდე თბილისის "დინამოს", "ვიტ ჯორჯიას" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყავით - რა მოგცათ პირველი ლიგის გუნდის მწვრთნელობამ?**

- თუ მწვრთნელი ხარ, არც პირველ და არც რეგიონულ ლიგაში არ უნდა ითაკილო მუშაობა. სანამ "მეშაქრეში" მოვიდოდი, ორი წელიწადი უსაქმოდ ვიყავი და შემოთავაზებას უყოყმანოდ დავთანხმდი - ჩემი საქმის კეთება მინდა, სხვა პრინციპი არ გამაჩნია.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული

რას წერენ ჩვენზე. სკანდალური ინტერვიუ ქართველ მწვრთნელთან

# კლუბის პრეზიდენტი ჩემს საქმეში არ ერევა

## ძოძუაშვილი ქალების წინააღმდეგ



რევაზ ძოძუაშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**ცოტა ხნის წინათ, ყარაღანდის "შახტიორი", რომელსაც რევაზ ძოძუაშვილი წვრთნის, ერთ-ერთ გუნდთან თამაშის გარიგებაში დაადანაშაულეს და ამის გამო ყარაღანდელთა სპორტულ დირექტორ ვლადიმირ ნიდერგაუსს 3 წლით აუკრძალეს ყაზახურ ფეხბურთში საქმიანობა. საინტერესოა, ამაზე რა აზრისაა რევაზ ძოძუაშვილი. არის თუ არა მსაჯებთან კავშირში და რატომ ადანაშაულებს ქალებს. ქართველ მწვრთნელთან ინტერვიუ ყაზახურმა ვებგვერდმა გაავრცელა.**

- ფეხბურთელის კარიერა 1976 წელს დავამთავრე და მალევე მწვრთნელობა დავიწყე. პროფესია კარგად ავითვისე და წარმატებულ მწვრთნელად ვითვლები. დავით ყიფიანთან ერთად ორჯერ ვხელმძღვანელობდი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს. გადახედეთ ჩემს კარიერას, ვერ ნახავთ გუნდს, რომელიც ჩავიბარე და ჩემს ხელში უკეთესი შედეგები არ აჩვენა. თუნდაც "შახტიორი" ავილოთ. გასული სეზონის შუაწელს ჩავიბარე გუნდი. კლუბის ხელმძღვანელობამ მითხრა – მესამე ადგილს თუ დაიკავებ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდებაო. სიტყვა შევასრულე, ბრინჯაოს პრიზიორი გავხდით და პოსტზე მუშაობაც გავაგრძელე.

**- ყველაზე კარგი შედეგი რომელ გუნდში აჩვენეთ?**

- ლატვიის ნაკრებში. რიგაში მუშაობისას არაერთი ძლიერი გუნდი დავამარცხეთ, მათ შორის საქართველოს ნაკრებიც. მე და ყიფიანმა საქართველოს ნაკრებშიც კარგად ვიმუშავეთ.

კლუბებიდან კი საუკეთესო შედეგი თბილისის "დინამოში" მქონდა. არაერთხელ გავხდი საქართველოს ჩემპიონი. ეს ხომ ცოტას არ ნიშნავს? ვთვლი, რომ რუსეთშიც არ მიმუშავია ურიგოდ. ჩემი გაწვრთნილი "ალანია" სასტარტო 6 ტურში სამეულში იყო. მერე კი კლუბის ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ჩემი კონტრაქტი ძალზედ ძვირადღირებული იყო და კლუბის დატოვება მომიწია.

**- ყარაღანდის "შახტიორი" რამდენად ჰგავს იმ თბილისის "დინამოს", რომლითაც ჩემპიონატი არაერთხელ მოიგეთ?**

- "დინამო" რომ ჩავიბარე, ორი წელიწადი გუნდს ვაშენებდი. რთულ ვითარებაში ვიყავით, მაგრამ ოქროს მედლები მაინც მოვიპოვეთ. იმ გუნდით თანამეგობრობის ტურნირზე ვიასპარეზეთ და ექსპერტებმა საუკეთესოდ გვალიარეს. მაშინ ჩემს გუნდში არველაძე, ქინქლაძე, ჯამარაული და კიდევ ის ფეხბურთელები თამაშობდნენ, რომლებიც დღესაც ასპარეზობენ ეროვნულ ნაკრებში. სხვათა შორის, კახა კალაძე ეროვნულ ნაკრებში პირველად სწორედ მე ვათამაშე, თანაც იტალიის წინააღმდეგ. მაშინ ის მხოლოდ 20 წლისა იყო. ნებისმიერ გუნდში მუშაობისას, ჩემთვის უმთავრესი იყო არა მარტო ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება, არამედ ფეხბურთელების მომავალზე ზრუნვაც. კობიაშვილი ხომ იცით? ის რუსთავში აღმოვაჩინე და თბილისის "დინამოში" წავიყვანე. ამჟამად კი უკვე წლებია, "შალკეში" წარმატებით ასპარეზობს. ასეთი სახელიანი და ცნობილი არაერთი ფეხბურთელი აღმოვაჩინე.

**- "შახტიორში" საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებიდან რატომ არავინ ჩამოიყვანეთ?**

- თავის დროზე ქართველი ფეხბურთელები შემოვიკრიბე და 21-ე საუკუნის გუნდი შევქმენი. ახლა კი ყაზახი მოთამაშეებით მინდა იგივე გავაკეთო. უცხოეთში ადგილობრივ ფეხბურთელებთან მუშაობა უმჯობესია. მათ უკეთესად ესმით მწვრთნელის, როცა საჭიროა, მეტის მოთმენა შეუძლიათ. ჩამოსულ ფეხბურთელებს ადგილობრივებთან შედარებით განსხვავებული მენტალიტეტი აქვთ და მათთან ურთიერთობაშიც იმდენად გახსნილები არ არიან. ყარაღანდაში მრავლადაა მებრძოლი სულის ფეხბურთელი და სწორედ ასეთები მჭირდება.

**- როგორც ამბობენ, "შახტიორი" ჩვენს პრემიერლიგაში ერთ-ერთი მდიდარი კლუბია. ალმათიში ყოველთვის სასტუმრო "ჟეტისუში" ჩერდებით. არადა აშკარად იაფი სასტუმრო გაქვთ შერჩეული...**

- ამ კითხვას თქვენვე უპასუხეთ. მზადებისას ანთალიაში თვენახევარი დავყავით, სხვა ყაზახური გუნდები კი მინიმუმ 2 თვე იყვნენ. თავად განსაჯეთ ჩვენ უფრო დიდი ბიუჯეტი გვაქვს?

ვთვლი, რომ ყაზახური კლუბები იქითკენ უნდა ისწრაფვოდნენ, რომ მაღალი დონის ფეხბურთელები აღზარდონ და უცხოურ კლუბებში გაყიდონ. თბილისის "დინამოში" მუშაობისას სწორედ ეს კურსი მქონდა აღებული. იმ ფეხბურთელების 90 %, რომელიც "დინამოში" მყავდა, ევროპის კარგ კლუბებში გავასხვისეთ. საუდის არაბეთში 2 თვეში აღმოვაჩინე ისეთი ფეხბურთელი, რომლის ტრანსფერიც წარმატებით განხორციელდა. ვფიქრობ, მწვრთნელისთვის ეს მნიშვნელოვანი ამოცანაა. გასხვისებული ფეხბურთელის ნაცვლად კი სხვები უნდა ჩამოვაყალიბოთ კარგ მოთამაშეებად. სწორედ ეს კურსი იყო საბჭოთა ფეხბურთში. ეს ჩვენი ისტორიაა და მისი დავიწყება კარგს არაფერს მოგვიტანს. თუმცა ფეხბურთი ვითარდება და ევროპასაც ფეხი უნდა ავუწყოთ. უმჯობესი იქნებოდ,ა ევროპული და საბჭოური ფეხბურთის გამოცდილება შეგვეჯერებინა. მინდა ყაზახეთში არა მხოლოდ კარგ მწვრთნელად, არამედ კარგ სელექციონერადაც მიცნობდნენ. უცხოელ მწვრთნელებს ახალ კლუბში თავისი მოთამაშეები ჩაჰყავთ და მათ კარგ კონტრაქტებს უფორმებენ. ხომ ხედავთ, მე არავინ ჩამომიყვანია. აქ ვეძებ ტალანტებს და მათ კარგ ფეხბურთელებად ვაქცევ. უცხოელ მწვრთნელში ყოველთვის ჯადოქარს ხედავენ და ელიან, აი, ჯადოსნურ ჯოხს აიქნევს და ჩემპიონები გავხდებითო. ასე მარტივად არაა საქმე. თუ გუნდს შევინარჩუნებთ და მეორე წრის წინ კიდევ ორიოდე ფეხბურთელს დავიმატებთ, ჩვენ ბევრს გავაოცებთ შედეგებით.

**- ცოტა ხნის წინათ, "ეშმაკთან კავშირში" დაგადანაშაულეს. მსაჯებთან მართლა ხართ შეკრული?**

- ჩვენი გუნდი ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტია და ბუნებრივია მოკეთესთან ერთად მტერიც ბევრი გვყავს. თუ გნებავთ, ჩემი ხელმძღვანელობით "შახტიორის" მიერ ჩატარებულ ყველა მატჩის ვიდეოფირს გაჩვენებთ. ვერც ერთ შემთხვევას ვერ აღმოაჩენთ, მსაჯი რომ გვეხმარებოდეს. არბიტრის არცერთი სასტვენი ჩვენს სასარგებლოდ არ ყოფილა. ეს უბრალოდ ჭორებია, რომელსაც საფუძველი არ აქვს.

**- ფინონჩენკომ "შახტიორის" რიგებში, ორ მატჩში 8 გოლი გაიტანა. მას მერე კი გამორჩეული აღარაა. ის არასტაბილური მოთამაშეა?**

- კითხვითვე გიპასუხებთ. როგორ ფიქრობთ, რა სჭირთ რონალდინიოსა და შევჩენკოს? რა უშლით მათ ხელს? ამ კითხვას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს - "ვარსკვლავური ავადმყოფობა". ეს კი მათ მიმართ გამოჩენილი დიდი ყურადღება და ქალებია. ქალები ფეხბურთში ბევრჯერ ცუდ როლს ასრულებენ. მადლობა ღმერთს, ანდრეი ფინონჩენკო დაოჯახდა. სხვათა შორის, მისი მეუღლეც სპორტსმენია, ქმარს სპორტულ გარემოს უქმნის და უკვე ჩვეულ ფორმასაც უბრუნდება.

**- "შახტიორმა" რატომ თქვა უარი ლატვიელ მეგოლე მიხოლაპსზე?**

- ზემოთაც გითხარით, ქალები ბევრჯერ ფეხბურთში ცუდ როლს თამაშობენ. ჩვენ უარი არ გვითქვამს მიხოლაპსზე, მაგრამ მისმა ცოლმა აღარ მოისურვა ყარაღანდაში ცხოვრება, რიგაში ურჩევნია.

**- კლუბის პრეზიდენტ გრიგორი ლორიასთან მუშაობა არ გიჭირთ? მართალია, ის ფეხბურთში ცუდად არ ერკვევა, მაგრამ ამბობენ, თამაშის წინ ფეხბურთელებს თეორიას სწორედ ლორია უტარებსო...**

- მწვრთნელობის 30 წლიანი გამოცდილება მაქვს. მალე 67 წლის გავხდები და ასაკითაც უფროსი ვარ ლორიაზე. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ვერ გავიგე, კლუბის პრეზიდენტი უკეთ აუხსნის ფეხბურთელებს კუთხური როგორ მოაწოდონ? არა, ეს ასე არაა, ლორია მწვრთნელების მუშაობაში ნამდვილად არ ერევა. ამას გრიგორი ლორია არც თავად იკადრებს და არც მე მაკადრებს. ეს იმდენად საფუძველს მოკლებული ჭორია, რომ პასუხის გაცემასაც კი არ ვაპირებ. გუნდში მწვრთნელთა საბჭო გვაქვს შექმნილი და ყველა საჭიროროტო საკითხზე ვმსჯელობთ.

**- სამწვრთნელო კარიერისას არ გქონიათ შემთხვევა, კლუბის პრეზიდენტი თქვენს საქმეში ჩარეულიყოს?**

- ეს ჩემთვის მიუღებელია და ასეთ შემთხვევაში გუნდში არც გავჩერდები. მსგავსი არასდროს ყოფილა.

**- როგორ ფიქრობთ, ჩემპიონობისთვის რა აკლია თქვენს გუნდს?**

- საამისოდ წელიწადი მჭირდება და ღმერთის ძალით ჩვენ ოქროს მედლებს მოვიპოვებთ. თუმცა მწვრთნელის ხვედრი ისეთია, რომ ხვალ შესაძლოა მითხრან, რევაზ, წადი! რატომ? მაგალითად შეიძლება მითხრან, არ მომწონს 11:0-ს რომ იგებ, 22:0 უნდა მოიგოო. კაპელომ "რეალი" ჩემპიონი გახადა, მაგრამ გუნდიდან გაუშვეს... მოურინიო გაუშვეს "ჩელსიდან". წაგება ყოველთვის მწვრთნელს ბრალდება, მოგება კი ყველას დამსახურებაა.

მოამზადა
**დავით ცაბაძე**

## 26 მაისს ახალი თასი აინევა

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის"ყაზბეგის " გათამაშებაში საინტერესო ცვლილებაა – ტურნირის რეგლამენტში არაფერი შეცვლილა, თუმც არც თუ უმნიშვნელო სიახლეა.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ახალი თასი დაამზადა, რომლის დიზაინი **გიორგი ჯაფარიძეს** ეკუთვნის. ნაკეთობაში ჩადებულია ძველი ქართული თასის კონცეპტი. ახალი თასი სპილენძისგანაა დამზადებული და მერე ვერცხლშია ამოვლებული. ვერცხლისფერ თასზე დავით ყიფიანის ავტოგრაფია ამოჭრილი.

მაშ ასე, 26 მაისს ახალი თასი აინევა.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

## ყოფილ კლუბს ვერა დააკლო



გიორგი ციმაკურიძე

„შახტართან" გადმოტანილი მატჩის წინ ლუგანსკის „ზარიას" მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი ვოლობუევმა** განაცხადა, რომ სასტარტო შემადგენლობაში კლუბში დაბრუნებულ ქართველ **გიორგი ციმაკურიძეს** დააყენებდა. ასეც მოხდა, გიორგი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ვიხილეთ, ხოლო **ლადო ბურდული** – სათადარიგოთა სკამზე. სამწუხაროდ, „ზარიას" ციმაკურეძემ ვერაფრით უშველა, სტუმრებმა 4:1 მოიგეს. ქართველმა სამჯერ დაარტყა ყოფილი კლუბის კარისკენ, სამჯერვე არაზუსტად. 26 ტურის მერე „ზარია" 25 ქულით ვიშა ლიგის მხოლოდ ორ კლუბს უსწრებს, ლუგანსკელებს გავარდნის ზონას მხოლოდ სამი ქულა აშორებთ. შეგახსენებთ, რომ 24 წლის გიორგი ციმაკურიძემ „ზარიაში" დაბრუნების შემდეგ მესამედ მოირგო კლუბის მაისური, სასტარტო შემადგენლობაში კი – პირველად ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ფინალი უქართველოდ

## მამალაძეს საჯარიმო ეცოტავა



გიორგი ადამია თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა

საჩემპიონო წარუმატებლობის შემდეგ **გიორგი ადამიას** „ნეფთჩი" ქვეყნის თასის გათამაშებასაც გამოეთიშა. გასულ უქმეებზე „ნეფთჩი" კახში „სიმურგს" დაუზავდა და ლიდერ „ოლიმპიკს" 6 ქულით დაწინაურების საშუალება მისცა. გუშინ **ანატოლი დემიანენკოს** გუნდი აზერბაიჯანის თასის საპასუხო მატჩში „ინტერთან" 0:1 დამარცხდა. რაკი პირველი მატჩი 2:2 იყო დასრულებული, ფინალში „ინტერი" გავიდა. გადამწყვეტი გოლი **ჰუსეინოვმა** 57-ე წუთზე გაიტანა. არადა თამაშის დასაწყისშივე „ნეფთჩის" ქართველ ლეგიონერს შეეძლო მატჩის მსვლელობის შეცვლა – მეხუთე წუთზე **ბორეცის** მიერ ჩაწოდებული საჯარიმო ადამიამ კარში ოსტატურად გადააგზავნა, მაგრამ მასპინძლები ხარიხამ იხსნა. ადამიას გოლის გატანა მეორე ტაიმის დასაწყისშიც (49-ე წუთზე) შეეძლო, ამჯერად მან ააცილა მიზანს. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ნეფთჩის" უკრაინელი თავკაცი აღარ გამოცხადდა, სამაგიეროდ კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **რამინ მუსაევმა** კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მატჩზე მომსახურე ირანელ არბიტრთა ბრიგადა.

კაბალაში ადგილობრივი გუნდი ჩემპიონ „ხაზარს" მასპინძლობდა, პირველი მატჩი ლენქორანელთა გამარჯვებით (3:1) დასრულდა, თუმცა ყველაზე „ქართული" გუნდი აზერბაიჯანში (მის ღირსებას **ზურაბ მამალაძე, ირაკლი ვაშაკიძე, თორნიკე აფციაური** და **გიორგი გაბიდაური** იცავენ) ნამდვილად არ იყო უშანსოდ.. რომ არა მათი გოლკიპერის, ზურაბ მამალაძის გაძევება, უკვე მეორე წუთზე! ქართველმა ხელით საჯარიმოს გარეთ ითამაშა. მიუხედავად ამისა, „კაბალა" 81-ე წუთამდე იგებდა და შანსს ინარჩუნებდა, თუმცა შემდეგ **ამირგულიევმა** მასპინძელთა იმედები დაასამარა – 1:1.

აქვე ვიტყვით, რომ ჩემპიონატის მომავალ ტურში „ბაქისთან" მატჩს დააკლდება „მასალის" ქართველი ცენტრალური მცველი **ვაჟა ლომაშვილი**, რომელიც წინა ტურში „ოლიმპიკთან" ტრავმის გამოცვალეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი

# ინგლისური ფინალი რეალურია



კრისტიანო რონალდომ პენალტი გააფუჭა

**ბარსელონა-მანჩესტერი 0:0**

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, რაფაელ მარკესი, მილიტო, აბიდალი, ჩავი, ინიესტა, ტურე, დეკუ (77. ანრი), მესი (62. კრკიჩი), ეტო'ო.

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ჰარგრივსი, ფერდინანდი, ბრაუნი, ევრა, ქერიკი, სქოულზი, ჟი სუნ პარკი, კრისტიანო რონალდო, ტევესი (85. გიგზი), რუნი (76. ნანი).

*მე-3 წუთზე კრისტიანო რონალდომ ვერ გაიტანა პენალტი*

**მაყურებელი:** 98 000

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ბარსელონა

პირველი ჯარიმა: ბარსელონა

პირველი კუთხური: მანჩესტერი

პირველი გაფრთხილება: ბარსელონა

| | | |
|---|---|---|
| 21 (8) | დარტყმა | 6 (1) |
| 12 | ჯარიმა | 20 |
| 8 | კუთხური | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 62% | ბურთის ფლობა | 38% |

"მანჩესტერისათვის" ბარსელონაში ვიზიტი უიღბლოდ დაიწყო. თამაშის წინა საღამოს **ნემანია ვიდიჩმა** თავი შეუძლოდ იგრძნო. მას მუცელი წამოსტკივდა. მდგომარეობა ისე გართულდა, რომ ფეხბურთელი საავადმყოფოში გადაიყვანეს. სერბი მცველის ასპარეზობა გამოირიცხა.

გუშინწინდელი ვარჯიშისას **სერ ალექს ფერგიუსონმა** დაცვაში რამდენიმე განლაგება მოსინჯა. ცენტრში, **რიო ფერდინანდს მიკაელ სილვესტრი** შეუწყვილა, ხოლო მარჯვენა ფლანგზე **ვეს ბრაუნის** ადგილზე **ჯონ ოში** გაამწესა. დიახ, ბრაუნის ადგილზე, რადგან გუშინწინ ბრაუნის თამაშიც საეჭვო იყო. საბოლოოდ, ვესლიმ მწყობრში ჩადგომა მოასწრო და ფერდინანდის გვერდით ითამაშა. მარჯვნივ **ოუენ ჰარგრივსმა** დაიხია, ხოლო მარცხნივ ტრადიციულად **პატრის ევრა** ვიხილეთ. ბარსელონელთა შემადგენლობაში ლიონელ მესი გამოჩნდა. მან "სელტიკთან", მერვედფინალში მიღებული ტრავმის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგაში პირველად ითამაშა.

"იუნაიტედმა" შეხვედრა მაღალ ტემპში დაიწყო. **ჯანლუკა ძამბროტა კრისტიანო რონალდოზე** დაუყოვნებლივ დაჯარიმდა. მეორე წუთზე, "მანჩესტერელთა" შეტევას კუთხური მოჰყვა. **პოლ სქოულზმა** ბურთი ახლო ძელთან ჩააწოდა. რონალდომ მას თავი დაჰკრა. **გაბრიელ მილიტომ** კი საჯარიმოში ხელით ითამაშა.

შვეიცარიელ არბიტრ **მასიმო ბუსაკას** ბევრი არ უფიქრია — მესამე წუთზე "ბარსელონის" კარში პენალტი დაინიშნა. მისი შესრულება რონალდომ ითავა. კრისტიანო ლიგის საუკეთესო ბომბარდირია. მან მარჯვენა მაღალ კუთხეს დაუმიზნა. **ვიქტორ ვალდესი** მარცხნივ გადახტა, მაგრამ ბურთმა ხარიხას ჩაუქროლა.

"მანჩეტერს" გონს მოსასვლელად დრო დასჭირდა. "ბარსელონამ" მეტოქის დაბნეულობით ისარგებლა და რამდენჯერმე შეუტია. ძამბროტას შორიდან დარტყმული ბურთი ბრაუნს ფეხში მოხვდა. მესიმ **ანდრეს ინიესტას** ჩინებული პასი გაუკეთა. ინიესტამ დეკუს გაუგორა, მაგრამ ამ უკანასკნელმა დარტყმა დააგვიანა.

მომდევნო ეპიზოდში **სამუელ ეტოომ** ბურთი მესის გადააწოდა. არგენტინელს **პოლ სქოულზმა** დაასწრო და მდგომარეობა განმუხტა. ცნობისათვის, მანჩესტერელი ვეტერანი ჩემპიონთა ლიგაში საიუბილეო მე-100 მატჩს ატარებდა.

საპასუხო იერიშს ჯარიმა მოჰყვა. ის რონალდომ შეასრულა. ბურთი კუთხურზე გადავიდა. **უეინ რუნიმ** კუთხური ცუდად მოაწოდა. სწრაფი გოლი, რომელსაც ორივე გუნდი უმიზნებდა, არ შედგა. თანდათან დროებით ჩაცხრა.

ცოტა ხანში "ბარსელონა" ისევ გააქტიურდა. **იაია ტურემ** საჯარიმოში სახიფათოდ ჩააწოდა. გზად ბურთი ინიესტას მოხვდა. ეტოომ კარგად დამიზნება ველარ შეძლო. ორიოდ წუთში კრისტიანო რონალდო მილიტოსა და მარკესს დაუსხლტა და საჯარიმოში შეიჭრა. იქ კი წაიქცა, ან წააქციეს. ბუსაკას 11-მეტრიანზე აღარ უფიქრია. "ბარსელონამ" ეტოოს იერიშით უპასუხა. კამერუნელ თავდამსხმელს გადაელობნენ და დარტყმის საშუალება არ მისცეს.

ამასობაში, ინიესტა ძალიან უხეშად გაუსწორდა ჰარგრივსს. ბუსაკას თავისუფლად შეეძოლ ყვითელი ბარათის ჩვენება, მაგრამ კატალონიელი ნახევარმცველი აშკარად დაინდო. სამაგიეროდ, ტაიმის მიწურულს მისი თანაგუნდელი, რაფაელ მარკესი გააყვითლა. მექსიკელმა მცველმა კრისტიანო რონალდო წააქცია. მას უხეშად არ უთამაშია, მაგრამ სახიფათო შეტევა ჩაშალა და ამიტომაც გააფრთხილეს. რონალდომ თვითონ ითავა საჯარიმოს შესრულება, მაგრამ უშედეგოდ. ბუსაკამ ტაიმს არათუ დაამატა, სამი წამით ადრე დაასრულა ის.

გუნდებმა მეორე ნახევარი ინერტულად დაიწყეს. ბარსელონელთა რამდენიმე შეტევა იმით დასრულდა, რომ კარში გაგზავნილი ბურთი "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველებს მოხვდათ. "მანჩესტერმა" ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და კონტრშეტევებზე გადაიტანა აქცენტი.

ამასობაში, იუნაიტედის ცენტრალური მცველები უხეშად შეცდნენ. ეტოო ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი გადააწოდა პარტნიორს, რომელიც მაშინვე ამოკეტეს. ორ წუთში ეტოოს საუცხოო მომენტი ჰქონდა. მესიმ ბურთი ინიესტას გაუგორა. ინიესტამ ქუსლით სამუელს დაუგდო, ამ უკანასკნელმა კი არაზუსტად დაარტყა.

"მანჩესტერის" პასუხმა არ დააგვიანა: **მაიკლ ქერიკი** ჩინებულად გასცდა მარკესს, მაგრამ პასის ნაცვლად, კარში დაარტყა — არაზუსტად. "იუნაიტედმა" მწვრთნელის მითითებით ბურთი დაიჭირა. ბარსელონელებს ბევრი სირბილი უწევდათ იმისათვის, რომ მას დაუფლებოდნენ.

62-ე წუთზე **ლეო მესი ბოიან კრკიჩმა** შეცვალა. მინდვრის კიდეზე გამოჩნდა ტიერი ანრი. კრკიჩმა ბურთთან პირველივე შეხებით კუთხური მოიპოვა. "მანჩესტერ იუნაიტედმა" მისთვის უჩვეულო ფეხბურთი გააჩაღა. გუნდმა უკან დაიხია და შეტევა გადაივიწყა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ "მენიუ" ანგარიშით შენარჩუნებას ცდილობდა.

ინიესტამ სტუმართა საჯარიმოში ევრას მოტყუება სცადა. ფრანგმა მცველმა მეტოქე თითქოს ძირს დასცა, მაგრამ ანდრესი ისე თეატრალურად დაეცა, რომ მსაჯმა არ დაუჯერა. პენალტის ნაცვლად დაინიშნა თავისუფალი დარტყმა. ამასობაში, ჰარგრივსმა კრკიჩი წააქცია და ყვითელი ბარათი მიიღო.

76-ე წუთზე ფერგიმ სუსტად მოასპარეზე რუნის ნაცვლად **ნანი** გამოიყვანა. ნანიმ ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე დაიკავა ადგილი. რონალდომ თავდასხმაში, **კარლოს ტევესის** გვერდით გადაინაცვლა. თავდასხმა გააძლიერა **ფრანკ რაიკაარდმაც**: მან დეკუს ნაცვლად **ტიერი ანრი** გამოიყვანა. "ბარსელონამ" სამი თავდამსხმელით გააგრძელა თამაში.

"ბარსელონამ" ბურთი დაიჭირა. ტიერი ანრი მეურვეს დაუსხლტა და ძლიერად დასცხო. ვან დერ სარს მთელი თავის ისტატობის გამოჩენა მოუხდა კარის გადასარჩენად. 85-ე წუთზე ფრგიმ ტევესის ნაცვლად **რაიან გიგზი** გამოიყვანა. თამაშის მიწურულს ანრიმ კიდევ ერთი მომენტი შექმნა. მან სახიფათოდ შეასრულა საჯარიმო. ვან დერ სარი ბურთს ისევ აუღელვებლად დაეუფლა.

ბუსაკამ ძირითად დროს მხოლოდ ორი წუთი დაამატა. მანჩესტერელთა საჯარიმოში გაკეთებული გრძელი გადაცემა ანრისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ რიო ფერდინანდმა ბურთი აუღელვებლად მოიგერია. მატჩი, რომლისგანაც ზოგიერთი გოლების ფეიერვერკს ელოდებოდა (ხშირად იხსენებდნენ 1998-99 წლების ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მატჩებს. გუნდებმა მანჩესტერშიც და ბარსელონაშიც 3:3 ითამაშეს), უგოლოდ დასრულდა.

**შალვა ბიბილაშვილი**

უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩების წინ

# ჰიტცფელდი: 1:0? მოსულა!

## ბაიერნს თავდასხმაში უჭირს: ტონი არ იქნება, კლოზე? ფიორენტინას რეინჯერსი კარგად ახსოვს

**ბაიერნი-ზენიტი**

სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი:** კანი, ლამი, დემიკელისი, ლუსიო, ლელი, რიბერი, ვან ბომელი, ზე რობერტო, შვაინშტაიგერი, კლოზე, პოდოლსკი.

**ზენიტი:** მალაფეევი, ანიუკოვი, შირკოვი, კრიჟანაცი, შირლი, დენისოვი, ტიმოშჩუკი, ზირიანოვი, არშავინი, პოგრებნიაკი, ფაიზულინი.

**არბიტრი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

მიმდინარე სეზონში "ბაიერნის" მიზანი ჰეთ-თრიკის შესრულებაა. მიუნხენელებმა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგეს, მოიგეს რა გერმანიის თასი. რეკორდმაისტერს გერმანიის ჩემპიონობაც, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს - წარმოუდგენელია, **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდმა "ვერცხლის სინი" ვერ დაიბრუნოს. რჩება უეფას თასი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით, ბავარიელებს აქცენტი სწორედ ამ ტურნირზე აქვთ გადატანილი. მეოთხედფინალში ძალიან გაუჭირდათ. გეხსომებათ, როგორი ბრძოლა გადაიტანეს "ხეტაფესთან". ახლა, "ბაიერნის" მეტოქე სანკტ-პეტერბურგის "ზენიტია". რუსეთის მოქმედმა ჩემპიონმა მეოთხედფინალში სწორედ გერმანული კლუბი დაიფრინა. მართალია, "ლევერკუზენი" მიუნხენელებთან ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ ეს მომენტი ბავარიელებს მაინც სიფრთხილეს აიძულებს. რაც არ უნდა იყოს, "ზენიტმა" "ბაიარენაზე" 4:1 გაიმარჯვა და საფეხბურთო ევროპა გააოცა. სანკტპეტერბურგელები დაუფარავად იქადნებიან, "ბაიერნის" გამოგდებაც შეგვიძლიაო. სხვათა შორის, "ზენიტი" გერმანულ კლუბს ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდა და არც მაშინ შეურცხვენია თავი (2:2 "ნიურნბერგთან").

ჰიტცფელდს საკადრო პრობლემები აქვს. დავიწყოთ იმით, რომ "ზენიტთან" ბავარიელთა მთავარმეგოლე **ლუკა ტონი** არ იქნება. იტალიელი დისკვალიფიცირებულია. ამას ისიც ემატება, რომ გუშინ საღამომდე კითხვის ნიშნის ქვეშ იყო **მიროსლავ კლოზეს** თამაში. მირომ გერმანიის თასის ფინალში მცირე ტრავმა მიიღო. საეჭვოა **მარკ ვან ბომელის** თამაშიც. იმავე ფინალში მან ცხვირი გაიტეხა, მაგრამ ჰოლანდიელი ერთობ მონდომებულია და აცხადებს - ყველაფერს გავაკეთებ, რომ "ზენიტთან" ვითამაშოო. ექიმებმა მას ოპერაციის გაკეთება ურჩიეს, მაგრამ არაო - ჯერ პირველი ნახევარფინალი ვითამაშო და საოპერაციო მაგიდაზე მერე დავწვებიო. მოკლედ, უნდა ველოდოთ, რომ ვან ბომელი დღეს მოედანზე იქნება. ჰიტცფელდი ვერც **ჰამით ალთინთოფს** გამოიყენებს, უფრო სწორად, არ გამოიყენებს, რადგან თურქი ნახევარმცველი ახლახან გამოჯანმრთელდა და მისთვის ამხელა დატვირთვა ჯერ ნაადრევია. თუ კლოზეც ვერ ითამაშებს, ჰიტცფელდი თავდასხმაში მხოლოდ **ლუკას პოდოლსკის** იმედზე იქნება. "პრინცი პოლდი" ბოლო დროს კარგ ფორმაშია.

*"საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვყავს. რუსები განსაკუთრებით კონტრშეტევებზე არიან სახიფათონი. ჩვენთვის მთავარია, გოლი არ გავუშვათ და მინიმუმ ერთი მაინც გავიტანოთ. დიახ, მე 1:0-იც დამაკმაყოფილებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, უმჯობესია, 2:0 მოვიგოთ. დიდი შანსია, რომ კლოზემ ვერ ითამაშოს, რაც ჩვენთვის უდიდესი დანაკლისი იქნება. ტონის თამაში რომ შეეძლოს, მიროს გამო არ ვინერვიულებდი, მაგრამ იტალიელთან ერთად კლოზეს გამოკლება უკვე სერიოზული პრობლემაა"*, - განაცხადა ჰიტცფელდმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე.

*"ამ მატჩში ყველაფერი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. მიუნხენში მაქსიმალურად ისეთი შედეგი უნდა მივიღო, რომ სახლში მშვიდად დავბრუნდეთ. არ მგონია, "ალიანს არენაზე" ჯოჯოხეთი გველოდეს. ჩემი აზრით, "ზენიტის" ფანები "ბაიერნის" ქომაგებს არაფრით ჩამოუვარდებიან და ვფიქრობ, მეტოქის მოედანზე ჩვენც არანაკლები მხარდაჭერა გვექნება"*, - ეს კი "ზენიტის" კაპიტან **ანატოლი ტიმოშჩუკის** სიტყვებია.

**რეინჯერსი-ფიორენტინა**

სავარაუდო შემადგენლობები

**რეინჯერსი:** ალექსანდერი, უაითეკერი, უეირი, პაპაცი, კუელიარი, ს. დევისი, ემდანი, დეილი, ბაფელი, კუზენი, დარშევილი.

**ფიორენტინა:** ფრეი, გამბერინი, კროლდრუპი, გობი, მონტოლივო, კუზმანოვიჩი, სანტანა, ლივერანი, იორგენსენი, პაცინი, მუტუ.

**არბიტრი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

მეორე ნახევარფინალურ მატჩში, გლაზგოს "აიბროქსზე" ერთმანეთს "რეინჯერსი" და "ფიორენტინა" დაუპირისპირდებიან. ფლორენციელებს შოტლანდიურ გრანდთან დაკავშირებით საუკეთესო მოგონებები აქვთ. "იებს" ერთადერთი ევროტურნირი (თასების მფლობელთა თასი, 1960/61) აქვს მოგებული და ფინალში სწორედ "რეინჯერსი" ჰყავს დამარცხებული.

**ჩეზარე პრანდელის** გუნდს, წესით, უნდა გაუჭირდეს, რადგან "რეინჯერსი" საკუთარ მოედანზე წელს განსაკუთრებით ძლიერია. თავად განსაჯეთ: **უოლტერ სმიტის** კრებულმა უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში შინ მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. თუ გლაზგოელები კარს ამჯერადაც მშრალად შეინახავენ და, უკეთეს შემთხვევაში, ერთ ან ორ გოლსაც გაიტანენ, ფინალისკენ გზა, ფაქტობრივად, ხსნილი ექნებათ და ბოლო 38 წლის განმავლობაში ევროტურნირის დასკვნით მატჩში პირველად ითამაშებენ.

"პალერმოსთან" ბოლო უქმეებზე, პრანდელის დაცვის ბურჯი **ტომაშ უიფალუში** დაუშავდა. დღეს ის ნამდვილად ვერ ითამაშებს. ექიმების თქმით, ჩეხი უკანახაზელი ლაზარეთში 7-10 დღეს დაჰყოფს, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, საპასუხო შეხვედრაშიც (1 მაისი) ვერ იასპარეზოს. საკადრო პრობლემები სმიტსაც აქვს: ტრავმების გამო, დღეს "რეინჯერსს" **ალან მაკგრეგორი** და **ლი მაკკალოხი** დააკლდებიან.

**გოტფრიდ ლენცი**



ითამაშებს დღეს მიროსლავ კლოზე?

ჩემპიონთა ლიგა. ლივერპული-ჩელსი. პირველი მატჩის გამოხმაურება

# ოთხი წელინადი უგოლოდ

## სტემფორდ ბრიჯზე ლივერპულს რვა მატჩია, არ გაუტანია. ბენიტესი ნავსის გატეხვას აპირებს. ჯერარდს ფერნანდო ტორესის იმედი აქვს

**რაფა ბენიტესი** დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი "სტემფორდ ბრიჯზე" აუცილებლად გაიტანს. ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი ნახევარფინალი ლონდონში 30 აპრილს გაიმართება. სამშაბათს "ლივერპულმა" საპასუხო გოლი მატჩის ბოლო წამზე გაუშვა — შეცვლაზე შესულმა **ჯონ არნე რიისემ** საკუთარ კარში შეაგდო, 1:1.

მერსისაიდელებს მინიმუმ ერთი გოლი სჭირდებათ. ბენიტესის დანიშვნის შემდეგ, "ლივერპულს" "ჩელსის" სტადიონზე ერთხელაც არ გაუტანია. ესპანელი მწვრთნელი სტატისტიკას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს: *"ვეცდებით, ნავსი გავტეხოთ. "ჩელსის" შინ ოთხ წელინადზე მეტია, არ წაუგია, მაგრამ ეს ჩემპიონთა ლიგაა, იქნებ მოვახერხოთ. სხვა არჩევანი არ გვაქვს. ლონდონში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. ფრე, შეიძლება, საკმარისი არ აღმოჩნდეს."*

2004 წლის ზაფხულის შემდეგ "ლივერპულმა" "სტემფორდ ბრიჯზე" რვა შეხვედრა ჩაატარა — რვავე უგოლოდ. "ჩელსიმ" ჩემპიონთა ლიგაში უკანასკნელი საშინაო მატჩი 2006 წლის თებერვალს წააგო — "ბარსელონასთან" 1:2 (მერვედფინალში). უფრო შთამბეჭდავია მისი წაუგებელი საშინაო სერია პრემიერლიგაში. ბოლო მარცხი 2004 წლის თებერვლით თარიღდება — "არსენალთან" 1:2. იყო კიდევ ერთი მარცხი — 2005 წლის ოქტომბერში "ჩარლტონთან", ინგლისის ლიგის თასზე, მაგრამ მაშინ "არისტოკრატებმა" პენალტებში დათმეს. სტატისტიკა კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ ძირითადი დროის ანგარიშებს ითვალისწინებს.



მსაჯისაგან დამატებული მეოთხე წუთი: ჯონ არნე რიისე ავტოგოლს იტანს

სამშაბათს, მსაჯის მიერ დამატებულ მეხუთე წუთამდე "ლივერპული" წყვილის ფავორიტი იყო. **დირკ კუიტის** გოლი მერსისაიდელებს დიდ უპირატესობას ანიჭებდა, მაგრამ რიისეს უიღბლობამ მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა. ბენიტესი: *"რთული მატჩი გამოვიდა. მსაჯის (ავსტრიელი კონრად პლაუტცი) მუშაობით უკმაყოფილო დავრჩი. მან პირველ ტაიმს მხოლოდ ერთი წუთი დაამატა, მეორეს კი — ერთბაშად ხუთი წუთი. იქნებ ამიხსნათ, რატომ."*

პლაუტცმა წლევანდელი ლიგის ჯგუფში "ლივერპული"-"მარსელიც" იმსაჯა. მერსისაიდელებმა წააგეს, 0:1. ბენიტესი: *"მეჩვენებოდა, რომ ის (პლაუტცი) მხოლოდ მეტოქის სასარგებლოდ უსტვენდა. პირველ ტაიმში, ოთხჯერ იმიტომ დაგვაჯარიმა, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა მეტოქეს ხელი ჰკრეს. როდესაც მეტოქე (ეშლი კოულმა) ჩვენიანს საკუთარ საჯარიმოში ასე მოექცა, მსაჯმა წესების დარღვევა არ დააფიქსირა. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ მსაჯის შეცდომებმა შედეგზე გავლენა იქონია. გამოუყენებელი მომენტები, რა თქმა უნდა, ჩვენი ბრალია. ოთხი ასპროცენტიანი მომენტი გვქონდა. ასეთი მომენტების განიავება არ შეიძლება. მაგრამ შანსი კიდევ გვაქვს. თუ "სტემფორდ ბრიჯზეც" ამ დონეზე ვითამაშებთ და გოლებს გავიტანთ, ფინალში გავალთ. გვჯერა, რომ შეგვიძლია. გაგახსენებთ მეორე ტაიმის დასაწყისს, როდესაც "ჩელსის" ყველა კომპონენტში ვაჯობეთ."*

ბენიტესს არც რიისეს ავტოგოლი დაუტოვებია უკომენტაროდ: *"ფეხბურთში ასეთი რამ ხშირად ხდება. მიწიდან ამხტარი ბურთი ძნელი მოსაგერიელებელია. ფეხბურთელის დადანაშაულება უმადურობა იქნებოდა. ვწუხვართ, რომ ასე მოხდა. ბევრად უკეთეს ხასიათზე ვიქნებოდით, რეალური მომენტები არ გაგვეფანტა."*

სტივ ჯერარდი ერთ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, წინა თამაშებისაგან განსხვავებით, ამჯერად "ლივერპული" ლონდონში ზემძლავრი იარაღით ჩავა. ამ იარაღს **ფერნანდო ტორესი** ჰქვია: *"სტემფორდ ბრიჯზე" მასთან ერთად არასოდეს გვითამაშია. დასაკარგი არაფერი გვაქვს. მთელი ძალები იმ ერთი მატჩის მოგებას უნდა დავახარჯოთ. მთავარი ბრძოლა წინ გველის. ილაპარაკონ, რომ "ჩელსი" ფავორიტია. ჩვენ ამას ყურადღებას არ მივაქცევთ და მოედანზე დავამტკიცებთ, რომ ძლიერები ვართ. დღეს უფრო მეტი მომენტი შევქმენით. პეპე რეინას საქმე თითქმის არ ჰქონია. პეტრ ჩეხმა რამდენიმე შთამბეჭდავი ბურთი აილო. ავტოგოლამდე, ვფიქრობდი, რომ 1:0-იც უსამართლო შედეგი იყო."*

ჯერარდმა განაცხადა, რომ რიისესათვის არავის უსაყვედურია: *"ზოგიერთ მატჩში ყველაფერს უმნიშვნელო დეტალები და იღბალი წყვეტს. მიმაჩნია, რომ დღეს სწორედ იღბალმა შეგვაქცია ზურგი. გარწმუნებთ, ჯონ არნეს გაკიცხვა აზრად არავის მოსვლია."*

**ავრამ გრანტმა** ჟურნალისტებს აუწყა, რომ მისი გუნდი მოსკოვში გამგზავრებას აპირებს: *"დღეს მიზნისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით. მეტოქის მოედანზე 1:1 შესანიშნავი შედეგია. განმეორებითი შეხვედრა ადვილი არ იქნება, მაგრამ შევეცდებით, უპირატესობა შევინარჩუნოთ. დღევანდელმა გოლმა მდგომარეობა ჩვენს სასარგებლოდ შემოატრიალა. იმედია, ეს ის გოლი აღმოჩნდება, რომელიც ორი თამაშის ჯამში ფინალში გაგვიყვანს... დღეს ორივე ბურთი გულუბრყვილო შეცდომების შედეგად გავიდა. "ლივერპულის" გოლისას ფრენკი უხეშად შეცდა. არადა, იმ მომენტამდე თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. მეორე ტაიმში ტაქტიკა შევცვალეთ. რადგან გოლი გვჭირდებოდა, ნიკოლა ანელკა და სალომონ კალუ გამოვიყვანეთ. საბოლოოდ, სასურველი შედეგი მივიღეთ... "ჩელსი" დიდი კლუბია. ის იმსახურებს ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშს. მეტოქე, გნებავთ, "მანჩესტერ იუნაიტედი" იყოს და გნებავთ — "ბარსელონა"*

**ფრენკ ლემპარდი**: *"ჩემი აზრით, ფრე სამართლიანი შედეგია. მომენტები? მათაც ჰქონდათ და ჩვენც. ბოლო წამამდე ვიბრძოლეთ. არ გავჩერებულვართ. ამიტომ იმ გოლს ვიმსახურებდით."*

მოსაზრება

# ჩელსი: შანსი, რომელიც არ ყოფილა

## ლივერპული ბრძოლის გაგრძელებას აპირებს

სამი წელინადია, "ლივერპულთან" მატჩებისას, "ჩელსი" უიღბლობას უჩივის. სამშაბათ საღამოს, მატჩის უკანასკნელ წამზე, ანგარიშის გასწორების დრო დადგა — **ჯონ არნე რიისემ სალომონ კალუს** გადაცემა ავტოგოლით დააგვირგვინა. ეს მსაჯისაგან დამატებულ მეოთხე წუთზე მოხდა, თანაც "კოპის" ტრიბუნის წინ, სადაც "ლივერპულის" ყველაზე გულმხურვალე ფანები სხედან. განმეორებითი მატჩის წინ "ჩელსიმ" დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა.

**ჟოზე მოურინიო** დღემდე ვერ ივიწყებს **ლუის გარსიას** გოლ-მოჩვენებას, რისი წყალობითაც "ლივერპულმა" 2005 წლის ლიგის ფინალში გააღწია. გასულ სეზონში, "ჩელსიმ" მერსისაიდელებთან მორიგი ნახევარფინალი პენალტებით წააგო. სამშაბათს, სწორედ ეს "ლივერპული" და **რაფა ბენიტესი** იდგნენ გაოგნებულნი. მათ შთამბეჭდავად ითამაშეს და დაიმსახურეს გამარჯვება, მაგრამ მხოლოდ ფრე შერჩათ.

ბენიტესმა ავსტრიელი მსაჯის, **კონრად პლაუტცისაკენ** გაიშვირა ხელი, მაგრამ მისი კომენტარების წაკითხვისას, თავს წამოყოფენ "არსენალის" გულშემატკივრები, რომელთაც აქვთ საფუძველი, იფიქრონ, რომ მეოთხედფინალურ მატჩებში, "ლივერპულთან" მსაჯები უსამართლოდ მოექცნენ.



ავრამ გრანტმა მოსკოვი დაინახა, რაფა ბენიტესი ბრძოლას აგრძელებს

"ჩელსიმ" ტრადიციად აქცია ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლა, მაგრამ გუნდს არასოდეს ჰქონია ფინალში გასვლის ასეთი რეალური შანსი. "არისტოკრატები" ამ ისტორიულ მიჯნაზე **ავრამ გრანტმა** მიიყვანა — მწვრთნელმა, რომელსაც დღემდე ირონიით უყურებენ. "ჩელსის" ბოს **რომან აბრამოვიჩისათვის** ფინალში გასვლა ღირსების საქმეა. 21 მაისის შეხვედრა მისი სამშობლოს დედაქალაქში, მოსკოვში იმართება.

"ლივერპულს" რომ კარი მშრალად შეენახა, საეჭვოა, ბედნიერად ეგრძნო თავი. გუნდი მინიმალურ ანგარიშზე მეტს იმსახურებდა. **პეტრ ჩეხმა ფერნანდო ტორესს** მკვდარი ბურთი აუღო. მეტოქის მიერ განიავებული მომენტებით "ჩელსიმ" ისარგებლა და ფრე გაახერხა.

ნამატჩევს სტუმრები ზეიმობდნენ. რიისეს გოლამდე, ლონდონელთათვის "ლივერპული" და ჩემპიონთა ლიგა კოშმარის სინონიმი იყო. არისტოკრატებმა, ტრადიციულად, ბევრი იმუშავეს, მაგრამ მარტო **დიდიე დროგბას** გოლის იმედად იყვნენ. "ჩელსიმ" მადლობა პეტრ ჩეხს უნდა გადაუხადოს — ის რომ არა, გუნდი ვერც ფინალური შტურმისათვის მოიკრებდა ძალას.

ახლა გრანტს შეუძლია, გააკეთოს ის, რაც მისმა წინამორბედმაც ვერ გააკეთა — გაიაროს "ლივერპული" და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდეს, მაგრამ არასერიოზული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ "ჩელსი" უკვე ფინალშია. "ლივერპული" ბრძოლის გაგრძელებას აპირებს. ლონდონელები მათი ლიდერის, **ფრენკ ლემპარდისაგან** უფრო მეტს ელიან. ლემპარდი საუკეთესო ფორმაში არ იყო. მას დედა ჰყავს ავად და ერთკვირიანი შვებულებიდან სწორედ "ლივერპულთან" მატჩის წინ გამოვიდა. უფრო მეტი შეუძლია **მიხაელ ბალაკსაც**.

ფერნანდო ტორესი შეეცდება, "სტემფორდ ბრიჯზე" ასეთი დიდსულოვანი აღარ იყოს. მან საუცხოოდ ითამაშა, მაგრამ მომაკვდინებელი დარტყმა არ გამოუვიდა — "ჩელსი" თითქმის ანკესზე წამოაგო, მაგრამ ხელიდან გაუსხლტა.

განმეორებითი მატჩი ისევ მწვრთნელების ტაქტიკურ ჭიდილში ჩაივლის, მაგრამ ამჯერად "ჩელსის" ის უპირატესობა აქვს, რომელიც "ლივერპულთან" წინა შეხვედრებისას არ ჰქონია. ისინი მეორე მატჩს შინ ატარებენ და თან სტუმრად გატანილი გოლი უმაგრებთ ზურგს. თუ "ჩელსი" ფინალს მილმა დარჩება, თავს ველარ გაიმართლებს. როგორც ვთქვით, "ლივერპული" ბრძოლის გაგრძელებას აპირებს.

**ფილ მაკნალტი**
BBC

### ბრაუნს საშველი დაადგა

**ვესლი ბრაუნმა** "მანჩესტერ იუნაიტედთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელი "ოლდ ტრეფორდზე" 2012 წლამდე დარჩება. ინფორმაცია შეთანხმების თაობაზე, **სერ ალექს ფერგიუსონმა** გასულ უქმეებზე გაავრცელა. ბარსელონაში გამგზავრებამდე ურთიერთობა ოფიციალურად გაფორმდა. ორშაბათს, "მანჩესტერმა" ხელშეკრულებები გაუგრძელა კიდევ ორ ლიდერს — **რიო ფერდინანდსა** და **მაიკლ ქერიკს**. გუნდში ისინიც 2012 წლამდე დარჩებიან. ბრაუნის ძველი ხელშეკრულება ივნისში იწურებოდა. ფეხბურთელი ახალ კონტრაქტზე დიდი ხნის განმავლობაში აცხადებდა უარს. მას პირობები არ აკმაყოფილებდა. სპეკულაციების თანახმად, ფეხბურთელს "სელტიკი" და "ნიუკასლი" ეპატიჟებოდნენ. ნიუკასლელებს მანჩესტერელი მცველის შეძენა ჯერ კიდევ იანვრის ტრანსფერებისას სურდათ. მაგრამ საკითხი დაიხურა. ბრაუნი "ოლდ ტრეფორდზე" რჩება.

### გლებმა სეზონი დაასრულა

**ალექსანდრ გლებისათვის** სეზონი დასრულდა. გასულ უქმეებზე, "რედინგთან" მატჩისას, "არსენალის" ნახევარმცველს ნერვებმა უმტყუნა. მან მეტოქის კაპიტან **გრემ მერტის** გაშლილი ხელი შემოსცხო. არბიტრმა **პიტერ უოლტონმა** ინციდენტი ვერ დაინახა. სამაგიეროდ, მომხდარი ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს. საფეხბურთო ასოციაციამ ფეხბურთელს ვიდეოფირის საფუძველზე წაუყენა ბრალი. გლებმა დანაშაული აღიარა და მაშინვე სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. პრემიერლიგის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი. 26 წლის ფეხბურთელმა შვებულება ნაადრევად გამოიწერა. ის "დერბისთან", "ევერტონსა" და "სანდერლენდთან" თამაშებს გამოტოვებს.



ალექსანდრ გლები

### პიენაარი ევერტონში დარჩა

**სამხრეთაფრიკელმა** ნახევარმცველმა **სტივ პიენაარმა** "ევერტონთან" სრულფასოვანი კონტრაქტი გააფორმა. ის ლივერპულში ერთწლიანი ოჯარით ასპარეზობდა. მისი სატრანსფერო უფლებები კი დორტმუნდის "ბორუსიას" ეკუთვნოდა. გერმანულმა კლუბმა ფეხბურთელი 2 მილიონ გირვანქად გაყიდა. პიენაარმა გადაწყვიტა, "ევერტონში" 2011 წლამდე დარჩეს. მან ამ სეზონში 35 მატჩი ჩაატარა და ორი გოლი შეაგდო. სტივი გუნდის საკვანძო ფეხბურთელი გახდა. "ევერტონმა" კი ლიგის თასის ნახევარფინალსა და უეფას თასის 1/8 ფინალში გააღწია. ლივერპულური კოლექტივი პრემიერლიგაში მეხუთე ადგილზე იმყოფება და საგაისო უეფას თასის საგზური, ფაქტობრივად, ჯიბეში უდევს.

ინგლისური სააგენტოები მას "არსენალში", "ნიუკასლსა" და "ვალენსიაში" გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ფეხბურთელმა "გუდისონ პარკზე" დარჩენა არჩია. პიენაარმა პროფესიული კარიერა ამსტერდამის "აიაქსში" დაიწყო. "დორტმუნდში" მისი კარიერა დაღმავალი გზით წავიდა. გასულ ზაფხულს "ევერტონში" გადასვლა წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსალოდნელი ტრანსფერები

# იუვე ძამბროტას განიხილავს



ძამბროტას კატალონიური კარიერა ვერ აეწყო

შესაძლოა, "იუვენტუსმა" **ჯანლუკა ძამბროტა** დაიბრუნოს. 31 წლის მცველმა "ბარსელონაში" ვერ გაიბრწყინა. კატალონიაში ის "კალჩოპოლის" სკანდალის შემდეგ გადავიდა და ორი სეზონის განმავლობაში 75 მატჩი ჩაატარა. "ძამბრომ" მხოლოდ ესპანეთის სუპერთასი მოიგო. მოგეხსენებათ, "ბარსას" ყოფილი მცველი "მილანის" ინტერესთა სფეროშიცაა მოქცეული. "როსონერი" მისი გადაბირების ვარიანტს **რონალდინიოს** ტრანსფერთან ერთად განიხილავს და ამ ოპერაციაში 30 მილიონ ევროს იხდის. მაგრამ კატალონიური გიგანტი მარტო ბრაზილიელში 50 მილიონს ითხოვს, რაც გარიგების ჩაშლის მიზეზი შეიძლება გახდეს. აქედან გამომდინარე, ძნელი სათქმელია, გააგრძელებს თუ არა "მილანი" მხოლოდ ძამბროტასთვის ბრძოლას.

"იუვენტუსს" კი შანსი უჩნდება, ვეტერან მარცხენა მცველს ტურინში უკრას თავი. "ბარსელონაში" ის 9 მილიონ გირვანქად გაიყიდა. როგორც კატალონიაში გამომავალი გაზეთი "სპორტი" ირწმუნება, "ქალბატონის" ბოსებმა "ბარსას" შესაბამისი წინადადებით უკვე მიმართეს.

ჯანლუკამ "იუვეში" 7 შესანიშნავი სეზონი გაატარა. ამიტომ, ეს გარემო მისთვის მშობლიურია. მაგრამ აქ, შეიძლება, ერთი პრობლემა წარმოიშვას. საქმე ისაა, რომ "იუვენტუსის" ფანებს ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ იმ ფეხბურთელების მიმართ, ვინც 2006 წლის ამბების დროს ტურინული გრანდი გაჭირვების ჟამს მიატოვა. ასე რომ, კლუბის მესვეურებს ამ გარემოების გათვალისწინებაც მოუწევთ.

# სამპდორია: ჩვენ იგუაინი გვინდა

"სამპდორია" ბრწყინვალე სეზონს ატარებს. გენუელებს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის სერიოზული შანსი აქვთ. ეს თუ არა, მომდევნო სეზონში **ვალტერ მაძარის** გუნდი უეფას თასზე მაინც იასპარეზებს. ამიტომ, კლუბის ხელმძღვანელობა შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრობს. თითქმის გადაწყვეტილი ამბავია "რეალისგან" **ანტონიო კასანოს** გამოსყიდვა. იგეგმება სხვა ტრანსფერებიც. საყურადღებოა "სამპდორიის" ბოსის **ბეპე მაროტას** ბოლო განცხადება, **გონსალო იგუაინთან** დაკავშირებით. დიახ, ლიგურიელები "რეალის" არგენტინელ (ფრანგულ პასპორტსაც ფლობს) ფორვარდს უმიზნებენ. ამ ჩანაფიქრის მიხედვით, იგუაინი კასანოს პარტნიორი უნდა გახდეს თავდასხმაში, სადაც მათ რამდენჯერმე მოუწიათ ერთად თამაში, როცა ჭირვეული იტალიელი სამეფო კლუბის ღირსებას იცავდა.



გონსალო იგუაინი

იგუაინი "რეალმა" 2007 წლის იანვარში, "რივერ პლეიტისგან" იყიდა. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ამერიკაში ის მსოფლიო ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა, "რეალში" მან ბევრი ვერაფერი გააწყო, მეტადრე ამ სეზონში. **ბერნდ შუსტერმა** მას მხოლოდ რამდენჯერმე მისცა თავის გამოჩენის შანსი. არ არის გამორიცხული, დიდი კონკურენციის გამო, კლუბმა ამ ზაფხულს იგუაინი გაყიდოს კიდეც. "სამპდორია" პირველია, ვინც 20 წლის ფორვარდზე პრეტენზია ღიად განაცხადა.

*"ჩვენ მოგვწონს იგუაინი, ისევე, როგორც ბევრი სხვა ფეხბურთელი, - აცხადებს სინიორ მაროტა, - მაგრამ მისი ჩამოსვლა არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული".*

ერთ-ერთი ფაქტორი, შეიძლება, ჩემპიონთა ლიგა იყოს. როგორც ზემოთ ვთქვით, "სამპს" პრესტიჟულ ევროტურნირში მონაწილეობის შანსი აქვს. ლიგაში მოხვედრა კლუბს სერიოზულ თანხებს მოუტანს, რაც იგუაინის ტრანსფერის გარანტია შეიძლება გახდეს. ამიტომ, "სამპდორია" მოთმინებით დაელოდება სეზონის ფინიშს, ბოლომდე იბრძოლებს და მერე გამოჩნდება, რისი შესაძლებლობა აქვს.

# იბრაჰიმოვიჩი ნასვლაზე ალაპარაკდა



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

**ზლატან იბრაჰიმოვიჩსა** და "ინტერს" შორის შავმა კატამ გაირბინა. ბოლო ხანებში სიტუაცია დაიძაბა ფეხბურთელის ტრავმასთან დაკავშირებით, როცა განაცხადა, რომ შვედეთში აპირებს მკურნალობის გაგრძელებას. "იბრა" იმასაც კი ფიქრობს, სეზონის ბოლომდე "ნერაძურიში" აღარ ითამაშოს და ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადოს. ბუნებრივია, "ინტერის" ხელმძღვანელობა აღშფოთებულია და მოთამაშესთან ღია კონფლიქტს რომ აარიდოს თავი, პასუხისმგებლობას შვედეთის ნაკრებისა და იქაური ფედერაციის მესვეურებს აკისრებს.

მაგრამ ნასვლის მიზეზი სხვაც შეიძლება იყოს, მაგალითად, ერთი თვის წინათ **რობერტო მანჩინისა** და ფორვარდს შორის მომხდარი უსიამოვნება. ერთ-ერთი მატჩის დროს, შეცვლით უკმაყოფილო იბრაჰიმოვიჩმა უკმაყოფილება საჯაროდ გამოხატა. მართალია, მანჩინიმ ეს ყველაფერი უარჰყო, მაგრამ სიტუაციის გართულება არ დაუმალავს თავად ზლატანს, რომელმაც "ინტერის" თავკაცი იძულებული გახადა, ელიარებინა, რომ უსიამოვნება მართლაც მოხდა, მაგრამ ისიც დაამატა, რომ საკითხი ამოწურულია. ერთ-ერთმა ტელეარხმა თითქოს ისიც კი გაშიფრა, თუ რა წაიბუტბუტა შვედმა იმ მომენტში, როცა სათადარიგოთა სკამისკენ მიემართებოდა - იმედია, მანჩინი სეზონის ბოლოს მართლაც წავაო...

მაგრამ მანამდე, შეიძლება, თავად წავიდეს. შვედეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ის ამბობს: *"იტალიაში თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ არ ვიცი, რა მოხდება ახლო მომავალში. ძალიან მინდა, ინგლისში ან ესპანეთში თამაში. იქ ტექნიკურ ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას, ისევე, როგორც იტალიაში, მაგრამ პრემიერლიგა და პრიმერა დივიზიონი ჩემთვის ახალი გამოწვევა იქნება".*

ვიდრე ტრავმას მიიღებდა, ზლატანის ინტერული საქმეები მშვენივრად მიდიოდა და გუნდს არაფერი უჭირდა. სკუდეტოს მოგებაც სწორედ მისი ტრავმის შემდეგ დადგა ეჭვქვეშ. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე ჩემპიონატის 24 მატჩში მას 15 გოლი აქვს გატანილი.

# ამაურისთვის მარტო იუვენტუსი არ არის

მაშინ, როცა "პალერმოს" პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინიც** კი გარკვევით აცხადებს, რომ **კარვალიო ამაურის** "იუვენტუსში" გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ფეხბურთელის აგენტი **მარიო გრიმალდი** უცნაური კომენტარით იქცევს ყურადღებას. ის ამტკიცებს, რომ მის კლიენტს, "იუვეს" გარდა, სხვა წინადადებებიც აქვს და მათაც აქტიურად განიხილავს.

*"ჯერაც არ ვიცი, სად გააგრძელებს ამაური კარიერას, - ამბობს პატივცემული აგენტი, - მისით ბევრი კლუბია დაინტერესებული და ზოგიერთი მალე საჯარო შეთავაზებასაც გააკეთებს. ჩვენ კი ვმუშაობთ იმისთვის, რომ თითოეული ეს წინადადება კარგად ავწონ-დავწონოთ და გავარკვიოთ, რომელია კარვალიოსთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი. ისე კი, რომ იცოდეთ, საუბარია სოლიდურ ევროპულ კლუბებზე".*

რალაც შანტაჟის სუნი უდის ამ ყველაფერს. ამ დღეებში, იტალიური პრესა "არსენალზე" წერდა, მაგრამ ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობამ ხმები მყისვე უარჰყო, ამაური არ გვაინტერესებსო. არადა, პრეზიდენტმა ძამპარინიმ სიტყვასიტყვით გაამხილა - "მეთოფეები" 17 მილიონ გირვანქას იძლევიანო, თუმცა იქვე დაამატა, რომ მხოლოდ "იუვენტუსია" ის კლუბი, რომელმაც ტრანსფერისთვის ოფიციალური არხები გამოიყენა და ჩვენს შორის შეთანხმებას ბევრი არაფერი უკლიაო. აი, ძამპარინის კომენტარიც:

*"ყველამ იცის, რომ ტურინულ მხარესთან მოლაპარაკების პირველი რაუნდი გავმართეთ და თითქმის ყველაფერს ნათელი მოვფინეთ. ასე რომ, ეს ტრანსფერი ახლოსაა. რაც შეეხებათ სხვებს, მინდა დაგარწმუნოთ, რომ არც ერთ კლუბს, არც ინგლისიდან და არც ესპანეთიდან, ჩემთვის ოფიციალურად არ მოუმართავს. ერთადერთი, რა პრობლემაც ამაურის აქვს, პასპორტია. ჯერჯერობით, მან იტალიის მოქალაქეობის მიღება ვერ მოახერხა, დღემდე პასუხს ელოდება"...*

ბოლოს კი შანტაჟზე, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. არ გამოვრიცხავთ, აგენტის განცხადება სწორედაც შანტაჟი იყოს. ეტყობა, ის "იუვენტუსის" ყურადღების მიპყრობას ცდილობს. მიზანი? როგორც მინიმუმ, ტურინელებმა ფეხბურთელზე ფასის დაგდება აღარ უნდა მოითხოვონ. არც ისაა გამორიცხული, ბატონ გრიმალდის განცხადება სულაც ძამპარინის მიერ იყოს პროვოცირებული.

გვერდი მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**



კარვალიო ამაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეა

# ბერლუსკონის იტალიური სუპერლიგა უნდა

## სილვიომ მილანის პრეზიდენტის პოსტი ოფიციალურად დატოვა

**სილვიო ბერლუსკონიმ**, რომელიც რამდენიმე დღეში იტალიის პრემიერ-მინისტრის პოსტს ოფიციალურად დაიკავებს, "მილანის" პრეზიდენტის თანამდებობა დატოვა. ეს ორი სკამი ერთმანეთთან კანონით შეუთავსებელია. ამის გამო, წინა პრემიერობისას, მას სასამართლოშიც მოუწია სიარული. ბერლუსკონი იძულებულია, კანონს დაემორჩილოს. "როსონერის" ბოსი კი, ალბათ, **ადრიანო გალიანი** გახდება, თუ სილვიომ თავისი ვაჟის გაპრეზიდენტება არ მოინდომა...

ფეხბურთს კი ჩამოშორდა, თუმც საყვარელ სახეობაზე საუბარს ვერავინ დაუშლის. გუშინ, "რადიო რადიოსთან" ინტერვიუში, ბერლუსკონიმ იტალიური სუპერლიგის შექმნის იდეა წამოაყენა. მას მიაჩნია, რომ სერია A-მ დრო მოჭამა და ფინანსურად ძლიერმა იტალიურმა კლუბებმა ახალი ლიგის ჩამოყალიბებაზე უნდა იზრუნონ.

*"გრანდებმა ახალი ლიგა უნდა შექმნან. როცა დიდ ფულს აბანდებ რომელიმე კლუბში, წარმოუდგენელია, ეს კლუბი სათამაშოდ ჩადიოდეს პროვინციაში, 20-ათასიან სტადიონზე, რომელიც ყოველთვის ნახევრად ცარიელია".*

ბერლუსკონი ფიქრობს, რომ ამ გზით იტალიური კლუბები არა მხოლოდ გამდიდრდებიან, არამედ, უფრო კონკურენტუნარიანებიც გახდებიან. როგორც ჩანს, იტალიელებს ევროსარბიელზე განცდილი კრახი ძალიან აფიქრებთ. რაც შეეხება დასწრების პრობლემას, ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი მართლაც კატასტროფულად კლებულობს. მიზეზი არა ერთია: ხულიგნობა, თამაშების დაწყებისთვის მოუხერხებელი დრო, ძვირი ბილეთები, არაკომფორტული სტადიონები და ასე შემდეგ...

*"როცა ერთმანეთს მხოლოდ დიდი კლუბები ხვდებიან, სტადიონები ყოველთვის სავსეა და ტელევიზიებიდანაც დიდი ფული შემოდის. მხოლოდ ამგვარი პირობების შექმნით შეიძლება იქცნენ იტალიური კლუბები ევროპის წამყვან ძალად. ჩვენ დაკარგული იმიჯი უნდა დავიბრუნოთ".*

მაგრამ საინტერესოა, რომელი კლუბებია დღეს იტალიაში ფინანსურად ყველაზე ძლიერი? "მილანი", "ინტერი", "რომა" და "იუვენტუსი". და ისიც საინტერესოა, რამდენმა კლუბმა უნდა ითამაშოს სუპერლიგაში? სამწუხაროდ, ბერლუსკონი ასე შორს აღარ წასულა...



სილვიო ბერლუსკონი

რეალი

# რამოსის პრობლემა

## მილანი მას მალდინის შემცვლელად მოიაზრებს, მაგრამ კალდერონს არაფერს ეკითხება?

მადრიდის "რეალს" სერხიო რამოსი დიდ თავსატეხად ექცა. რამდენიმე დღის წინათ, სამეფო კლუბის ახალგაზრდა მცველმა სკანდალური განცხადება გააკეთა. რამოსი წუწუნებდა, გაურკვევლობაში ვარო. თურმე, მომავლის თაობაზე კლუბში არავინ არაფერს ეუბნება, ანუ, ფეხბურთელმა ჯერაც არ იცის, გაუხანგრძლივებენ თუ არა კონტრაქტს. გარდა ამისა, სერხიოს დღევანდელი ხელფასიც არ აკმაყოფილებს და მიიჩნევს, რომ "რეალის" ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებადი ფეხბურთელი არ უნდა იყოს...

ბუნებრივია, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველის ეს განცხადება გამოხმაურების გარეშე არ ჩაივლიდა. "მილანის" მესვეურებმა ყურები ცქვიტეს და შექმნილი სიტუაციის მათთვის სასარგებლოდ გამოყენება სცადეს. ყოველ შემთხვევაში, "როსონერის" ვიცე-ბოსმა **ადრიანო გალიანიმ** "კორიერე დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რამოსის ხელში ჩასაგდებად სერიოზული ბრძოლის დაწყებას აპირებს. იტალიური გრანდი ახალგაზრდა ესპანელს ლეგენდარული **პაოლო მალდინის** შემცვლელად მოიაზრებს. მოგეხსენებათ, "მილანის" სიმბოლო კარიერას ამთავრებს, ამიტომ, მას სასწრაფოდ უმაღლესი დონის შემცვლელი სჭირდება.

ძნელი სათქმელია, **რამონ კალდერონი** "მილანის" ინიციატივამ შეაშფოთა, თუ რამოსის განცხადებამ აუჩუყა გული, მაგრამ ფაქტია - სამეფო კლუბის მესვეურმა ფეხბურთელთან პირისპირ შეხვედრის სურვილი გამოთქვა. აი, რა განაცხადა მან "რადიო ონდა სეროსთვის" მიცემულ ინტერვიუში:

*"მსურს, ყველაფერში დეტალურად გავერკვე. წარმოდგენა არ მქონდა, თუ რამოსი ასე ცუდად გრძნობდა თავს. კარგი იქნებოდა, სერხიო ჯერ მე დამლაპარაკებოდა და პრესასთან ამის შემდეგ ესაუბრა... მაგრამ, არაუშავს. ნურავინ იფიქრებს, რომ მისი ბედი არ გვაინტერესებს. პირიქით, რამოსი თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მცველია და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" მან მრავალი წელიწადი გაატაროს. ჩვენი შეხვედრის შემდეგ ბევრ საკითხს მოეფინება ნათელი. არა მგონია, გადაუჭრელი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდეთ. სერხიო თუ გულწრფელად დამელაპარაკება და ყველა სატკივარს გამიმხელს, შევეცდები, მისთვის სასურველი გადაწყვეტილება მივიღო".*

პრინციპში, რამოსს შეუძლებელი არაფერი სურს. ის მხოლოდ იმას ითხოვს, რომ კონტრაქტი გაუხანგრძლივონ და ხელფასიც გაუზარდონ. სხვათა შორის, ამის პირობა მან **პრედრაგ მიატოვიჩისგან** პირადად მიიღო, მაგრამ გასული წლის ნოემბრის შემდეგ სერხიოსთვის არავის არაფერი უთქვამს...

**ილია ნიკოლაიშვილი**



სერხიო რამოსი

რომა

# ტოტი: სკუდეტო დაივიწყეთ

## პუპონეს რომასთვის რომაელი მფლობელი უნდა, სოროსმა კი ლიპიო



ფრანჩესკო ტოტი ოპერაციის შემდეგ მემარცხენე ცენტრისტმა ფრანჩესკო რუტელიმ მოინახულა

**ფრანჩესკო ტოტი** ჰოსპიტალიდან გამოწერეს. კაპიტნის მარჯვენა მუხლზე ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და გაჩნდა იმედი, რომ ფეხბურთს უფრო ადრე დაუბრუნდება, ვიდრე წინასწარ ითქვა. პირველი კომენტარი, რომელიც ტოტიმ გააკეთა, სკუდეტოს ეხებოდა. "რომას" ჯერ კიდევ შერჩა ჩემპიონობის მოგების შანსი, მაგრამ "ლივორნოსთან" საშინაო ფრის შემდეგ ეს შანსი საგრძნობლად შემცირდა, მით უფრო, რომ "ინტერმა" თავისი თამაში მოიგო და მდევართან სხვაობა ექვს ქულამდე გაზარდა. დარჩენილ ოთხ მატჩში "ნერაძურის" 7 ქულა (ორი მოგება და ერთი ფრე, ჯამში 85 ქულა) სჭირდება, რათა ტიტული გაინაღდოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ინტერს" მილანურ დერბიში წაგების უფლებაც აქვს, "ჯალოროსი" კი მაქსიმუმ 84 ქულას უყრის თავს...

*"ჩემთვის, სკუდეტოს თემა ამოწურულია,* - უთხრა ტოტიმ *"რაი უნოს"*, - *რა თქმა უნდა, შანსი ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ ვიყოთ რეალისტები: 99 პროცენტით შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონობა "ინტერს" დარჩება. დარწმუნებული ვარ, ბიჭები ბოლომდე იბრძოლებენ, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი "ლივორნოსთან" მატჩში გადაწყდა. ჩვენ ქულების დაკარგვის უფლება არ გვქონდა"...*

შემდეგ, "პუპონემ" "რომას" პოტენციურ ინვესტორებზე ისაუბრა. მოგეხსენებათ, დედაქალაქურ გრანდს მილიარდერი ფილანტროპი **ჯორჯ სოროსი** ყიდულობს. მოლაპარაკებები ჯერ ბოლომდე არ მისულა, მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, რომ გარიგების სრულყოფას ბევრი არაფერი უკლია. ტოტი კი იმის მომხრეა, რომ რომაულ კლუბს რომაელი ინვესტორი ჰყავდეს. სოროსის გარდა, "რომას" ყიდვას დუბაის ცნობილი ფინანსური ჯგუფიც ცდილობს. მაგრამ ტოტის გარდა, გამოჩნდნენ სხვებიც, რომლებიც კალჩოში უცხოური კაპიტალის დაბანდებას ეწინააღმდეგებიან, მაგალითად, "ლაციოს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** და "მილანის" ვიცე-ბოსი **ადრიანო გალიანი**. მედიის მტკიცებით, ამ პერსპექტივას თურმე ნეგატიურად უყურებს "როსონერის" აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი **სილვიო ბერლუსკონიც** (როგორც ახლადარჩეული პრემიერ-მინისტრი, იძულებულია, კანონს დაემორჩილოს და საკლუბო პოსტი დატოვოს), მაგრამ ეს უკანასკნელი სპეკულაციებს კატეგორიულად უარჰყოფს - პირიქით, მოხარული ვიქნები, თუ იტალიურ ფეხბურთში კიდევ უფრო მეტი ფული შემოვაო...

ბოლოს კი დავუბრუნდეთ ტოტის, რომელმაც ინტერვიუ კლუბის სატრანსფერო გეგმებზე საუბრით დაასრულა, თუმცა ახალი მოთამაშეების ვინაობა არ დაუკონკრეტებია: *"ვიცი, რომ ორი თუ სამი ახალი ფორვარდი ჩამოვა. მჯერა, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ ახალი და ძლიერი "რომა" დამხვდება. მომავალ სეზონში სკუდეტო ჩვენ უნდა დაგვრჩეს".*

რაკი "რომაზე" ვსაუბრობთ და პოტენციური ინვესტორიც ვახსენეთ, ბარემ იმაზეც ვთქვათ, რაც გუშინ იტალიურმა სააგენტოებმა დაწერეს. მაგალითად, "კორიერე დელა სერა" ამტკიცებს - "რომაში" სოროსის მისვლა, **მარჩელო ლიპის** დანიშვნასაც ნიშნავსო. უნგრული წარმოშობის ბიზნესმენს მიაჩნია, რომ "ჯალოროსიმ" უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს, ხოლო ამის გარანტია ისეთი სახელგანთქმული სპეციალისტი უნდა იყოს, როგორიც ლიპია. მაგრამ აქ არ არის საუბარი **ლუჩანო სპალეტის** გაშვებაზე. საქმე ისაა, რომ მარჩელოს სპორტული დირექტორის პოსტს შესთავაზებენ. საინტერესოა, რამდენად მისაღები იქნება ლიპისთვის კაბინეტური სამუშაო? ამასწინათ, ის ამბობდა, რომ მოუთმენლად ელის ფეხბურთში დაბრუნებას, ხოლო საკუთარი თავი მხოლოდ მწვანე მინდორსა და მის სიახლოვეს წარმოუდგენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# შადრევანს ნუ მიუახლოვდებით!

## სამეფო კლუბი აკრძალვის გაუქმებას ითხოვს. როგორ უნდა მოიგოს კასილიასმა სამორას ჯილდო?


რეალი სიბელესზე ფრთხილად უნდა იყოს

პრიმერა დივიზიონის დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი, მაგრამ "რეალის" ხელმძღვანელობა საჩემპიონო ფიესტისთვის მზადებას უკვე შეუდგა. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო ტურში სამეფო კლუბი "სან მამესზე" "ბილბაოს" დაამარცხებს, "ვილიარეალი" და "ბარსელონა" კი ქულებს დაკარგავენ, სამეფო კლუბი ესპანეთის ჩემპიონის ტიტულს გაინალდებს. მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარებას, რა თქმა უნდა, ვერავინ გამორიცხავს. იოლი შესაძლებელია, ამ უქმეებზე მადრიდული გრანდი მართლაც ჩემპიონი გახდეს. ამას კი მეფური აღნიშვნა სჭირდება...

სწორედ ამიტომ, "რეალის" პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა**, მადრიდის მერიის ღონისძიებათა ორგანიზების სამსახურის უფროსთან ერთად, სადღესასწაულო ფიესტის გეგმა შეიმუშავა. მხარეები, ფაქტობრივად, ყველაფერზე შეთანხმებულები არიან. სერიოზულ უთანხმოებას მხოლოდ ერთი ფაქტი იწვევს. წინა წლებში, როცა "რეალი" ჩემპიონი ხდებოდა, ფეხბურთელებს სიბელესის შადრევანში ჩახტომისა და ჭყუმპალაობის უფლება ჰქონდათ. მათ ქანდაკებაზე აძრომასაც არავინ უკრძალავდა. მაგრამ რამდენიმე წლის წინათ, **რობერტო კარლოსმა** ზედმეტი მოინდომა და ცხენის ქანდაკებას ყური მოსტეხა. ამის შემდეგ მადრიდის მერიის მესვეურებმა "რეალის" ფეხბურთელებს შადრევანთან მიახლოებაც კი აუკრძალეს. მაგალითად, გასულ სეზონში საჩემპიონო ფიესტისთვის სპეციალური პოდიუმი დაამზადეს და მოთამაშეები იქ შეიკრიბნენ. ერთი შეხედვით, აქ პრობლემური არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ "რეალის" ხელმძღვანელობა და გულშემატკივრები ტრადიციებს უდიდეს პატივს სცემენ. შარშან შადრევანთან მიახლოების აკრძალვის გამო, საზოგადოებას უკმაყოფილების გრძნობა დარჩა. კალდერონმა დედაქალაქის მერის სახელზე წერილი დაწერა. ქალაქის მმართველს ის უმორჩილესად სთხოვს, რომ აკრძალვა გააუქმონ და ტრადიცია აღადგინონ. პასუხი მისთვის ჯერჯერობით არ გაუციათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საკითხზე მუნიციპალური საბჭო იმსჯელებს და გადაწყვეტილებას კვირის ბოლომდე გამოიტანს.

სამეფო კლუბისთვის კიდევ ერთი აქტუალური საკითხი ე.წ. საჩემპიონო დერეფნის მოწყობაა. ამ თემამ განსაკუთრებული მასშტაბი ფრიად დელიკატური გარემოების გამო შეიძინა. იმ შემთხვევაში, თუ **ბერნდ შუსტერის** ბიჭები მომავალ უქმეებზე ჩემპიონები გახდებიან, "რეალს" ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაცია საჩემპიონო ჯილდოს უახლოესი საშინაო შეხვედრის დაწყებამდე გადასცემს. "სანტიაგო ბერნაბეუზე" კი სამეფო კლუბი მომდევნო პაექრობას "ბარსელონის" წინააღმდეგ ჩაატარებს. ესპანური ფეხბურთის ტრადიციის მიხედვით, ახლადგაჩემპიონებულ კლუბს მეტოქემ საპატიო დერეფანი უნდა გაუკეთოს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სუპერკლასიკომ დამატებითი ინტრიგა შეიძინა. როგორი საქმეა, "ბარსამ" მის მოსისხლე მტერს დერეფანი გაუკეთოს. აღსანიშნავია, რომ კატალონიური გრანდის მესვეურები ამ საკითხზე არ საუბრობენ. ჟურნალისტებმა **ჩიკი ბეგირისტაინს** არაერთი კითხვა დაუსვეს, მაგრამ გენერალური დირექტორი პასუხს თავს არიდებს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჯერჯერობით არავინ იცის, დაიცავს თუ არა "ბარსელონა" დაუწერელ კანონს...

როგორც ჩანს, მადრიდელებს ძალიან უნდათ, რომ "ბარსელონა" დამცირებულ მდგომარეობაში იხილონ. თუმცა, ბუნებრივია, ამას ღიად არ იტყვიან. პირიქით, ისინი ყოველმხრივ ცდილობენ, რომ კატალონიელებს თავზე ხელი გადაუსვან და საპატიო დერეფნის მოწყობა გადააწყვეტინონ. პრეზიდენტ კალდერონის განცხადება ასეთია:

*"დერეფნის მოწყობაში დამამცირებელი არაფერია. პირიქით, ეს კოლეგიალობასა და მოწინააღმდეგის პატივისცემაზე მეტყველებს. რა თქმა უნდა, ყველაფერი თავად კატალონიელების გადასაწყვეტია, მაგრამ მათ ადგილზე, პირადად მე, პრობლემა არ მექნებოდა. უბრალოდ, ეს ძალიან ლამაზი და დაუვიწყარი სანახაობა იქნება. ხშირად აჭარბებენ, როცა "რეალისა" და "ბარსას" დაუძინებელ მტრობაზე საუბრობენ. ამასწინათაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ძალიან მინდა, "ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვოს. გარკვეულწილად, ჩვენ ერთ ბედს ქვეშ ვართ. ორივე გუნდი საერთაშორისო ასპარეზზე ესპანეთის ღირსებას იცავს. მოკლედ, ვნახოთ, რას გადაწყვეტენ ისინი. თუმცა, პირველ რიგში, ჯერ ჩემპიონობა უნდა გავინალდოთ".*

ჩემპიონობა ჩემპიონობად, მაგრამ "რეალში" სხვა საკითხებიც აღელვებთ. მაგალითად, **იკერ კასილიასს** ძალიან უნდა, რომ ამ სეზონში **ხესუს სამორას** ჯილდოს დაეუფლოს. სხვათა შორის, სამეფო კლუბის გოლკიპერს ამისთვის საკმაოდ კარგი შანსიც აქვს. თუმცა მიზნის მისაღწევად, იკერს გუნდის დახმარება სჭირდება...

საქმე ის არის, რომ კასილიასმა პრიმერა დივიზიონში ჩატარებულ 33 შეხვედრაში 30 გოლი გაუშვა. მისი კოეფიციენტი 0.91 პროცენტს შეადგენს, უპირველეს კონკურენტად კი სანტანდერელი **ტონიო** ჰყავს. აღსანიშნავია, რომ მას მხოლოდ 28 გოლი აქვს გაშვებული, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კასილიასზე ნაკლები შეხვედრა აქვს ჩატარებული, მისი კოეფიციენტი 0.88 პროცენტს შეადგენს. თუ მომდევნო უქმეებზე "რეალი" ჩემპიონობას ვადაზე ადრე გაინალდებს, შუსტერი კასილიასს კარში აღარ დააყენებს და, შესაბამისად, გოლსაც აღარ გაუშვებს. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ "რასინგის" ხელმძღვანელობაც ანალოგიურ ხრიკს მიმართავს, მაგრამ აქ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ: კანტაბრიელები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან და თავს იმის უფლებას ვერ მისცემენ, რომ გარისკონ და სანუკვარი მიზანი სამორას ჯილდოს ანაცვალონ. თუ ტონიოს ტრავმა ხელს არ შეუშლის, ყველა შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. ეს კი გოლების გაშვების დიდ ალბათობას შეიცავს.

თუ კასილიასი კარს მშრალად შეინახავს, "რეალი" კი "ბილბაოს" დაამარცხებს და კონკურენტთა წაბორძიკების ფასად, ჩემპიონი ვადამდე გახდება, იკერი სანატრელ სამორას ტიტულს დაეუფლება. აღსანიშნავია, რომ ამ ჯილდოს სამეფო კლუბის გოლკიპერი ბოლოს 1992 წელს დაეუფლა. მაშინ, მადრიდული გიგანტის ღირსებას **პაკო ბუიო** იცავდა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

შალკე. ახალი მწვრთნელი

# კობის გუნდს რუტენი მიხედავს

## სლომკას შემცვლელმა კონტრაქტი 2010 წლამდე გააფორმა



კონტრაქტი 2010 წლამდე:
ანდრეას მიულერმა ფრედ რუტენს ესტაფეტა გადასცა

გელზენკირხენის „შალკეს" ხელმძღვანელებმა გასულ უქმეებზე თანამდებობიდან გათავისუფლებული **მირკო სლომკას** შემცვლელს მიაგნეს. როგორც მოსალოდნელი იყო, **ლევან კობიაშვილის** გუნდის მთავარი მწვრთნელი ჰოლანდიელი **ფრედ რუტენი** გახდება. 45 წლის რუტენი გელზენკირხენული კლუბის შეფებმა გუშინ ოფიციალურად წარადგინეს. ეს სპეციალისტი ამჟამად „ტვენტეს" წვრთნის და „შალკეში" მუშაობას ზაფხულიდან შეუდგება. შეიძლება ითქვას, რომ „ხუმარების" ბოსებმა ის კანდიდატი დაითანხმეს, რომელსაც მათთვის სასურველ მწვრთნელთა სიაში პირველი ადგილი ეკავა. აღსანიშნავია, რომ ამ მწვრთნელის გადაბირებისთვის კიდევ ერთი გერმანული კლუბი „ჰამბურგი" იბრძოდა. რუტენს „ტვენტესთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ „შალკემ" მისი ხელშეკრულება უნდა გამოისყიდოს, რაც „ხუმარებს" დაახლოებით ნახევარი მილიონი ევრო დაუჯდებათ.

„შალკეს" მომავალი მწვრთნელი გუშინ 20 ტელეოპერატორისა და 100 ჟურნალისტის წინაშე წარდგა. *„ვამაყობ იმით, რომ „შალკეში" მომიწვიეს და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში ვიმუშავებ. ეს გუნდი ჩემს წარმოდგენებსა და საფეხბურთო ფილოსოფიას იდეალურად ესადაგება, რის გამოც დარწმუნებული ვარ, რომ „შალკე" ჩემს ხელში წარმატებებს მიაღწევს,"* – განაცხადა რუტენმა. მას კონკრეტული მიზნის შესახებაც ჰკითხეს, მაგრამ ამ თემაზე საუბარი ამ ეტაპზე არ ისურვა: *„გუნდს ჯერ არ ვიცნობ და ესეც არ იყოს, რეალისტი ადამიანი ვარ, წინასწარ ლაპარაკი არ მჩვევია, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი შესაძლებელია."*

*„მას მერე, რაც უმწვრთნელოდ დავრჩით, ფრედი ჩვენთვის ნომერ პირველი კანდიდატი იყო. მას უდიდესი გამოცდილება აქვს, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია და საფეხბურთო სამყაროში ძალიან გაწონასწორებულ სპეციალისტად იცნობენ. 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ „შალკესთვის" იდეალური მწვრთნელი შევარჩიეთ,"* – ეს სიტყვები გუნდის გენერალურ მენეჯერ **ანდრეას მიულერს** ეკუთვნის.

ფრედერიკუს „ფრედ" რუტენი 1962 წლის 5 დეკემბერს ქალაქ ვიიხენში დაიბადა. ფაქტობრივად, მთელი აქტიური სპორტული კარიერა (1980-1992) „ტვენტეში" აქვს გატარებული, სადაც 307 მატჩი ჩაატარა. სამწვრთნელო კარიერის დიდი ნაწილიც მშობლიურ კლუბში გაატარა. 1996-დან 1999 წლამდე ის **ჰანს მაიერის** თანაშემწე გახლდათ და 1999 წელს, „რკინის ჰანსის" წასვლის შემდეგ მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. 2002-დან 2006 წლამდე რუტენი „ეინდჰოვენში" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო. 2006 წელს კი ისევ „ტვენტეში" დაბრუნდა და მწვრთნელთან ერთად, ტექნიკური დირექტორის სტატუსიც მიიღო. პირველ სეზონში მან გუნდი ინტერტოტოს თასზე გაიყვანა, საიდანაც „ტვენტე" უეფას თასზე გადავიდა. ჰოლანდიელი ექსპერტები მას დისციპლინისა და შემტევი ფეხბურთის მოყვარულ სპეციალისტად ახასიათებენ. გასულ წელს ფრედი ჰოლანდიელმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

სეზონის ბოლომდე „შალკეს" **იური მიულდერი** და **მიკა ბიუსკენსი** გაწვრთნიან. რუტენის მოწვევა სწორედ მიულდერის იდეა იყო.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# ლამი მიუნხენიდან წავა?

## ბავარიელები ფილიპს კონტრაქტის გაგრძელებას აღარ სთავაზობენ

„ბაიერნის" ხელმძღვანელები ფილიპს **ლამს** ახალი კონტრაქტის გაგრძელებას სთავაზობდნენ, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და კლუბმაც გადაწყვიტა, რომ შეთავაზება მოეხსნას. ლამს რეკორდმაისტერთან ხელშეკრულება 2009 წლამდე აკავშირებს და ბავარიელებს უნდოდათ, რომ გერმანიის ნაკრების ფლანგის მცველისთვის კონტრაქტი ნაადრევად გაეგრძელებინათ. ჩვენი გერმანელი კოლეგების თქმით, ბავარიელებმა ლამს ხელფასის მნიშვნელოვნად გაზრდა შესთავაზეს, მაგრამ ფილიპი ჯერჯერობით უარზეა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მისი გადაბირება „ბარსელონას" სურს. კატალონიელებს უნდათ, რომ წელს თუ არა, ლამი გაისად მაინც ჩაიგდონ ხელში და თანაც, 2009 წელს ის უფასო იქნება. *„ერთი რამ ცხადია, კონტრაქტი რომც არ გააგრძელოს, „ბაიერნს" ხელშეკრულების ამოწურვამდე ვერ დატოვებს და ვალდებული იქნება, 2009 წლის 30 ივნისამდე ჩვენთან იყოს."* – ეს ბავარიელთა ვიცე-პრეზიდენტ **კარლ ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია. მიმდინარე სეზონში ლამმა ბუნდესლიგაში 20, უეფას თასზე 8, ხოლო გერმანიის თასზე კი 5 თამაში ჩაატარა.



ფილიპ ლამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. საქართველო–ესპანეთი, 26 აპრილი

# ესპანეთი 5 ლეგიონერით

ერთა თასის ბოლო შეხვედრაში საქართველოს ნაკრების მეტოქემ, ესპანეთის გუნდმა ორი დღეა მატჩისთვის მზადება დაიწყო. პირინეელი "ლომების" ინგლისელმა თავკაცმა **გედ გლინმა** ოცდაორკაციან შემადგენლობაში ხუთ ლეგიონერს უხმო. აქედან ოთხი საფრანგეთის სხვადასხვა კლუბებში ასპარეზობს, ერთი, უკანახაზელი **პაბლო ფეიხოო** ინგლისურ "ლესტერ თაიგერზში" ირიცხება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებების დაპირისპირებას დაესწრება FIRA AER-ის პრეზიდენტი **ჟან კლოდ ბაკე**, რომელიც თბილისში თან ერთა თასს ჩამოიტანს.

**ესპანეთი**

**პაბლო ფეიხოო** (ლესტერ თაიგერზი), **რაფაელ ალვარესი** (სენ ჟან და ლუზი, საფ), **კირილ იხარი** (ლავორი, საფ), **მატიე გრატონი** (გროლე, საფ), **ხესუს მორენო** (ბაიონი, საფ), **იგნასიო მარტინი** (ბერა ბერა), **ხავიერ კანოსა**, **ხავიერ სალასარი**, **სესარ სემპერე** (პოსეულო), **ხუან კანო** (კისენეროსი), **მარტინ ერედია**, **ხაიმე ნავა** (ალკობენდასი), **ვიქტორ მარლეტი** (სანტბოიანა), **ივან კრიადო**, **მანუელ სერანო**, **სერხიო სოუტო** (ელ ვალვადორი), **რაფაელ კამაჩო**, **ლეონარდო არამბურუ** (სევილია), **ხოსე ბორხესი**, **ხუან გონსალესი**, **მანუელ მასო**, **ხესუს რეკუერდა** (კახასოლი).

**ბესიკ ჯანგავაძე**

მსოფლიო თასი. U-20

# ელიტაში ასვლა გადაიდო

**საქართველო-ურუგვაი 16:20**

საქართველო: (15-9) **გოდერძი ჯოგლიძე**, **ალექსანდრე ტუჩაშვილი**, **სანდრო ინაშვილი**, **რატი ნუცუბიძე**, **ჯაბა კიკვიძე**, **ლაშა ხმალაძე** (**გიგა კორკელია** 72), **გიორგი როხვაძე** (**გიორგი ჭინჭარაული** 54); (1-8) **ირაკლი მირცხულავა** (**ვასილ კაკოვინი** 49), **ბექა სულუხია** სბ 77, **გიორგი ჯაშიტაშვილი** (**გიორგი ტორაძე** 46), **დავიდ ჩიჩუა**, **ალექსანდრე იორდანაშვილი** (**ბექა ნიკოლაიშვილი** 53), **ვახტანგ მძინარიშვილი**, **არჩილ კობაური** (კაპ), **ვიქტორ კოლელიშვილი** სბ 22 - ლ, გ,3ს (*ჯოგლიძე*)

მსაჯი: სალვადორ ენკინასი (ჩილე)

საქართველოს ოწლამდელთა ნაკრებმა ელიტაში აღზევება ვერ შეძლო. ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში მიმდინარე მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირზე ჯგუფის ბოლო შეხვედრა პატარა ბორჯღალოსნებმა ურუგვაის ნაკრებთან წააგეს – 16:20.

თექვსმეტივე ქულა გუნდს „ლელოს" ფულბეკმა **გოდერძი ჯოგლიძემ** მოუტანა. ანგარიში საჯარიმო დარტყმიდან სწორედ მან გახსნა მატჩის მე-9 წუთზე, რაზეც მოწინააღმდეგემ გარდაუსახავი ლელოთი გვიპასუხა - 5:3. მაშინ, როცა მატჩის ჩილელმა არბიტრმა სინბინში 8 ნომერი **ვახტანგ კოლელიშვილი** გაუშვა და კაცნაკლულნი ვიყავით, ჯოგლიძემ ზედიზედ ორი საჯარიმო გაიტანა და ისევ დავწინაურდით - 9:5. ტაიმის მიწურული ურუგვაელების უპირატესობით წარიმართა და ორი ზუსტი საჯარიმო უკვე მათ ანგარიშზე იყო - 11:9.

მეორე ტაიმი ისევ აქტიურად დავიწყეთ. 48-ე წუთზე ჯოგლიძემ ლელო გაიტანა და გარდასახა კიდეც - 16:11. ურუგვაელებმა 14 წუთში სხვაობა შეამცირეს - 14:16, გადამწყვეტი უპირატესობა კი თამაშის ბოლოს მოიპოვეს. 72-ე და 76-ე წუთებზე ლათინების დამრტყმელმა **ხერმან ალბანელიმ** ორი საჯარიმო გაგვიტანა - 20:16. ერთ წუთში არბიტრმა ქართველები ისევ კაცნაკლულნი დატოვა, ამჯერად მოედნიდან პირველხაზელი **ბექა სულუხია** გააძევა. მატჩის გადარჩენა ვერაფრით მოხერხდა.

ამრიგად, საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და ახლა 27 აპრილს, ჩილესა და რუმინეთს შორის დამარცხებულს მესამე ადგილისთვის დაუპირისპირდება.

კორეა-იამაიკა 55:17. სატურნირო მდგომარეობა: **ურუგვაი-14** ქულა, საქართველო-11, კორეა-6, იამაიკა-0

**ბესიკ ჯანგავაძე**



საქართველო-ურუგვაი.
ბურთით გოდერძი ჯოგლიძე

ჩოგბურთი

# კორტზე მხოლოდ შაფათავა შერჩა



სოფიო შაფათავა

უზბეკეთის ქალაქ ნამანგანში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. ამ კვირაში დიდების ტურნირებში ერთადერთი **სოფიო შაფათავა** შემორჩა, სხვა ყველა ჩვენებური ნაადრევად დაემშვიდობა გათამაშებებს. სოფიო შაფათავა 19 წლისაა, ის მსოფლიოს 356-ე ჩოგანია. შაფათავამ ნამანგანში მერვედფინალური მატჩი მოუგო საკვალიფიკაციო ბადიდან გასულ უკრაინელ **ანასტასია ვასილიევას** – 7:5, 6:4. მეოთხედფინალში შაფათავას მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი ჰოლანდიელი **ჩაიენე ევიკი** იქნება, თავად ქართველი ჩოგბურთელი ტურნირზე მე-4 ნომრად არის განთესილი.

წყვილთა თანრიგში შაფათავა და რუსი **მარინა შამაიკო** (მე-3 ნომრად განთესილები) მეოთხედფინალში დამარცხდნენ, მათ ჩინელმა **ლიუმ** და უზბეკმა **კოლესნიჩენკომ** – 6:2, 3:6, 8:10. ნამანგანს საბოლოოდ დაემშვიდობა **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელმაც **ქსენია პალკინასთან** (ყირგიზეთი) დუეტში მეოთხედფინალში ევიკთან და რუს **მელნიკოვასთან** დამარცხდა – 6:3, 5:7, 4:10. არადა, ოქსანა და ქსენია პირველ ნომრად იყვნენ განთესილები.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გორგოძე აღარ ხუმრობს

ფრანგული რივიერის კურორტ ბოლე სურ მერში 18-წლამდელ ჩოგბურთელთა პირველი კატეგორიის ტურნირი დაიწყო. ბოლე სურ მერის თიხნარის კორტებზე სხვებთან ერთად ასპარეზობაში 16 წლის **ეკა გორგოძე** და 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** ჩაერთნენ. ორივე ჩვენებურმა იქ ასპარეზობის უფლება ისტრის მეორე კატეგორიის ტურნირში წარმატებული თამაშის და არა რეიტინგის წყალობით მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ გორგოძემ საკვალიფიკაციო ბადიდან ფინალამდე გააღწია, კუხალაშვილმა კი - ნახევარფინალამდე.

ლაზარე კუხალაშვილი დღეისთვის ახალგაზრდულ რეიტინგში 269-ე პოზიციაზეა, ბოლე სურ მერის ტურნირის პირველ წრეში ის 18 წლის იტალიელ **ერიკ კრეპალდის** (97) ხვდებოდა. სამწუხაროდ, ქართველმა მატჩი ორ სეტში დათმო - 3:6, 4:6. სამაგიეროდ, ბრწყინვალედ იასპარეზა ეკა გორგოძემ (171), რომელმაც პირველ წრეში "უაილდ ქარდით" მიწვეულ **მორგან პონსს** (255) მოუგო - 6:2, 6:0. მეორე წრეში გორგოძე მე-5 ნომრად განთესილ რუს **მარტა სიროტკინას** (43) ეთამაშება. ლაზარე კუხალაშვილი წყვილთა თანრიგში კოლუმბიელ **კრისტიან როდრიგესთან** (277) ერთად იასპარეზებს, გორგოძე კი - რუს **იანა ბუჩინასთან** (65) ერთად. ქართველებმა წყვილთა თანრიგში მოგებით დაიწყეს. ლაზარემ და კრისტიანმა ლატვიელი ოპმანისი და უკრაინელი ჟორნიაკი დაამარცხეს – 6:3, 4:6, 10:8. ქართულ-კოლუმბიული დუეტი მერვედფინალში მე-8 ნომრით განთესილ ბრიტანულს (**ნაითი, თომპსონი**) შეხვდება. ეკამ და იანამ ფრანგული დუეტი (**რამაილსონი, ბუჟონი**) იოლად დაამარცხეს – 6:2, 6:4. მერვედფინალში ისინი მე-4 ნომრად განთესილ ფრანგ **შალასა** და რუს **სავინიხის** წყვილს დაუპირისპირდებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ანტიკური ჭიდაობა

# 5 ოქრო სოფიიდან

ამ უქმეებზე სოფიაში დასრულდა ვასილ და გეორგი ილიევების მემორიალი ჭაბუკთა შორის, რომელშიც ძალიან დიდი წარმატებით იჭიდავა ჩვენმა ნაკრებმა - ოქროს 5 და ბრინჯაოს 3 მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები **გიორგი გოგბერაშვილი** (46), **გიორგი დავითაია** (50), **ქემალ ხარაბაძე** (54), **საჩინო დავითაია** (58) და **სერგო გოგისვანიძე** (100) გახდნენ, ბრინჯაოს მედლებს კი **როინ ძირკვაძე** (42), **უშანგი ჩიტიაშვილი** (69) და **რევაზ ნადარეიშვილი** (85) დაეუფლნენ.

წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი გახლდათ და ისეთი ძლიერი გუნდებიც მონაწილეობდნენ, როგორიც საკუთრივ ბულგარეთი, უნგრეთი, თურქეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და ჩეხეთია. აქ მხოლოდ განსაკუთრებით ძლიერები გამოვარჩიეთ, თორემ რაოდენობა ბევრად მეტი გახლდათ. თანაც, მასპინძლები რამდენიმე გუნდით გამოდიოდნენ. წარმატება გასახარია იმ მხრივაც, რომ ეს ჭაბუკები ჩვენი ჭიდაობის ხვალინდელი დღეა, ჩამოთვლილთაგან ბევრმა შარშანაც მოიპოვა მათი ასაკისთვის საკმაოდ საყურადღებო წარმატებები (მაგალითად, შავი ზღვის აუზის თამაშებზე), ანუ მათი პროგრესი კანონზომიერად მიდის. ცხადია, ეროვნულში მოხვედრამდე და დიდ მოჭიდავეებად ჩამოყალიბებამდე მათ ჯერ კიდევ დიდი გზა უნდა გაიარონ, მაგრამ ამ ეტაპზე ესეც დამაიმედებელი სიმპტომია.

წუხელ ჭაბუკები უკვე დაბრუნდნენ თბილისში, ახალგაზრდები კი წუხელ გაფრინდნენ გერმანიაში - ფრანკფურტში, "გერმანიის თასზე" იჭიდავებენ. ნაკრები ამ ტურნირით ოფიციალურად შეუდგება 15-20 ივლისს სლოვაკეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას. იქ წასაყვანი ბირთვი საქართველოს პირველობაზე გამოიკვეთა, მერე ბათუმშიც იჭიდავეს, ახლა კი მზადების მეორე ეტაპზე გადადიან, რომელიც საერთაშორისო ტურნირებს მოიცავს - გერმანიის შემდეგ თურქეთსა და სომხეთშიც გამოვლენ. ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** ფრანკფურტში უძლიერესი შემადგენლობა იახლა: **ზურაბ მაჭარაშვილი** (50), **გოგა გოგბერაშვილი** (55), **უჩა შავაძე** (60), **რამაზ ვაშაყმაძე** (66), **არსენ კახაბრიშვილი** (74), **გიორგი ლვინიაშვილი** (84), **ვასილ იმერლიშვილი** (96) და **რამინ შაქარაშვილი** (მძიმე).

**ირაკლი თავაძე**

ლეგიონერები

# ოთხნი ელიტისკენ





მასი-ლა სეინი. დავით დადუნაშვილი მოედანზე და ვიქტორ დიდებულიძე მწვრთნელის ადგილზე

**საფრანგეთის** სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მეორე ჯგუფური ეტაპის გათამაშება დასრულდა. მეორე დივიზიონში გადასვლისთვის მებრძოლთა შორის წარმატებით იასპარეზა ქართველ მორაგბეთა სამივე გუნდმა. „ორლეანი", „პერიგო" და „ბობინი" პლეი ოფში გააგრძელებენ ბრძოლას.

A ჯგუფში **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით გასვიანის** „ბობინიმ" საკუთარ მოედანზე გადამწყვეტ შეხვედრაში უშუალო კონკურენტი „შალონი" დიდი გაჭირვებით დაამარცხა 22:20 და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. „ბობინი" პლეი ოფში პირდაპირ მეოთხედფინალში მოხვდა და მის მეტოქეს „მარმანდისა" და „ექსის" დაპირისპირება გამოავლენს.

D ჯგუფში პირველი ადგილი ერთი ტურით ადრე **თედო ზიბზიბაძეს** ჰქონდა მოპოვებული. ბოლო შეხვედრაში პერიგოელებმა სტუმრად წააგეს ჯგუფის ყველაზე სუსტ გუნდ „ვანთან" 6:12. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. „პერიგო" მეოთხედფინალში „ვალანსსა" და „ორლეანს" შორის გამარჯვებულს დაელოდება.

F ჯგუფის გამარჯვებული **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანია" თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ ჩვენებურის გუნდი მეოთხედფინალში გასასვლელად „ვალანსს" დაუპირისპირდება. ბოლო შეხვედრაში „ორლეანმა" სტუმრად წააგო „მარმანდთან" 3:17. აბუსერიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

მეორე დივიზიონში პლეი ოფის ფინალში გასული ორი გუნდი გადადის.

ფედერალ ერთში ადგილები შეინარჩუნეს ქართველ მორაგბეთა გუნდებმა „რუანმა", „დომონმა", „მასიმ" და „სენ ნაზერმა". **სამწუხაროდ, დივიზიონის დატოვება მოუწევს ქართველთა ერთბაშად ხუთ გუნდს: „ნიცა", „მიიო", „სერჟი პონტუაზი", „შამბერი" და „ვილერბანი" მომავალი სეზონიდან ფედერალ 2 დივიზიონში იასპარეზებენ.**

A ჯგუფში **სოსო ნიკოლაენკოს** „რუანმა" შინ დაამარცხა **ალექსანდრე მარგველაშვილის, გიორგი ნემსაძისა** და **ზურაბ მჭედლიშვილის** „დომონი" 19:17. მარგველაშვილმა ლელო 50-ე წუთზე გაიტანა, ნემსაძემ კი თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე. ორივემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, მჭედლიშვილი და ნიკოლაენკო განაცხადში არ იყვნენ. ირაკლი გუნდიშვილის „მიიომ" შინ მოუგო **დიმა პავლოვის** „ნიცს" 13:6. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

B ჯგუფში ბოლო ტურში **ვიქტორ დიდებულიძის, დავით დადუნაშვილისა და გიორგი ჩხაიძის** „მასიმ" შინ დაამარცხა ლიდერი „ლა სეინი" 27:25. დიდებულიძე ამ შეხვედრაში ბოლომდე მწვრთნელის ფუნქციას ასრულებდა, ჩხაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, დადუნაშვილი 47-ე წუთზე შეცვალეს. აქვე „ფლორანსი" შინ დამარცხდა „გროლესთან" 15:16.

E ჯგუფში ორივე ხელმოცარული ქართველთა გუნდებია - **პალიკო ჯიმშელაძის** „შამბერი" და **დიმა ხოჭოლავას** „სერჟი პონტუაზი". ბოლო ტურში ამ გუნდების შეხვედრაში პონტუაზელებმა შინ წააგეს 26:28.

F ჯგუფიდან დივიზიონში ადგილი **სანდრო ესაკიას** „სენ ნაზერმა" შეინარჩუნა, **ელიზბარ ყუფარაძის** „ვილერბანს" კი დაქვეითება მოუწევს. ბოლო ტურში „სენ ნაზერმა" სტუმრად წააგო „მორლაასთან" 6:16. ესაკია თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო. „ვილერბანმა" კი სტუმრად დაამარცხა აუტსაიდერი „რუმიი" 33:27. ყუფარაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინი 2008

# რამდენი დაემატება 28 ლიცენზიას?

Beijing 2008

აგვისტოში, პეკინში ზაფხულის მორიგი ოლიმპიური თამაშები გაჩაღდება, სადაც, საქართველო, სავარაუდოდ, ოდნავ უფრო პატარა გუნდით წარსდგება, ვიდრე ოთხი წლის წინათ, ათენში იყო. მაშინ 36 სპორტსმენი გვყავდა, ახლა კი ეს რიცხვი, სავარაუდოდ, ცოტათი შემცირდება.

ამჟამად ჩვენი ოლიმპიური გუნდის მონაგარი 28 ლიცენზიაა.

**ნესტორ ხერგიანი, ზაზა კედელაშვილი, დავით ქევხიშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი, ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი, ლაშა გუჯეჯიანი** (+100) - ძიუდო; **ოთარ თუშიშვილი, გელა სალირაშვილი, რევაზ მინდორაშვილი, გიორგი გოგშელიძე, დავით მოძმანაშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა; **დავით ბედინაძე** (60), **ბადრი ხასაია, რამაზ ნოზაძე** - ანტიკური ჭიდაობა; **ილია გიორგაძე** - სპორტული ტანვარჯიში; **ლუბა გოლოვინა** - ბატუტზე ხტომა; **ნინო სალუქვაძე** - ტყვიის სროლა; **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე** - მშვილდოსნობა; **მარიამ ქევხიშვილი** - მძლეოსნობა; **კახაბერ ჟვანია, ნიკოლოზ იზორია** - კრივი; **ანა სალნიკოვა, ირაკლი რევიშვილი** - ცურვა. ამათ ძალოსანთა სამი ლიცენზიაც უნდა დავუმატოთ, თუმცა ნაკრების ხელმძღვანელობას ჯერ მათი მფლობელები არ დაუსახელებია.

აქ ისიც განვმარტოთ, რომ სპორტის უმრავლეს სახეობებში საგზურს იღებს ფედერაცია და არა სპორტსმენი. ამდენად, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ლიცენზია ერთმა მოიპოვოს, მაგრამ ოლიმპიადამდე დარჩენილ პერიოდში კონკურენტმა აჯობოს და თამაშებზეც სხვა წავიდეს. მაგალითად, ძიუდოისტთა ჩამონათვალში ბაინდურაშვილი კი დავასახელეთ, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ გაუნაღდებია პეკინში გამოსვლა - საამისოდ უახლოეს პერიოდში ისევ უნდა იბრძოლოს.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე ბოლოს ლიცენზიები მოცურავეებმა - სალნიკოვამ და რევიშვილმა მიიღეს – ისინი ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ "ვაილდ ქარდით" დააჯილდოვა.

სალიცენზიო ტურნირების ძირითადი ნაწილი უკვე დამთავრდა, მაგრამ აქა-იქ ჯერ ისევაა გასამართი, თუმცა უკვე კვოტებიც ცოტაა დარჩენილი. რამდენიმე ლიცენზიას ამ ტურნირებიდანაც ველოდებით, ძირითადად - მოჭიდავეებისგან, სხვებისა კი, სამწუხაროდ, ნაკლებად გვეიმედება და სიურპრიზით თუ გაგვახარებენ, ძალიან კარგი!

როგორც ვხედავთ, ბოლო წლებში დამკვიდრებული ტენდენცია არც ამჯერად დარღვეულა და ლიცენზიების უმეტესობა კვლავაც საჭიდაო სახეობებზე მოდის. თუმცა, წინა ოლიმპიადასთან შედარებით, ამჯერად ძიუდოისტთა უპირატესობა სოლიდურია. შეგახსენებთ, რომ მათ ათენშიც 7 სპორტსმენი ჰყავდათ, მოჭიდავეთა ნაკრებებს - 6-6. ძიუდოისტები ამჯერადაც სრული გუნდით წავლენ – მათ კვლავაც შვიდივე საგზური მოიპოვეს, "თავისუფლებმა" - ჯერჯერობით 5, "ანტიკოსებმა" - 3. ვფიქრობთ, მათ ამ მარაგის შევსება ძალიან გაუჭირდებათ.

სამწუხაროდ, სახეობათა გეოგრაფია არც ამჯერად გაზრდილა და რაც კიდევ უფრო ცუდია, სათამაშო სახეობებში კვლავაც არ გვეყოლება მონაწილე. მეტიც - იქ მოხვედრის პერსპექტივაც კი არ გვქონია და ეს ჯერაც ძალზე შორეული მომავლის საქმეა. პროგნოზების გაკეთება ძნელია, მაგრამ, ეტყობა, ამჯერად მედლის მომპოვებელ სახეობათა რიცხვიც შემცირდება. ბოლო ორ თამაშებში მედლები ძიუდოისტებმა, მოჭიდავეებმა, მოკრივეებმა და ძალოსნებმა მოიპოვეს. ახლაც იგივე სახეობებისგან ველოდებით, მაგრამ დაგვეთანხმებით, ამჯერად მოკრივეთა და ძალოსანთა პერსპექტივები ადრინდელზე ბევრად ბუნდოვანია. ერთადერთი შეღავათი ისაა, რომ ამ ციკლში, სახეობების მიხედვით, "ვაილდ ქარდების" რაოდენობა შემცირდა - ეს მხოლოდ ცურვაში დაგვჭირდა.



პეკინის ლიცენზია პირველმა ნინო სალუქვაძემ მოიპოვა

ტრადიციულად, პირველად ლიცენზია ტყვიის მსროლელმა **ნინო სალუქვაძემ** მოიპოვა, რასაც მსროლელთა განრიგი განაპირობებს. ისინი ლიცენზიებისთვის ბრძოლას ისედაც ყველაზე ადრე - თამაშებამდე ორი წლით ადრე იწყებდნენ, ამ ციკლში კი კიდევ უფრო იჩქარეს - სამი წლით ადრე დაიწყეს. სალუქვაძემ საგზური პირველივე სეზონში, ანუ 2006 წელს გაინაღდა და პეკინში თავის მეექვსე ოლიმპიადაზე ისპარეზებს. ამ მხრივ იგი ქართველთა შორის რეკორდსმენია და ამ მაჩვენებლის გაუმჯობესებამდე კიდევ კარგა დრო გაივლის. თუმცა სალუქვაძე სხვა მიღწევებითაც გამოირჩევა მოქმედ ქართველ სპორტსმენთა შორის ყველაზე ტიტულოვანია. იგი შვიდჯერ მსოფლიო ჩემპიონი გახდა და ასევე შვიდჯერ მოიპოვა მსოფლიო თასი, ხუთჯერ ევროპის პირველობაზე გაიმარჯვა, დაამყარა 20-მდე მსოფლიო რეკორდი, ხოლო ოლიმპიურ თამაშებზე ოქრო და ვერცხლი მოიპოვა. ღმერთმა ქნას, სულ მალე ვინმემ გააუმჯობესოს მისი მიღწევები, თუმცა ამ თაობაში ამის გამკეთებელი თითქმის არ გვეგულება.

**მომავალ კვირაში სწორედ სალუქვაძით გავხსნით ახალ რუბრიკას, რომლითაც პეკინის ოლიმპიადის მონაწილეებს გაგაცნობთ.**

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი

# ყველაზე მეტად პორტლენდი აქტიურობს



გიორგი შერმადინი

**გიორგი შერმადინი დრაფტისთვის მოსამზადებლად ამერიკაში სააგენტო "ლაიფსპორტის" ხელმძღვანელმა ტოდ რამასარმა წაიყვანა. რამასარი 216 სმ სიმაღლის ქართველი ცენტრის ვარჯიშებს ხშირად ადევნებს თვალ-ყურს.**

*"გიორგი შერმადინი "მაკაბიში" გასული წლის ნოემბერში ვნახე. მან თავიდანვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აშკარა იყო, რომ საქმე გვქონდა მაღალი დონის ტალანტთან, რომელიც მალე NBA-ში უნდა გამოჩენილიყო. ასეთი მაღალი და ამ ასაკში ესოდენ დახვეწილი კალათბურთელი იშვიათობაა"*, - როგორც ხედავთ, ტოდ რამასარი ქართველის გარჯით პირველივე შეხვედრისთანავე მოხიბლულა.

სააგენტოს ხელმძღვანელი მალე საქმეზე გადავიდა და მარტის ბოლოს გიორგი ამერიკაში წაიყვანა, სადაც 26 ივნისის დრაფტისთვის სპეციალური პროგრამით ემზადება: *"შერმადინი შტატებში დრაფტამდე რამდენიმე თვით ადრე იმიტომ წამოვიყვანე, რომ გვინდოდა, კვალიფიციური მწვრთნელების ხელში სათანადოდ მომზადებულიყო. იგი მონდომებით ვარჯიშობს და დაახლოებით ორ კვირაში იმ კონდიციებში შევა, რაც წინასადრაფტო ვარჯიშებზე დადებითი ეფექტისთვის იქნება საჭირო."*

საინტერესოა, ახლა თუ გამოხატავს NBA-ს რომელიმე კლუბი ქართველით დაინტერესებას? ამ საკითხზე ტოდ რამასარი გვესაუბრება: *"შერმადინის აყვანის სურვილს არაერთი გუნდი აფიქსირებს. დაინტერესებულები არიან "სან ანტონიოსა" და "ტორონტოს" წარმომადგენლები, თუმცა ყველაზე მეტად "პორტლენდი" აქტიურობს. ტანმაღალ კალათბურთელებზე დიდი მოთხოვნაა."*

"ლაიფსპორტის" ხელმძღვანელის მტკიცებით, ამერიკაში ქართველ კალათბურთელებს მაღალი რეიტინგი აქვთ. **სტეფანიასა** და **ფაჩულიას** შემდეგ საქართველოში არაერთი ნიჭიერი მოთამაშე რომ იქნება, ამაში ყველა დარწმუნებულიაო. ტოდ რამასარი: *"თქვენი ჩემპიონატი საკუთარი თვალით ვნახე და არაერთი ტალანტის გვარი ჩავინიშნე. საერთოდ, თბილისში სტუმრობა არასპორტული თვალსაზრისითაც კარგად მახსენდება."*

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

# აქცია გადაიდო, განრიგი ცნობილია

გუშინ გაირკვა, რომ ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქცია, რომელიც 3 მაისს უნდა გამართულიყო, 5 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში 15:15-ზე გაიმართება. გადატანის მიზეზი ის გახლავთ, რომ ნაციონალური მოძრაობა სპორტის სასახლეში ღონისძიებას გეგმავს. ამასობაში გაირკვა საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფის განრიგი.

**ნახევარფინალი**

**8 მაისი (ხუთშაბათი)**

**თბილისი, სპორტის სასახლე**

15:15 თსუ-თბილავიამშენი

**რუსთავი**

19:00 ენერჯი ინვესტი-ვითა

**9 მაისი (პარასკევი)**

**თბილისი, სპორტის სასახლე**

15:15 თსუ-თბილავიამშენი

**რუსთავი**

19:00 ენერჯი ინვესტი-ვითა

**12 მაისი (ორშაბათი)**

**თბილისი, სპორტის სასახლე**

15:15 ვითა-ენერჯი ინვესტი

17:15 თბილავიამშენი-თსუ

**13 მაისი (სამშაბათი)**

(საჭიროების შემთხვევაში)

**თბილისი, სპორტის სასახლე**

15:15 თბილავიამშენი-თსუ

17:15 ვითა-ენერჯი ინვესტი

**15 მაისი (ხუთშაბათი)**

(საჭიროების შემთხვევაში)

**თბილისი, სპორტის სასახლე**

15:15 თსუ-თბილავიამშენი

**რუსთავი**

19:00 ენერჯი ინვესტი-ვითა

**III ადგილისთვის**

22 მაისი (13:15)

**ფინალი**

18 მაისი

19 მაისი

22 მაისი

საჭიროების შემთხვევაში

23 მაისი

25 მაისი

**სუპერთასი. 1 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე 15:15**

# მეშვიდე ცაზე



პუშკინის სკვერში, გუშინ, წიგნის დღე მოეწყო. ამ ღონისძიებას საკალათბურთო საზოგადოებაც ესწრებოდა. გუშინ მოეწყო ახალი წიგნის "მეშვიდე სიმაღლეზე" პრეზენტაცია. ნაშრომი, რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონ **მიხეილ ქორქიას** ეძღვნება, ჟურნალისტ **დავით ჭელიძეს** ეკუთვნის. შეხვედრა სწორედ მან გახსნა და საზოგადოებას შეახსენა, რომ "მეშვიდე სიმაღლეზე" ტრილოგიის მესამე ნაწილია. მანამდე გამოიცა წიგნები **ზურაბ საკანდელიძისა** და **სულიკო თორთლაძის** შესახებ.

ავტორის შემდეგ ღია ცის ქვეშ მოწყობილ სცენაზე ავიდა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**, რომელმაც იქვე შეგვახსენა, რომ დაწყებულია მუშაობა 30 წიგნზე, რომლებიც 30 ოლიმპიურ ჩემპიონს მიეძღვნება. მათ შორის იქნებიან კალათბურთელები მიხეილ ქორქია და ზურაბ საკანდელიძე.

სიტყვით გამოვიდა ვეტერანი სპორტსმენი **ვაჟა ულენტი**: *"ასეთი ნაშრომების სიმრავლეს მივესალმები. ისტორიის დავიწყება არ შეიძლება, რადგან იგი მომავლის საძირკველია."*

60-იანი წლების თბილისის "დინამოს" კაპიტანმა **გურამ მინაშვილმა** დაახასიათა, როგორც ახალი წიგნის ავტორი, ასევე მიხეილ ქორქია: *"წაკითხული მაქვს დავით ჭელიძის ორი წიგნი საკანდელიძესა და თორთლაძეზე. დარწმუნებული ვარ, მესამე მათსავით საინტერესო და მრავლისმომცველი იქნება. მიშა ნამდვილად იმსახურებდა ასეთ დაფასებას. მოედანზე ნერვიული ვიყავი. მეტოქეებთანაც ხშირად მომწონდა ჩხუბი, მიხეილ ქორქიაც არაფერს თმობდა მოედანზე, ბოლომდე იწვოდა."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი. საპრეზიდენტო არჩევნები

# ფანცულაია და გიორგაძე

## ჯერ მხოლოდ ორი კანდიდატია



ლევან ფანცულაია



გია გიორგაძე

24 მაისს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართება. ასეთი გადაწყვეტილება ფედერაციის გამგეობამ 18 აპრილს მიიღო. მიზეზი კარგად ცნობილია - **რომან სიჭინავასა** და მისი გუნდის მუშაობა დანაშაულებრივად, ქართული ჭადრაკისთვის საზიანოდ ჩაითვალა, მათაც დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და გადადგომის შესახებ განცხადებები დაწერეს.

24 მაისამდე დიდი დრო არაა და პრეზიდენტობის მსურველიც შესაძლოა მრავლად არ გამოჩნდეს - საარჩევნო კამპანიისთვის დრო საკმარისი ვერ იქნება. მაგრამ, ცაიტროტი მოჭადრაკეებისთვის ლამის ბუნებრივი მდგომარეობაა და არ არის გამორიცხული, რომ ამ პრობლემამ ბევრი ვერ შეაშინოს და განაცხადების წარდგენის ბოლო ვადისთვის, 30 აპრილის 18 საათისთვის მრავალი მსურველიც ვიხილოთ.

ორი კანდიდატურა უკვე გამოჩნდა. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტობაზე პრეტენზია გამოთქვა 21 წლის დიდოსტატმა, საქართველოს ნაკრების წევრმა და საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის გამარჯვებულმა **ლევან ფანცულაიამ**. მისი განცხადება ნამდვილად მოულოდნელი იყო და ძალიან ბევრი კითხვა დაბადა. სამწუხაროდ, ლევანი სასაუბროდ ვერ მოვიხელთეთ, რადგანაც განცხადების დაწერიდან მეორე დღესვე პლოვდივში გაემართა, სადაც ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე ასპარეზობს. რატომ დაებადა ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო და პერსპექტიულ მოჭადრაკეს ჩინოვნიკად გახდომის სურვილი და როგორ უნდა შეათავსოს ძალიან რთული საქმე - ქართული ჭადრაკის მართვა და არანაკლები სირთულის საჭადრაკო ცხოვრება. 5 მაისისთვის ლევანი თბილისში დაბრუნდება და იმედია, ამ კითხვებზე ამომწურავ პასუხს მივიღებთ.

ლევანის მთავარი კონკურენტი ამ ეტაპზე დიდოსტატი **გია გიორგაძეა**. გია რამდენიმე წელიწადია ჭადრაკს პროფესიულად აღარ უდგება და წელიწადში მაქსიმუმ ორ ტურნირში თუ ითამაშებს, რომელთაგან ერთი საქართველოს ჩემპიონატია. წლეულს ამაზეც უარი თქვა, გარკვეულ მიზეზთა გამო. მის ამბიცია გასაგებია - ჭადრაკით აღარაა დაკავებული და ჩინოვნიკური გამოცდილებაც საკმაოდ დააგროვა - რამდენიმე წლის წინათ გია გიორგაძე ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი, ფაქტობრივად, კი მერი გახლდათ.

18 აპრილს გამგეობის სხდომაზე მრავალ საკითხთან ერთად ყურადღება გამახვილდა პრეზიდენტობის მსურველთა მიერ განცხადების ფორმაზე. მრავალთა აზრით, ყველა მსურველს არ უნდა მიეცეს საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება - ნებისმიერმა უნდა წარმოადგინოს ჭადრაკში მოღვაწე მინიმუმ 15 პერსონის მხარდაჭერა და მხოლოდ ამის შემდეგ დამტკიცდება მისი კანდიდატურა.

გამგეობის სხდომისას ამ საკითხზე თითქმის შეთანხმდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მუშაობა ჯერაც ძველი წესდებით მიდის - სამართლებრივად სხვაგვარად ვერც იქნებოდა. ძველ დოკუმენტში კი ასეთი წესი გათვალისწინებული არ არის. ლევან ფანცულაიას არ წარმოუდგენია მხარდამჭერთა სია, მაგრამ მისი კანდიდატურა რეგისტრაციაში მაინც გატარდა.

გია გიორგაძემ კი საჭიროდ ჩათვალა, რომ სია წარმოედგინა და ამით საჭადრაკო და სპორტული საზოგადოებისთვის პირდაპირ მიენიშნებინა, რომ სოლიდური გუნდით მოდის, გამარჯვების ფავორიტია და საქმის მაღალ დონეზე კეთებაც ხელეწიფება. ალბათ, მკითხველსაც დააინტერესებს თუ ვინ არიან გია გიორგაძის მხარდამჭერნი: **ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნინო გურიელი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, თამაზ გიორგაძე, დავით გურგენიძე, გოგი მაჭარაშვილი, ზურაბ სტურუა, მარინა მილორავა, ალექსანდრე არსენიძე, გიორგი ქანთარია, ზურაბ ბურკაძე, გია მენაბდე, სოსო სირბილაძე, სერგო გაბუნია.** ყველა მათგანს თავისი თანადგომა ხელმოწერით აქვს დადასტურებული.

**ზვიად შათირიშვილი**

ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

# ქართულ-რუსული დაპირისპირება

ევროპის ჩემპიონატზე მესამე ტურის წილისყრამ ისე ინება, რომ ქართველ მოჭადრაკეებს ძირითადად რუსი მეტოქეები არგუნა - 23 ქართველიდან 10-ის მეტოქე ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი გახლდათ. ხუთ ქალბატონს მოუხდა რუსთან ბრძოლა და ამდენივე ვაჟს უნდა დაეძლია ჩრდილოული ბარიერი. ეს ერთგვარი მინი-მატჩი ქართველთა მცირე უპირატესობით დასრულდა და ამის მთავარი შემოქმედები ქალბატონები აღმოჩნდნენ.

სამ პარტიაში ვიმარჯვეთ, ორში კი ქულა გავიყავით, ვაჟებში კი ორგან დავმარცხდით და სამ პარტიაში მივაღწიეთ ყაიმს. სიტყვა "მივაღწიეთ" ნამდვილად ზუსტი განსაზღვრებაა, რადგანაც ჩვენებურები მეტოქეებს რეიტინგული მაჩვენებლებით ძლიერ ჩამორჩებოდნენ: **ივერი ჭილაძეს** ივან პოპოვი 210 პუნქტით უსწრებდა; **მალხაზ სულაშვილს** კონსტანტინ საკაევი - 242-ით სჯობდა; ვლადიმირ პოტკინამდე **დავით ჯოჯუას** 154 უკლდა; **ბაჩანა მორჩიაშვილს** დეფიციტი ბორის სავჩენკოსთან 148 პუნქტს უდრიდა და მხოლოდ ერთ შემთხვევაში ვუსწრებდით რუსებს - **დავით მალალაშვილი** ოლეგ ორლოვს 137-ით სჯობდა. მალალაშვილს 2462 აქვს რეიტინგი და მისი მეტოქე რომ მაღალი კლასის არ იქნებოდა, ცხადია, თუმც დათომ ვერ იმარჯვა, ყაიმს გამორჩა, რაც ცუდი შედეგია მისთვის. აი, დანარჩენ შემთხვევაში კი თითქმის ყველა მეტოქე 2600-იანი ზღვარს ზემოთ იყო, ეს კი ძლიერ დიდოსტატობას ნიშნავს. ამის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ ორ შემთხვევაში წავაგეთ, მაინც წარმატებად უნდა ჩავთვალოთ "მინი-მატჩის" შედეგები.

ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ მესამეჯერ იმარჯვა და ფავორიტებში გაერია **ლევან ფანცულაია**. ლევანს მეტოქედ აზერბაიჯანელი ნიჯატ მამედოვი ჰყავდა. მეტოქეს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს - 2577, თანაც თეთრებით თამაშობდა. ჩვენდა გასახარად, ლევანმა უზადოდ ჩაატარა მთელი პარტია და ფილიგრანული ტექნიკის დემონსტრირებით გამარჯვებამდე მიიყვანა შეხვედრა. ლევანი მეოთხე ტურში თეთრებით ითამაშებს და მოგების შესანიშნავი შანსი აქვს, რადგანაც მეტოქედ უნგრელი საერთაშორისო ოსტატი **დარდაი საბო** ჰყავს. უნგრელის რეიტინგი 2516-ია, ქართველის - 2617. თუმც დაარხეინება არაფრით შეიძლება, რადგანაც მადიარმა სამი ქულა საკმაოდ ძლიერ მეტოქეების დამარცხებით მოიპოვა - მესამე ტურში 2603 რეიტინგის მქონე გერმანელი დიდოსტატი **იან გუსტაფსონი** დაიბრიყვა; იქამდე კი კიდევ ერთ გერმანელ დიდოსტატს, მაგრამ ქართველად დაბადებულს და სიყმაწვილეში გერმანიაში გადასულ **დავით ბარამიძეს** გააჩერებინა საათი. ბარამიძესაც არცთუ პატარა რეიტინგი აქვს - 2583.

სამწუხაროდ, ლევანს მხარს სხვა ქართველი ვაჟები ვერ უბამენ, - დანარჩენთაგან საუკეთესო შედეგი **მიხეილ მჭედლიშვილს, კონსტანტინე შანავას** და **თორნიკე სანიკიძეს** აქვთ, თუმცა ისინი ლევანს ერთი ქულით ჩამორჩებიან. ერთნახევარი ქულა ოთხ ჩვენებურს აქვს და ამას ქვემოთ მოყვანილ ცხრილში უკეთ იხილავთ.

ქალბატონებში მეტი ამბიციები კი გვაქვს, მაგრამ მესამე ტურის შემდეგ მაქსიმალური ქულა არცერთ ჩვენებურს არა აქვს; არადა, ამის ორი შანსი იყო: **სალომე მელია** უკრაინელ ანა უშენინას ხვდებოდა, **ნანა ძაგნიძე** კი - რუს ტატიანა სტეპოვაიას. ორივე ქართველი თეთრი ფერით იყო და წარმატების იმედი გვქონდა. მელიამ მალევე - მეთოთხმეტე სვლაზე დაასრულა შეხვედრა და დაუზავდა ანას; ნანამ კი ბევრი იბრძოლა, მაგრამ მოგება ვერ შეძლო. ის კი არა, თავის დაცვაც უწევდა, რადგან დებიუტი მთლად საუკეთესოდ ვერ გაითამაშა. შუა თამაშში მოახერხა მდგომარეობის გამოსწორება და მშვიდობიან შედეგსაც მოაწერა ხელი.

აღსანიშნავია, რომ გუშინდელი ტური განსაკუთრებით ხვავრიელი იყო ჩვენი ქალბატონებისთვის - თორმეტიდან შვიდმა მოიგო და მხოლოდ ერთი - **მერი ჟორჟოლიანი** დამარცხდა; ოთხი ყაიმიდან ორზე მოგახსენეთ, დანარჩენი ორი ყაიმიც წარმატებული შედეგია, რადგანაც **ანა გავაშელი**ც და **მარიამ დანელია**ც მეტოქეებს რეიტინგებით გვარიანად ჩამორჩებოდნენ. გუშინ იმარჯვეს **მაია ლომინეიშვილმა, სოფიო გვეტაძემ, ნინო ბაციაშვილმა, ლელა ჯავახიშვილმა, ნაზი პაიკიძემ და სოფიო ნიკოლაძემ.** განსაკუთრებით სასიხარულოა პაიკიძისა და ნიკოლაძის წარმატებები, რადგანაც აქამდე ორივეს გრაფაში ნული ეწერათ და მოგება თვითრწმენის დაბრუნებაში უთუოდ ნაშველებათ.

მართალია სამქულიანი არავინ გვყავს, მაგრამ 2,5 ქულით ერთბაშად ექვსი ქართველი მანდილოსანი იწონებს თავს; ერთს კი - **ლელა ჯავახიშვილს** ორი ქულა აქვს.

შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონატმა სასტარტო ეტაპი გაიარა და მთავარი აწი იწყება.

**ზვიად შათირიშვილი**

**მესამე ტური**

**ქალები**

| | |
|---|---|
| **სალომე მელია** (2413)-ანა უშენინა (უკრ. 2474) | 0,5:0,5 |
| **ნანა ძაგნიძე** (2443)-ტატიანა სტეპოვაია (რუს. 2378) | 0,5:0,5 |
| ჟაოპინ პენკი (პოლ. 2455)-**სოფიო გვეტაძე** (2350) | 0:1 |
| **მაია ლომინეიშვილი** (2400)-მარინა რომანკო (რუს. 2325) | 1:0 |
| საბინა-ფრანცისკა ფოიშორი (რუმ. 2375)-**ნინო ბაციაშვილი** (2304) | 0:1 |
| მარია კომიაგინა (რუს. 2285)-**ლელა ჯავახიშვილი** (2466) | 0:1 |
| **ანა გავაშელი** (2191)-მარია კურსოვა (რუს. 2322) | 0,5:0,5 |
| მარიამ დანელია (2129)-მაშა კლინოვა (ისრ. 2318) | 0,5:0,5 |
| ბორკა ფრანცისკოვიჩი (ხორ. 2240)-**მერი ჟორჟოლიანი** (2133) | 1:0 |
| ლარისა ხროპოვა (რუს. 2069)-**ნაზი პაიკიძე** (2347) | 0:1 |
| **სოფიო ნიკოლაძე** (2249)-ასლი ბაირაკი (თურ. 2031) | 1:0 |

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| ნიჯატ მამედოვი (აზერ. 2577)-**ლევან ფანცულაია** (2617) | 0:1 |
| **მიხეილ მჭედლიშვილი** (2635)-ჩაბა ბალოში (უნგ. 2559) | 0,5:0,5 |
| **ივერი ჭილაძე** (2384)-ივან პოპოვი (რუს. 2594) | 0:1 |
| **მალხაზ სულაშვილი** (2491)-კონსტანტინ საკაევი (რუს. 2649) | 0,5:0,5 |
| ვლადიმირ პოტკინი (რუს. 2617)-**დავით ჯოჯუა** (2463) | 0,5:0,5 |
| **თორნიკე სანიკიძე** (2458)-გჟეგოჟ გაევსკი (პო. 2601) | 1:0 |
| **გიორგი მარგველაშვილი** (2455)-ბრანკო დამლიანოვიჩი (სერ. 2595) | 0:1 |
| **ბაჩანა მორჩიაშვილი** (2421)-ბორის სავჩენკო (რუს. 2569) | 0:1 |
| მილან დრაშკო (ჩერნოგორია. 2536)-**დავით ლომსაძე** (2394) | 0,5:0,5 |
| კრისტიან კოპკე (გერ. 2296)-**კონსტანტინე შანავა** (2518) | 0:1 |
| **დავით მალალაშვილი** (2462)-ოლეგ ორლოვი (რუს. 2285) | 0,5:0,5 |

**მეოთხე ტური**

**ქალები:**

ანა უშენინა (უკრ. 2474) 2,5 - **მაია ლომინეიშვილი** (2400) 2,5
დაგნე ჩუკიტე (ინგ. 238) 2,5 - **ნანა ძაგნიძე** (2443) 2,5
სილონია ვაილდა (უნგ. 2413) 2,5 - **სოფიო გვეტაძე** (2350) 2,5
ნორმან კაზიმოვა (აზერ. 2071) 2,5 - **სალომე მელია** (2413) 2,5
**ნინო ბაციაშვილი** (2304) 2,5 - ელინა დანიელიანი (სომ. 2479) 2,5
**ლელა ჯავახიშვილი** (2466) 2 - ანა შარევიჩი (ბელ. 2311) 2
ლილიტ გალიანი (სომ. 2324) 1,5 - **ანა გავაშელი** (2191) 1,5
**ელენა კოზმა** (რუმ. 2374) 1 - **სოფიო ნიკოლაძე** (2249) 1
**ნაზი პაიკიძე** (2347) 1 - ნატალია პოპოვა (ბელ. 2239) 1
სირანუშ ადრიასიანი (სომ. 2278) 1 - **მარიამ დანელია** (2129) 1
კატრინა სკინკე (ლატ. 2204) 0,5 - **მერი ჟორჟოლიანი** (2133) 0,5

**ვაჟები:**

**ლევან ფანცულაია** (2617) 3 - დარდაი საბო (რუმ. 2516) 3
ვალენტინ იოტოვი (ბულ. 2531) 2 - **მიხეილ მჭედლიშვილი** (2635) 2
**კონსტანტინე შანავა** (2518) 2 - ლეონიდ კრიცი (გერ. 2609) 2
დავით ბარამიძე (გერ. 2583) 2 - **თორნიკე სანიკიძე** (2458) 2
დანიელ ფრიდმანი (გერ. 2640) 1,5 - **მალხაზ სულაშვილი** (2491) 1,5
**დავით ლომსაძე** (2394) 1,5 - ანტონ შომოევი (რუს. 2559) 1,5
შარუნას სულსკისი (ლიტ1,5 - **ივერი ჭილაძე** (2384) 1,5
ალექსანდრე მოისეენკო (უკრ. 2650) 1 - **ბაჩანა მორჩიაშვილი** (2421) 1
ალექსანდრე ვან ბიიკი (პოლ. 2343) 1 - **დავით მალალაშვილი** (2462) 1
კირილ გალდევი (ბელ. 2311) 1 - **გიორგი მარგველაშვილი** (2455) 1

ხელბურთი. ინტერვიუ სერგო დათუკაშვილთან

# არც მათამაშებენ და ვერც თამაშობენ



სერგო დათუკაშვილი

**გერმანულ** სახელბურთო ბუნდესლიგაში ბოლო ხანს არცთუ კარგად მისდის საქმეები საქართველოს ნაკრების ლიდერს სერგო დათუკაშვილს. თუკი ჩვენებური ბუნდესლიგის პირველ ნახევარში საკმაოდ წარმატებით თამაშობდა და ბომბარდირთა სიის ზედა ნაწილში იყო, ზამთრის არდადეგების შემდეგ მისი პოზიციები შეირყა. "ლიუბეკემ" შეიძინა ახალი მოთამაშეები, რამაც სერგოს როლი შეამცირა. შესაბამისად, იკლო ქართველი შუამარბის შედეგიანობამ - ამჟამად იგი ბუნდესლიგის ბომბარდირთა სიაში ოცეულს მიღმაა. გუშინ, სერგოს გერმანიაში შევეხმიანეთ.

- "ლიუბეკემ" ზამთრის სატრანსფერო სეზონზე შეიძინა ჩემი პოზიციის ხელბურთელი - პოლონეთის ნაკრების წევრი მიხალ ჟურეცკი. მასში საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადეს, რის გამოც ჩემზე მეტ ნდობას უცხადებენ, მე კი ცოტას მათამაშებენ. არადა, ჯობია, თანაბრად გამოგვიყენონ - ასე უფრო მეტ სარგებელს ნახავს გუნდი. საერთო ჯამში, შედეგი ის არის, რომ მწვრთნელებისა და კლუბის ხელმძღვანელობის არასწორი ნაბიჯების გამო, "ლიუბეკე" ბუნდესლიგიდან გავარდნის რეალური კანდიდატია. ალბათ, გავვარდებით კიდეც და ამაში მოთამაშეები ნაკლებად ვიქნებით დამნაშავეები.

**- გულახდილად თქვი, პოლონელი შენზე ძლიერია?**

- არა ვარ ისეთი ადამიანი, რომ ვინმე მჯობდეს და პრეტენზია მქონდეს - მის ნაცვლად რატომ არ მათამაშებენ-მეთქი. ასე რომ იყოს, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჟურეცკი ნაღდად არაფრით მჯობია. თანაც ჩემი სკამზე დასმითა და პოლონელზე აქცენტის აღებით, გუნდიც ვერ თამაშობს წარმატებით.

**- მომავალ სეზონში "ლიუბეკეში" დარჩენას აღარ აპირებ?**

- ბუნდესლიგაში ადგილიც რომ შევინარჩუნოთ, ამ გუნდში დარჩენა აღარ მილირს. ამჟამინდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ახალ სეზონს ყველა ვარიანტში ახალ კლუბში დავიწყებ.

**- რა ვარიანტები გაქვს?**

- წინადადებები მივიღე სხვა ბუნდესლიგური გუნდებიდან. ასევე მაქვს სლოვენიისა და უნგრეთის უმაღლესი ლიგის კლუბების ვარიანტები. სეზონის დამთავრების შემდეგ, საუკეთესო ვარიანტს ავარჩევ.

**- საქართველოს ნაკრებზე გადავიდეთ. ახლახან ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა. რას იტყვი ჩვენს ქვეჯგუფზე?**

- სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა - გვარიანად ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. პოლონეთი და შვედეთი ალბათ, ფავორიტები იქნებიან, მაგრამ მათ გვერდით ჩერნოგორიაც უნდა მოვიხსენიოთ. შვედეთში წლების განმავლობაში ვთამაშობდი და კარგად ვიცი მათი ნაკრების შესაძლებლობები - ახალგაზრდული და საკმაოდ პერსპექტიული გუნდი ჰყავთ.

ასევე ძლიერია რუმინეთის ნაკრები და თურქებთანაც რთული თამაშები გვექნება.

**- რეალურად, ჯგუფში რომელ ადგილზე შეგვიძლია გასვლა?**

- ახლა ამაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია და პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. მთავარია, რომ გვქონდეს ნორმალური მოსამზადებელი ეტაპი თავისი საკონტროლო მატჩებით, შეიკრიბოს ოპტიმალური შემადგენლობა და ვაჩვენოთ ჩვენი საუკეთესო თამაში. დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება, აბა ახლა რა გითხრათ...

საერთოდ, ხელბურთში სტუმრად თამაში ნებისმიერ გუნდთან რთულია - მით უმეტეს ისეთ მეტოქეებთან, როგორებიც ჩვენ შეგვხვდა. ამიტომაც ალბათ, უფრო მაქსიმალურად ბევრი საშინაო მატჩის მოგებაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# ოპერაცია ევერესტი შეიცვალა



ტიბეტელთა მძაფრი საპროტესტო გამოსვლების მიუხედავად, პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორები მაინც აპირებენ ოლიმპიური ჩირაღდნის ევერესტზე ატანას, თუმცა ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის გაშუქების განრიგი მაინც შეიცვალა. ოღონდ, როგორც მასპინძლები ირწმუნებიან, განრიგის შეცვლას საერთო არაფერი აქვს ტიბეტელთა გამოსვლებთან. მიზეზი ამინდის პროგნოზის გაურკვევლობაა!

კერძოდ, ჩინელი სინოპტიკოსები ირწმუნებიან, რომ მაისში, როცა ჩვენი პლანეტის უმაღლეს მწვერვალზე ჩირაღდნის ატანაა დაგეგმილი, ჰიმალაის მთიანეთში ამინდის გაუარესებაა მოსალოდნელი. ამის გამო, ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ ღონისძიების გასაშუქებლად ტიბეტში ჩასულ უცხოელ რეპორტიორებს ათი დღეც ეყოფათ.

*"ჩვენს გადაწყვეტილებას საერთო არაფერი აქვს ტიბეტში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასთან. უბრალოდ, ჩვენ ამ ეტაპზე არ შეგვიძლია ამინდის პროგნოზირება, ასეთ დროს კი ზედმეტ რისკზე წასვლისგან თავის შეკავებას ვამჯობინებთ"*, - ამბობს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრესმდივანი **ვან ჰუი**.

პირვანდელი გეგმა ორგანიზატორებმა სამი თვის წინათ შეადგინეს. ის ჩირაღდნის ევერესტზე ასვლის დაწყების ცერემონიაში მონაწილეობას ითვალისწინებს. ჟურნალისტებისთვის სპეციალური ბანაკია გათვალისწინებული, სადაც მათ სრული ინფორმაციის დაუბრკოლებლად მიღება შეეძლებათ. ჩირაღდნის ევერესტზე ატანის პატივი კი ჩინელ მთასვლელებს ერგოთ. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ტიბეტელების გამოსვლებიც რომ არა, ჩირაღდნის ევერესტზე ატანა მაინც აშკარად პოლიტიზირებული მოვლენაა.

ჩირაღდნის ესტაფეტის ორგანიზატორებს თავიდან არ სურდათ ევერესტზე ოლიმპიური ცეცხლის ატანის გაშუქებაზე უცხოელი რეპორტიორების დაშვება. თუმცა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ განხორციელებული ზეწოლის შემდეგ, მათ განზრახვაზე ხელი აიღეს. ჯერჯერობით, ზუსტად დადგენილი არაა, თუ როდის დაიწყება ჩირაღდნის ევერესტზე ასვლა. ჩინეთის მთავრობა ყველანაირად ცდილობს, რომ ასვლა განხორციელდს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ამინდის ჭირვეულობამ ეს გეგმა თავდაყირა დააყენოს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კალათბურთი. NBA. სეზონის ლაურეატები

# ვინ, თუ არა გარნეტი!

პლეი ოფის პარალელურად, ლიგამ რეგულარული სეზონის ლაურეატების გამოვლენა დაიწყო. და აბა, ისე როგორ იქნებოდა, მინიმუმ ერთი პრიზი **კევინ გარნეტისთვისაც** რომ არ მიეცათ.

"ბოსტონ სელტიქსის" ფანობის ახალი კერპი რეგულარულის უძლიერეს დამცველად დაასახელეს, სულ მალე კი, კევინს მთავარი ჯილდოს - MVP-ის მოგების რეალური შანსიც ექნება.

წელს, კევინმა შეკრა "სელტიქსი" და **დოკ რივერსის** ბიჭებმა, რეგულარულისას ოპონენტებს "ცოცხალი" სროლები ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებლით შეასრულებინეს.

გარნეტი კი, მთელი ჩემპიონატის განმავლობაში სტაბილურობის ეტალონი გახლდათ. ერთ მატჩში საშუალოდ 18.8 ქულას, 9.2 მოხსნას, 1.4 ჩაჭრასა და 1.2 დაფარებას აგროვებდა. ცნობისთვის, 12 დეკემბერს "ჩიკაგოსთან" მატჩში მან 7 დაფარება გააკეთა.

გარნეტმა მთავარი გააკეთა - ლიგის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვან გუნდს წარსულის დიდება ნაწილობრივ მაინც დაუბრუნა და რეგულარულის საუკეთესო კლუბად აქცია. კევინის, **პოლ პირსისა** და **რეი ალენის** თაოსნობით, "სელტიქსი" ჩემპიონობის მოგების უმთავრესი ფავორიტია.

8 მარტს, გარნეტი გახდა ლიგის ისტორიაში 32-ე მოთამაშე, რომელმაც 20 ათასქულიან ზღვარს გადააბიჯა. მოქმედი მოთამაშეებიდან, იგივე შედეგით თავს იწონებენ **შაკილ ონილი, ალენ აივერსონი** და **კობი ბრაიანტი**.

კევინმა გამოკითხვაში 493 ხმა დააგროვა და საგრძნობლად გაუსწრო მეორე და მესამე პოზიციებზე გასულებს - **მარკუს კემბისა** ("დენვერი") და **შეინ ბეტიეს** ("ჰიუსტონი").



**ზურაბ თალაკვაძე**

NBA. ლოს ანჯელეს ლეიკერსი

# ბრაიანტმა წასვლა გადაიფიქრა



კობი ბრაიანტი

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა და ამ სეზონის საუკეთესო მოთამაშის პრიზის მთავარმა მაძიებელმა, **კობი ბრაიანტმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არ სურს კალიფორნიული კლუბის დატოვება. გარდა ამისა, კობიმ ისიც თქვა, რომ გამორიცხული არ არის, კარიერის ბოლომდე "ლეიკერსის" რიგებში ითამაშოს.

როგორც ცნობილია, 2004 წელს კალათბურთელმა "ლეიკერსთან" ახალი, შვიდწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ჯამური ღირებულებაც 136.4 მილიონ დოლარს შეადგენს. მაგრამ იქედან მოყოლებული, კალიფორნიელებმა ვერცერთხელ ვერ შეძლეს პლეი ოფის პირველი რაუნდის გადალახვა. სწორედ კლუბის ამგვარი უსუსური თამაშის გამო, ბრაიანტმა რამდენჯერმე სხვა გუნდში გაშვება მოითხოვა, მაგრამ ახლა, 29 წლის კობიმ გადაწყვეტილება შეცვალა.

ამის მიზეზი წლევანდელ სეზონში კლუბის მიერ ნაჩვენები შედეგები გახდა. **ფილ ჯექსონის** შეგირდებმა დასავლეთ კონფერენციაში პირველი ადგილი დაიკავეს და პლეი ოფის პირველი წრეც წარმატებით დაიწყეს. *"აქ თამაში ყოველთვის მინდოდა, უბრალოდ, იყო მომენტები, როცა წასვლის გარდა სხვა გამოსავალი არ ჩანდა. მაგრამ ახლა ყველაფერი წარსულში დარჩა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და ბრძოლა მწყურია"*, - ამბობს ბრაიანტი.

კობის მთელი თავისი 12-წლიანი კარიერა "ლეიკერსში" აქვს გატარებული. მის ანგარიშზე საშუალოდ 25.0 ქულა, 5.3 მოხსნა და 4.6 პასი მოდის.

**გია თვალაბეიშვილი**

NBA. ლოს ანჯელეს ლეიკერსი

# ნიქსის განვრთნა იუინგს მოუნდა

რამდენიმე დღის წინათ, "ნიუ იორკ ნიქსის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა ლეგენდარული **აიზია ტომასი**. ეს უკანასკნელი ნიუიორკულ კლუბს ორი სეზონი წვრთნიდა და ორივე შემთხვევაში ვერ შეძლო პლეი ოფის საგზურის მოპოვება.

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დაიკავებს მომავალი სეზონისთვის "ნიქსის" მთავარი მწვრთნელის პოსტს. ვაკანტურ ადგილზე ჯერ კანდიდატებიც არ დასახელებულა. სამაგიეროდ, პირადი ინიციატივა გამოიჩინა კლუბის ლეგენდარულმა ცენტრმა **პატრიკ იუინგმა**, რომელმაც სააგენტო AP-ის განუცხადა - სიამოვნებით ჩავიბარებ "ნიუ იორკს", თუ მისი გენერალური მენეჯერი **დონი უოლში** შესაბამისი წინადადებით მომმართავსო.

იუინგს სამწვრთნელო გამოცდილება გააჩნია. დღეისთვის, ის "ორლანდოს" მთავარი მწვრთნელის ასისტენტის მოვალეობებს ასრულებს.

**გია თვალაბეიშვილი**



პატრიკ იუინგმა

ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/8 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**ვაშინგტ (3)-ფილადელ (6) 2:3 (ო)**

1:1, 1:1, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 ბექსტრიომი-4 (ოვეჩკინი-5, ფიოდოროვი-4), 1:1 აპშოლი-1 (კ. ტიმონენი-3, მ. რიჩარდსი-5), 1:2 ს. კაპანენი-2 (ტორესენი-1, ბირონი-1), 2:2 ოვეჩკინი-4 (ლეიჩი-5, ვიქ. კოზლოვი-3), 2:3 ლუპული-1 (კ. ტიმონენი-4, ბრიერი-5).

სერია 3:4

**დასავლეთი**

**სან ხოსე (2)-კალგარი (7) 5:3**

1:1, 4:1, 0:1

გოლები: 1:0 ჯ. ტორნტონი-2 (ჩიჩუ-2, რიონიკი-1), 1:1 იგინლა-4 (ა. ოკუანი-2, ფანოფი-4), 1:2 ნოლანი-3 (ჰუსელიუსი-4, კონროი-2), 2:2 რიონიკი-1 (ერჰოფი-2), 3:2 რიონიკი-2 (ბ. კემპბელი-3, რივე-3), 4:2 პაველსკი-3 (გრირი-1, ერჰოფი-3), 5:2 სეტოგუჩი-1 (რიონიკი-2), 5:3 ჯ. პრიმო-1 (მოსი-1, ა. ოკუანი-3).

სერია 4:3

| ბომბარდირები (გოლი+პასი) | |
|---|---|
| დანიელ ბრიერი (ფილ) | 11 (6+5) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 9 (4+5) |
| ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშ) | 9 (4+5) |
| ვაცლავ პროსპალი (ფილ) | 9 (3+6) |
| რაიან ძლოუ (ს-ხოს) | 8 (4+4) |
| ალექსანდრ სიომინი (ვაშ) | 8 (3+5) |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 8 (2+6) |
| იარომირ იაგრი (რეინ) | 8 (2+6) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 8 (2+6) |

| გოლეადორები | |
|---|---|
| დანიელ ბრიერი (ფილ) | 6 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 4 |
| ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშ) | 4 |
| რაიან ძლოუ (ს-ხოს) | 4 |
| მიკო კოივუ (მინ) | 4 |
| პატრიკ ელიაში (ნ-ჯერ) | 4 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 4 |

| ასისტენტები | |
|---|---|
| იარომირ იაგრი (რეინ) | 6 |
| ვაცლავ პროსპალი (ფილ) | 6 |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 6 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 6 |

NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალის კალენდარი

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
|---|---|
| **მონრეალი (1)-ფილადელფია (6)** | **დეტროიტი (1)-კოლორადო (6)** |
| 24 აპრილი. მონრეალი-ფილადელფია | 24 აპრილი. დეტროიტი-კოლორადო |
| 26 აპრილი. მონრეალი-ფილადელფია | 26 აპრილი. დეტროიტი-კოლორადო |
| 28 აპრილი. ფილადელფია-მონრეალი | 29 აპრილი. კოლორადო-დეტროიტი |
| 30 აპრილი. ფილადელფია-მონრეალი | 1 მაისი. კოლორადო-დეტროიტი |
| 3 მაისი. მონრეალი-ფილადელფია* | 3 მაისი. დეტროიტი-კოლორადო* |
| 4 მაისი. ფილადელფია-მონრეალი* | 5 მაისი. კოლორადო-დეტროიტი* |
| 6 მაისი. მონრეალი-ფილადელფია* | 7 მაისი. დეტროიტი-კოლორადო* |
| **პიტსბურგი (2)-რეინჯერსი (5)** | **სან ხოსე (2)-დალასი (5)** |
| 25 აპრილი. პიტსბურგი-რეინჯერსი | 25 აპრილი. სან ხოსე-დალასი |
| 27 აპრილი. პიტსბურგი-რეინჯერსი | 27 აპრილი. სან ხოსე-დალასი |
| 29 აპრილი. რეინჯერსი-პიტსბურგი | 29 აპრილი. დალასი-სან ხოსე |
| 1 მაისი. რეინჯერსი-პიტსბურგი | 30 აპრილი. დალასი-სან ხოსე |
| 4 მაისი. პიტსბურგი-რეინჯერსი* | 2 მაისი. სან ხოსე-დალასი* |
| 5 მაისი. რეინჯერსი-პიტსბურგი* | 4 მაისი. დალასი-სან ხოსე* |
| 7 მაისი. პიტსბურგი-რეინჯერსი* | 6 მაისი. სან ხოსე-დალასი* |

NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**ორლანდო-ტორონტო 104:103**

35:18, 24:39, 24:21, 21:25

ო: დ. ჰოვარდი (29 + 20 მოხსნა+ 3 დაფარება), ნელსონი (18), ლუისი (18+3 ჩაჭრა).

ტ: ბოში (29+10 მოხსნა), კაპონო (20), კალდერონი (18), დელფინო (16).

სერია: 2:0

**დასავლეთი**

**ნიუ ორლეანი-დალასი 127:103**

39:29, 28:22, 32:28, 28:24

ნ-ო: პოლი (32+17 პასი+3 ჩაჭრა), უესტი (27), სტოიაკოვიჩი (22), ჩენდლერი (10+11 მოხსნა).

დ: ნოვიცკი (27), ბასი (19+8 მოხსნა), ტერი (16), ჯოშ ჰოვარდი (10+7 მოხსნა).

სერია: 2:0

**სან ანტონიო-ფინიქსი 102:96**

26:35, 28:26, 27:11, 21:24

ს-ა: პარკერი (32+7 პასი+3 ჩაჭრა), ჯინობილი (29), დანკანი (18+17 მოხსნა).

ფ: ა. სტაუდმაიერი (33+7 მოხსნა), ნეში (23+10 პასი), შ. ო'ნილი (19+14 მოხსნა).

სერია: 2:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. ფორმულა 1

# ლუკას ალონსო არ სჭირდება



ლუკა დი მონტეძემოლო

"ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა დი მონტეძემოლო** აცხადებს, რომ მას არ სურს თავის გუნდში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ესპანელი **ფერნანდო ალონსოს** გადაყვანა და აცხადებს, რომ ასეთი სვლა მისი გუნდის ინტერესებს არ შეესაბამება.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ, ალონსომ განაცხადა, "რენოსთან" დადებული კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს მისი გაუქმების უფლებას მაძლევს იმ შემთხვევაში, თუ "რენო" კონკურენტუნარიანი ტექნიკით ვერ უზრუნველმყოფსო. მანვე დაუფარავად დასძინა, რომ გუნდის გამოცვლის შემთხვევაში, მხოლოდ "ფერარიში" გადასვლას ისურვებდა.

თუმცა, როგორც ირკვევა, მისი გადაბირებით სულაც არაა დაინტერესებული იტალიური საჯინიბოს პირველი პირი. თავის მოტივს ის მარტივად განმარტავს – **კიმი რაიკონენის** თანაგუნდელად ალონსოს მიწვევა ბევრ პრობლემას შეგვიქმნისო.

*"თუ ვიტყვი, რომ გუნდში ერთდროულად ალონსოსა და რაიკონენის ყოლა მსურს, ჩათვალეთ, რომ საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებას ვაპირებ. ყოველთვის ვამბობდი, რომ ორი თანაბარი უნარის მქონე პილოტი გვჭირდება, რომლებიც ერთმანეთთან შეწყობილად იმუშავებენ და ურთიერთქიშპს არ მოუნდებიან"*, - განმარტავს დი მონტეძემოლო.

"ფერარის" შეფის ასეთ მოსაზრებას ზურგს ალონსოს წარსული უმაგრებს. შეგახსენებთ, რომ შარშან ესპანელი პილოტი "მაკლარენში" ირიცხებოდა, მაგრამ მთელი სეზონი თავის ახალბედა თანაგუნდელ, ბრიტანელ **ლუის ჰემილტონთან** დაპირისპირებას მოუნდა. შედეგად, ორივე პილოტმა რაიკონენზე ერთი ქულით ნაკლები დააგროვა და ჩემპიონის ტიტულიც ფინელს დაუთმო. უფრო მეტიც, სეზონის მსვლელობისას, ამას "მაკლარენის" შეფ **რონ დენისთან** კონფლიქტიც დაერთო და საბოლოოდ, ალონსო იძულებული გახდა, "მაკლარენი" დაეტოვებინა.

მაგრამ იმ სეზონებისგან განსხვავებით, როცა ალონსო "რენოსთან" ერთად მსოფლიო ჩემპიონის ორ ტიტულს დაეუფლა, ამჯერად ფრანგული საჯინიბო შორსაა კონკურენტუნარიანობისგან, რაც ესპანელის გულის აცრუებას იწვევს – მიმდინარე სეზონის პირველ სამ ეტაპზე მხოლოდ ექვსი ქულის მოგროვება შეძლო, რაც მის ამბიციებს აშკარად არ შეესაბამება.

დი მონტეძემოლომ ახლახანს დატოვა "ფერარის" ინდუსტრიული შტოს პრეზიდენტის პოსტი, რის შემდეგაც, "სკუდერიასთან" მთელ თავის უნარს ფორმულა ერთის ყველაზე ტიტულოვან და პოპულარულ გუნდს ახმარს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ცურვა. პეკინის წინ

# ხელმოცარული მანოდუ



მანოდუ თავის მწვრთნელს ეთათბირება

მსოფლიოს რეკორდსმენი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ფრანგი **ლორ მანოდუ** ამ დისტანციაზე პეკინის ოლიმპიადაზე ასპარეზობას ვერ შეძლებს. საფრანგეთის ჩემპიონატზე, რომელიც ამავდროულად, ოლიმპიური შესარჩევი ტურნირიცაა, მანოდუმ თავის ფავორიტ დისტანციაზე ასპარეზობისგან საკუთარი ნებით შეიკავა თავი.

ფრანგმა სუპერმოცურავემ მისთვის ესოდენ მძიმე გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც 400 მეტრზე თავისუფალ სტილში მარცხი იწვნია. ეს ის დისტანციაა, რომელზეც ორი წლის წინათ მან მსოფლიო რეკორდი (4:02.13) დაამყარა და რომელზეც 2004 წლის ივნისის შემდეგ, ერთხელაც არ წაეგო. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ერთი თვის წინათ, ეინდჰოვენში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, 400 მეტრზე თავისუფალში მისი რეკორდი იტალიელმა **ფედერიკა პელეგრინიმ** მოხსნა (4:01.53). სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონტზე მანოდუს ამ დისტანციაზე არ უასპარეზია.

საფრანგეთის ჩემპიონატზე, 400 მეტრზე თავისუფალში გამარჯვება რუმინელმა **კამელია პოტეცმა** მოიპოვა, ვინც საფრანგეთში ცხოვრობს და ვარჯიშობს. მეორე ადგილი კი ფრანგმა **კორალი ბალმიმ** დაიკავა, ვინც პეკინში ამ დისტანციაზე მანოდუსთან ერთად იასპარეზებს.

*"ძალიან, ძალიან ძნელია, როცა შენს ფავორიტ დისტანციაზე მარცხდები. ერთადერთი, რისი თქმაც ახლა შემიძლია ისაა, რომ ახლა მოუთმენლად ველი "არენას" ახალ საცურაო ეკიპირებას, რომელსაც პეკინამდე გვპირდებიან"*, - განაცხადა სასონარკვეთილმა მანოდუმ, ვისაც კარგად ესმის, რომ "სპიდოს" რევოლუციური ეკიპირებით მოასპარეზე მეტოქეების წინააღმდეგ, გამარჯვების არანაირი შანსი არ ექნება, თუ მსგავს კოსტუმს თავისი პარტნიორი და სპონსორი, იტალიური "არენა" არ მიაწვდს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში, მას შემდეგ, რაც "სპიდომ" ახალი ეკიპირების წარმოება დაიწყო, მსოფლიოს 37 რეკორდი გაუმჯობესდა, რომელთა უმეტესობაც (35) სწორედ ინგლისური კომპანიის კლიენტმა მოცურავეებმა დაამყარეს.

"არენა" თავის მოცურავეებს ახალი ეკიპირების მიწოდებას ივნისისთვის ჰპირდება, თუმცა წინასწარ ვერავინ იტყვის, გაუწევს თუ არა ის კონკურენციას "სპიდოს" LZR რეისერს, რომლითაც ბალმი ასპარეზობს. სხვათა შორის, "LZR რეისერის" მსგავსი საცურაო კოსტუმი უკვე დამზადებული აქვს ფრანგულ "ტირსაც". მაგრამ მანოდუს კონტრაქტი "არენასთან" აკავშირებს, რის გამოც, სხვა კომპანიების ეკიპირების გამოყენების უფლება არ აქვს.

200 მეტრზე თავისუფალში მსოფლიო რეკორდი (წუთი და 55.52 წამი) მანოდუმ შარშან, მელბურნში, მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობისას დაამყარა. მან უკვე იასპარეზა 100 მეტრზე გულაღმა ცურვის ნახევარფინალში, სადაც საუკეთესო შედგი დააფიქსირა.

ცნობისთვის, მანოდუ პირველი ფრანგი ქალი მოცურავეა, ვინც 400 მეტრზე თავისუფალში ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვება (ათენში) შეძლო. ათენშივე ის 800 მეტრზე თავისუფალში ვერცხლს დაეუფლა, 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში კი ბრინჯაოს დასჯერდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

**24 აპრილი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. სან პაულუ-ატლეტიკო ნასიონალი.
14:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:25 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
17:55 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
19:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:05 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:15 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
21:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი.
23:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. სან პაულუ-ატლეტიკო ნასიონალი.
00:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:00 ზუსტი გათვლა.
01:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:15 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:20 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
07:59 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-ინტერი.
09:44 ფეხბურთი. Barca TV.
09:51 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
10:20 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
10:48 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი.
12:43 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. მონტე კარლო.
17:16 ფეხბურთი. Barca TV.
17:23 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:52 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი.
19:46 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:28 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. სან პაულუ-ატლეტიკო ნასიონალი.
22:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბაიერნი-ზენიტი.
00:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:53 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
01:20 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
01:48 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. მიმოხილვა.
02:34 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
03:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი (LIVE).
05:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატლანტა-იუვენტუსი.

**EUROSPORT**

10:30 რალი-რეიდი. IV ეტაპი.
10:45 მულტისპორტი.
11:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები.
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VI დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები.
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VI დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:15 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VI დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იორდანია.
21:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:30 ავტოსპორტი. ფორმულა 1. ქარხნული გუნდები. ტელეჟურნალი.
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VI დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
01:45 რალი-რეიდი. V ეტაპი.
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩები.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 კალათბურთი. საბერძნეთის თასი. პანათინაიკოსი-პანელინიოსი.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები.
14:00 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. საბერძნეთის თასი. ოლიმპიაკოსი-რეტიმნო.
16:45 კალათბურთი. საბერძნეთის თასი. პანათინაიკოსი-პანელინიოსი.
17:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები.
20:30 თოვლმავალი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
21:00 სნოუბორდი. აშშ.
21:30 ახალი ამბები.
21:55 სერფინგი. ნორვეგია.
22:00 კალათბურთი. საბერძნეთის თასი. პანათინაიკოსი-პანელინიოსი.
23:00 ბოულინგი. მსოფლიო თასი.
00:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. კოლამბუსი-ფილადელფია.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **შოტლანდია** | |
| **I დივიზიონი** | |
| სტირლინგი-სტ. ჯონსტონი | 3:1 |
| **დანია** | |
| ლუნგბიუ-ბრონდბიუ | 2:2 |
| ოდენსე-ვიბორგი | 1:0 |
| მიდტიულანდი-ჰორსენსი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ორჰუსი-კიოგე | 1:1 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სიოგნდალი-მოსი | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| კალმარი-ჰელსინგბორგი | 4:2 |
| ჰამარბიუ-ელფსბორგი | 0:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ფონდსი-ლოზანა | 4:2 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| არტმედია-ჟილინა | 1:0 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ვისლა-გროცლინი | 0:0 |
| **ხორვატიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ზაგრები-დინამო | 2:3 |
| ჰაიდუკი-ვარტექსი | 4:0 |
| **რუმინეთი** | |
| ფარული-გლორია (ბის) | 1:0 |
| გლორია (ბუზ)-ოცელული | 0:4 |
| დინამო-უნივერსიტატეა (კრ) | 4:4 |
| ჩახლაული-უნივერსიტ. (კლ) | 3:0 |
| პოლიტეხნიკა-დაჩა | 1:0 |
| კლუჟი-ვასლუი | 1:0 |
| უნირეა-რაპიდი | 0:1 |
| **არგენტინა** | |
| სან ლორენსო-ველესი | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| კოლოსოსი-აეკ | 74:79 |
| მარუსი-ლარისა | 90:74 |
| ოლიმპიაკოსი-რეტიმნო | 80:48 |
| ოლიმპია-პანიონიოსი | 84:73 |
| პანათინაიკოსი-პანელინიოსი | 95:84 |
| პაოკ-არისი | 74:75 |
| ეგალეო-ოლიმპიადა | 102:66 |
| **ესპანეთი** | |
| ტაუგრესი-ვალენსია | 91:73 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მონტე კარლო** | |
| ფერერი-საფინი | 6:2, 6:3 |
| მონფილსი-კარლოვიჩი | 7:6, 6:1 |
| კოლშრაიბერი-კიფერი | 6:2, 6:4 |
| ფედერერი-რამირეს იდალგო | 6:1, 3:6, 7:6 |
| სეპი-კუერი | 1:6, 5:7 |
| ფერერო-ნიემინენი | 6:3, 6:3 |
| ალმაგრო-მონაკო | 6:2, 6:0 |
| რობრედო-სიოდერლინგი | 6:4, 7:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ფედერერმა 1:5 ამოქაჩა



რამირეს იდალგოს სენსაციამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა

კინალამ სენსაციით დასრულდა მონაკოს მასტერსის გუშინდელი დღე. მეორე წრიდან მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში ფავორიტები ჩაებნენ. ეშტორილის სათიხნარო ტურნირის მოგების შემდეგ, **როჯერ ფედერერს** ესპანელ **რუბენ რამირეს იდალგოსთან** იოლ გასეირნებას უწინასწარმეტყველებდნენ. ეს მოსაზრება პირველი სეტის შედეგმაც გაამყარა. შვეიცარიელმა 30 წლის მეტოქეს (მსოფლიო კლასიფიკაციის 137-ე ჩოგანი) მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო - 6:1.

უცნაურობები კი ამის შემდეგ დაიწყო. ესპანელმა მეორე სეტის მეორე გეიმში მეტოქის მოწოდება აიღო და ეს უპირატესობა პარტიის ბოლომდე შეინარჩუნა. რამირეს იდალგომ აღებული ტემპი მესამე სეტშიც შეინარჩუნა, კიდევ ორჯერ მოიგო გეიმი მეტოქის მოწოდებაზე და ფედერერის განადგურებამდე ერთი ნაბიჯილა რჩებოდა. 5:1 - დაწინაურდა ესპანელი და აქ უკვე მეორე სასწაულის ჯერი დადგა. ფედერერი არანორმალურად ათამაშდა, ზედიზედ 5 გეიმი მოიგო და თავად დაწინაურდა - 6:5.

საბოლოოდ, საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ფედერერმა ერთი შანსიც არ მისცა მეტოქეს და შემოკლებული გეიმი 7:1 მოიგო.

*"საკუთარი თამაშით ძალიან უკმაყოფილო ვარ. პირველ სეტში მეტოქე ძალიან ცუდად თამაშობდა. ამის გამო ყურადღება მოვადუნე და კინალამ დავისაჯე. მთავარია, შემდეგი წრის საგზური მოვიპოვე, ხვალ კი, ახალი დღეა, ახალი მატჩი და ახალი მეტოქე. დღევანდელი შეხვედრა კი, უკვე დავიწყებულია"*, - განაცხადა ფედერერმა, რომელსაც მერვედფინალში ფრანგი **გაელ მონფილსი** ელის.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი თამაშით ფედერერმა რამე მოუხერხოს თიხნარის სპეციალისტ **რაფაელ ნადალს**. გუშინ, ესპანელმა მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო ხორვატ **მარიო ანჩიჩს**.

**გიორგი თვალია**

**ATP**

**Masters Series**

მონტე კარლო (მონაკო). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 2 270 000 ევრო

**II წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ) 6:3, 6:3; **ენდი მიურეი (ბრიტ, 14)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:4, 6:1; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:1, 3:6, 7:6 (1); **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-მარიო ანჩიჩი (ხორ) 6:0, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:2, 7:6 (5); **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-მარატ საფინი (რუს) 6:2, 6:3; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 6)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:4, 6:3; **რიშარ გასკე (საფ, 7)**-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 6:1, 6:2; **იგორ ანდრეევი (რუს)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 8) 6:3 იუჟნის უარი; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-ხუან მონაკო (11, არგ) 6:2, 3:0 მონაკოს უარი; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 13)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:3, 6:3; **გაელ მონფილსი (საფ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 15) 7:6 (6), 6:1; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 16)**-ნიკოლას კიფერი (გერ) 6:2, 6:1; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 5:7, 7:6 (5), 6:4; **სემ კუერი (აშშ)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:1, 7:5.

კრივი

# ტაისონი კანში მიდის



ცნობილმა რეჟისორმა და სცენარისტმა **ჯეიმს ტობაკმა** ლეგენდარულ მოკრივე **მაიკ ტაისონზე** დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ფილმის პრემიერა, რომელსაც მარტივი სახელი აქვს - "ტაისონი", კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგება.

ტობაკის ნამუშევარი მოგვითხრობს "რკინის მაიკის" ბედზე ჩემპიონის ტიტულის დაკარგვის შემდეგ. ანუ იმ პერიოდზე, როცა ტაისონის ცხოვრება უკუღმა წავიდა. ტობაკმა განაცხადა, რომ ფილმისთვის გამოიყენა მოკრივის 30-საათიანი ინტერვიუ, მთლიანად "ტაისონის" შესაქმნელად კი, რეჟისორს ერთი წელი დასჭირდა.

*"მაიკმა ამ ფილმში სხვა კუთხით წარმოაჩინა თავი. დაგვანახა, რომ ის უნაკლო სულაც არ არის. დარწმუნებული ვარ, რომ ტაისონი აბსოლუტურად გულწრფელი იყო იმ ყველაფერში, რაც ცხოვრებაში გაუკეთებია"*, - ამბობს რეჟისორი.

ფილმის პრემიერას თავად "რკინის მაიკიც" დაესწრება. ამისთვის ტაისონი კანში გაემგზავრება, იქედან კი, ბრიტანეთში გადაინაცვლებს, სადაც საქველმოქმედო ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას.

**გიორგი თვალია**

ჩოგბურთი. ბომონდი

# ასე ერთობიან



ორ რუს ლამაზმანსა და ჩოგბურთელს - **მარია შარაპოვასა** და **ანა კურნიკოვას** ამ ზაფხულამდე არ ენახათ ერთმანეთი. ამ გაუგებრობის გამოსწორება ცოტა ხნის წინათ, მაიამიში გამართული საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზატორებმა იკისრეს. სწორედ მათ მიერ გამართულ მიღებაზე გაიცნეს ერთმანეთი ქალთა ჩოგბურთის ყოფილმა და მოქმედმა ვარსკვლავებმა.

არც მარიას და არც ანას იმ ტურნირზე არ უთამაშიათ. კურნიკოვამ კარგა ხანია, რაც კარიერა დაასრულა, შარაპოვას კი, იმ მომენტში ტრავმა აწუხებდა და იძულებით შვებულებაში იყო. მაგრამ ტურნირის მონაწილეებისთვის გამართულ საღამოზე მარია მაინც მივიდა. იმის შესახებ, რომ იქ კურნიკოვაც იყო დაპატიჟებული, შარაპოვამ არაფერი იცოდა.

ამ ორ ჩოგბურთელს შორის გამოუცხადებელი ომის შესახებ ბევრი იწერება. ვინ უფრო ლამაზია? ვის უფრო მეტი შემოსავალი აქვს? იმაზეც წერენ, რომ კურნიკოვა ძალიან ეჭვიანობს შარაპოვას პოპულარობისა და მისი შემოსავლების (18 მილიონი დოლარი წელიწადში) გამო, ვინაიდან ყოფილ ჩოგბურთელს ახლა უფრო იშვიათად იწვევენ რეკლამებში გადასაღებად. მიუხედავად ამისა, გოგონებმა ისე დაიჭირეს თავი, თითქოს ერთმანეთზე მზე და მთვარე ამოსდიოდეთ.

მოგვიანებით, შარაპოვამ აღიარა, რომ გაცილებით უფრო გახარებული დარჩა მომხიბვლელი **ორლანდო ბლუმის** გაცნობით. მაშამ ამ მსახიობზე - საყვარელიაო თქვა, მის მანერებს კი, დახვეწილი უწოდა.

■ ■ ■

ახლა უფრო ახალი ამბავის შესახებ. გუშინ, მარია შარაპოვამ ტელეკომპანია CBS-ზე **დევიდ ლეთერმანის** სახელგანთქმულ შოუში (The Late Show) მიიღო მონაწილეობა. მის გარდა, გადაცემის სტუმრად ჰოლივუდის ვარსკვლავი, ცნობილი კომიკოსი მსახიობი **ბილი კრისტალიც** იყო მიწვეული.

მარია სტუდიაში თავისი ჩოგნით მივიდა. პროფესიულ კარიერასა და პირად ცხოვრებაზე საუბრის შემდეგ, შარაპოვამ პატარა საჩოგბურთო გაკვეთილი ჩაუტარა შოუს წამყვანსა და ჰოლივუდის მსახიობს.





■ ■ ■

ამასობაში, საუკეთესო მამაკაცი ჩოგბურთელები მონაკოში არიან შეკრებილნი და ამ სეზონში თიხნარის პირველ მასტერსზე პირველობისთვის იბრძვიან.

მსოფლიოს პირველ ჩოგანს, **როჯერ ფედერერს** გუშინ უწევდა პირველი მატჩის ჩატარება, მანამდე კი, შვეიცარიელმა ქალაქის უკეთ დათვალიერება გადაწყვიტა და ამისთვის ვერტმფრენი გამოიყენა.

*"ვერტმფრენით არაერთხელ მიმოგზაურია, მაგრამ მონტე კარლოს ცაზე პირველად მოვხვდი. არაჩვეულებრივი ქალაქია! ჩვენ საჩოგბურთო სტადიონსაც გადავუფრინეთ, სადაც იმ დროს მოთამაშეებში ვარჯიშობდნენ. იმედია, ხელი არავისთვის შემიშლია"*, - წერს საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე როჯერი.





■ ■ ■

ეჭვი არავის ეპარება, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მსოფლიო რეიტინგში ვინმე სხვა აუცილებლად დაიკავებს ფედერერის ადგილს. თითქმის დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ეს იქნება ესპანელი **რაფაელ ნადალი** ან სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**.

სამშაბათს, ეს ჩოგბურთელები ლეგენდარულ სასტუმრო Hotel de Paris-ში ფრაკებში გამოეწყვნენ და მონტე კარლოს კაზინოში გაემართნენ. ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა, ვის უფრო გაუმართლა იმ საღამოს. ხოლო ის, თუ ვინ იქნება მონაკოს კორტზე უკეთესი, ამას ამ კვირის ბოლოსთვის შევიტყობთ.

**გია თვალაბეიშვილი**